

ბაადურ რაჭველიშვილი
დურმიშხან ცინცაძე
გენრი დეკანოსიძე



წამალთმცოდნის მეცნიერული
მოსაზრებანი,
ანუ ვინ არის სოკრატ სალუქვაძე



2008

რეცენზენტი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

გურამ ცაგარეიშვილი

შემდგენელი, თანაავტორი და რედაქტორი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

გენრი დეკანოსიძე



წიგნის გამოცემის სპონსორია დრადიციული მედიცინის ფირმა „სალხ-ინოს“ გენერალური დირექტორი
როინ ნაჭყეზია



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

თამაზ გამყრელიძე

მოკრძალება და თანამემამულური სიმპათია აკავშირებს ჩვენს წამალთმცოდნეს აკადემიის პრეზიდენტთან. აკადემიკოსის გახმაურებული მეცნიერული ნაშრომით (რა ენაზე ლაპარაკობდა კოლხეთის მეფე აიეტი), სარგებლობს წამალთმცოდნეობის ისტორიის მეფლეგარი სოკრატ სალუქვაძე და სავსებით იზიარებს იმ მისაზრებას, რომ მეფე აიეტის სასაუბრო ენის თანამედროვე სამართალმემკვიდრე დიალექტი მეგრული უნდა იყოს. აქედან მეფლეგარს ის დასკვნა გამოაქვს, რომ თქრის საწმისის გატაცების თაობაზე პელაგ იაზონსა და მედეა კოლხის შორის მოლაპარაკება უთარჯიმნოდ გასაგებ ენაზე მიმდინარეობდა.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათანატომიის
კათედრის გამგე, პროფესორი, აკადემიკოსი

რამაზ ხეცურიანი

რექტორის თანამდებობაზე მუშაობისას მან სამედიცინო საბჭოს
დადგენილებით დაარსა სამედიცინო უნივერსიტეტის ემბლემა და
ამჟამად აარსებს საქართველოს სამედიცინო აკადემიის ემბლემას
მკვლევარ –სოკრატ სალუქვაძის წინადადებებით ასეთი ღონისძიებები
საზოგადოებაში მადლიერების გრძნობების აღმგმძვრელია



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიოსამედიცინო
აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი –

ბაადურ რაჭველიშვილი



ამ წიგნის ერთ-ერთი ქვეთავის ავტორი, ისტორიკოსი, პრეფესორი
დურმიშხან ცინცაძე



ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი, ამ წიგნის შემდგენელი ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორი

ბენიო ღებანოსიძე



წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარი, ფარმაცევტულ
მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკადემიკოსი –

სოკრატ სალუშვაძე

თანხის მიმღები: სოკრატ სალუშვაძე
ანბარიშის № 360101011105064
პირალი № 01008006504

მიმღები ბანკი: “პროკრედიტ ბანკის”
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: 220101922

მოკლე ანოტაცია

წინამდებარე წიგნი მოგვითხრობს მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის შემოქმედებით გამარჯვებებსა და მრავალი ათეული წლის გარჯის შედეგად მოპოვებულ მიღწევებზე. მედიცინის ისტორიის ცნობილი სპეციალისტი, აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი მოგვითხრობს წამალთმცოდნეობის ისტორიის იმ საკითხებზე, რომლითაც დაკავებულია მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე. კომპეტენტური სპეციალისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ს. სალუქვაძემ საქართველოში ხაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილის აფთიაქის ნანგრევები (ხაზას ციხეში). ამ უცნაური თახჩებიანი ნაგებობების პრავმატული ფუნქციის განსაზღვრისას მოშველიებულია წერილობითი საბუთი კარაბადინი, რომელიც წამლების მომზადების წესების კრებული იყო შუა საუკუნეებში. ავტორი აღმოსავლეთმცოდნეთა ლექსიკონების მოშველიებით ეჭვიმუტანლად ადასტურებს, რომ სამკურნალო წიგნი – „კარაბადინი“ და „ფარმაკოპეა“ იდენტური ცნებები ყოფილა. აქედან გამომდინარე, თახჩებიანი ნაგებობის (არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი შენობის) აფთიაქის და „ფარმაკოპეის“ დაკავშირება ურთიერთთან ძლიერი არგუმენტია. აქვეა მითითებული მნიშვნელოვანი სიახლე – ხელნაწერი Q ფონდის №877-ის მხსრეკალ-გადამწერად აქამდე შეცდომით მახარებელ „ივანიას ძე“ მაღალაძე ითვლებოდა. სინამდვილეში მახარებელი ოქროპირ მაღალაძის ვაჟიშვილი ყოფილა და ის კარაბადინის გადამწერი ვერაფრით ვერ იქნებოდა, ვინაიდან ჩვენამდე ამ ხელნაწერის დედანია მოღწეული და მას ასლი, საერთოდ, არ გააჩნია. სიძველეთა წიგნ-საცავში ბატონ სოკრატს მიუგნია მაღალაძეთა საგვარეულოს კალიგრაფთა არაერთი ავტოგრაფისათვის. პირველწყაროს ექსპერტიზის მიხედვით ხაზას კარაბადინის 1368 გვერდიდან 1008 გვერდი თურმე მახარებელს ეკუთვნის. გამოდის, რომ დამკვეთ-მომგებლის – მკურნალ ხაზა ფანასკერტელის მითითებისა და დაკვეთის შემსრულებელ მახარებელ მაღალაძეს გაცილებით მნიშვნელოვანი შრომატევადი სამუშაო შეუსრულებია, ვიდრე ხელნაწერის უცბად მხსრეკალ-გადამწერს. ს. სალუქვაძის აზრით მახარებელი ავტორ-შემდგენელია, თანაც ოქროპირის ძეა და არა ივანიას ძე. ავტორის მიერ შემოთავაზებული სიახლეები შესაბამისი პირველწყაროების მოშველიებითაა გამაგრებული. გარდა ამისა, წიგნში მოთხრობილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გერბის შექმნაზე, რაც მკვლევარ ს. სალუქვაძის მოსაზრების საფუძველზეა შემოთავაზებული, ეს ორიგინალური ემბლემაც მას ეკუთვნის მისგანვე მოდის წინადადება საქართველოს სამედიცინო აკადემიის ემბლემის დაარსების თაობაზე. მხედველობიდან არ არის გამორჩენილი ისიც, რომ ს. სალუქვაძემ დედაქალაქის №1 აფთიაქის ხაზაზე მუხეუმი დააარსა. ცალკე წიგნად არის გამოცემული ქ. თბილისის №1 აფთიაქი-მუხეუმის ისტორია. აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი აკადემიკოს სოკრატ სალუქვაძეს „ხელხვაგრიელისა“ და „აზრხვაგრიელის“ ეპითეტებით ამკობს.

წიგნი მშვენიერი ქართულითაა დაწერილი და ინტერესითაც იკითხება. მისი ავტორები მეგობრული სიტბოთი გადმოგვცემენ ს. სალუქვაძის მიერ გამოკვლეული მეცნიერული შრომების მნიშვნელობას. საინტერესოდ იკითხება დასათაურებული ქვესათაური „სოკრატ სალუქვაძე და მისი მეგობრები“. საქებარ სიტყვებსა და შეფასებებს არ იშურებს წიგნის შემდგენელი და რედაქტორი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გენრი დეკანოსიძე, რომელსაც ს. სალუქვაძესთან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მეგობრობა აკავშირებს. საქებარ-პანეგირიკულ მოსაზრებებს გამოთქვამს მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მისამართით ისტორიკოსი, პროფესორი ღურმიშხან ცინცაძე, პროფესორი ნოდარ ლომოური, ჟურნალისტები: გურამ გოგიაშვილი, ვილენ მარდალეიშვილი, ჩარიტა მამისეიშვილი, პროფესორი დიმიტრი კორძაია, კოლეგები: თენგიზ და მანანა მაისურაძეები. ყოველივე ზემოთქმული ფარმაცევტული დარგის სიმდიდრე და ნადავლია.

წიგნის შემდგენლისა და რედაქტორის წინასიტყვაობა

ჟურნალ “ნუგეშში” წავიკითხე აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის ვრცელი სტატია სათაურით: **“წამალთმცოდნის მეცნიერული მოსაზრებანი ანუ ვინ არის სოკრატ სალუქვაძე”** და გულით გავიხარე. იქვე დამეხატა იდეა, რომ ეს შესანიშნავი მოსაზრებები სოკრატ სალუქვაძეზე გამოიცეს ცალკე წიგნად, დაემატოს მასალები, თუნდაც ისეთები, რომლებიც მახსოვს სოკრატ სალუქვაძესთან 53 წლის მეგობრობის მანძილზე და მკითხველის წინაშე წავრსდგე, წიგნის შემდგენლის ამპლუაში, ვიკისრო რედაქტორობა იმიტომ, რომ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე სოკრატ სალუქვაძე მუხლჩაუხრელად შრომობს და წამალთმცოდნეობის ისტორია ნამდვილ მეცნიერებად აქცია. ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ვრცელი სტატიები მიუძღვნა ჩვენი ეროვნული კულტურის ამ სფეროში პროპაგანდას და მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, საერთაშორისო რეზონანსი მიანიჭა. თითქმის ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამომცემლობა “ხელოვნებამ” გამოსცა სოკრატ სალუქვაძის ფუნდამენტური მონოგრაფია: **“წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე”**. იგი 675 გვერდს მოიცავს. ასეთი ვრცელი მონოგრაფიის გამომცემა ბევრითი შრომისა და გარჯის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ. ამ პუბლიკაციის წინასიტყვაობის მეცხრე გვერდზე მოხმობილია ჩვენი სასიქადულო მეცნიერის, აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის სიტყვები: **“დიდი სიამოვნება მომანიჭა თქვენი მასალის წაკითხვამ. მათგან თქვენი შრომისუნარიანობა და კიდევ ერთხელ მივესალმები თქვენი ამ საერთო საქმით დაინტერესებას. ყველა თქვენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია უთუოდ სასარგებლოა”**. ამ სიტყვების ავტორი გახლავთ ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ექსპერიმენტებსა და მეცნიერულ კვლევა-ძიებებს მიუძღვნა. საქართველოს მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფ. ე. ქემერტელიძემ საქებარი სიტყვები არ დაიშურა ამ წიგნის აღრესატის მისამართით.

ამ სტრიქონების ავტორი სოკრატ სალუქვაძეს, როგორც თანაკურსელსა და მეგობარს, 1954 წლის აგვისტოს მისაღები გამოცდებიდანვე კარგად ვიცნობ და ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ჩემი კოლეგისაგან ერთი ნამცეცი – საწყენი სიტყვაც არ შემიძლია გავიხსენო. არ მახსოვს სოკრატ სალუქვაძეს საგნის მომზადება და ჩაბარება გაჭირვებოდა, ან გამოცდაზე გასულს უკან უნიშნო მატრიკული გამოცემის, თუმცა პირველ კურსზე უმაღლესი მათემატიკის ჩაბარება უმრავლესობას გაგვიჭირდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ, მომავალ სააფთიაქო დარგის მუშაკებს თუ მეცნიერებს, უმაღლესი მათემატიკის პროგრამის მომზადება და ჩაბარება მხოლოდ ტვინის სავარჯიშოდ თუ გამოგვადგებოდა! ყველამ ჩავაბარეთ უმაღლესი მათემატიკა და სტიპენდია არავის დაუკარგავს ლექტორ პეტრე შალამბერიძის საგანში.

ჩემი მეგობარი სოკრატი საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებით იყო მუდამ დაკავებული, სტუდენტობიდანვე გაიტაცა ჟურნალისტიკის საკითხებმა – ინსტიტუტის გაზეთის “მედიცინის მუშაკის” ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს. ხელმძღვანელობდა საფაკულტეტო აკადემიურ, კულტმასობრივსა და სპორტულ სექტორებს. ერთ სასწავლო წელს, ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტები ინსტიტუტის ჩემპიონებიც კი გავხდით.

უდიდესი კმაყოფილებით შემიძლია აღვნიშნო, რომ დასახულ მიზანს ავტორმა (“ნაწილობრივ”, როგორც თვითონ ამბობს გ. დ.) მიაღწია, დღეს იგი პოპულარული პიროვნება და წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის აღიარებული მეცნიერია. მან პრაქტიკულ საქმიანობას კარგად შეუთავსა წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების კვლევა-ძიება. ამ საგნის ისტორიის საკითხები სრულიად ახალი ასპექტებით გააშუქა. მისი მონოგრაფიიდან გადაიღეს ტელეფილმი “მითი და რეალობა”. იგი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

აკადემიკოსმა ბაადურ რაჭველიშვილმა საქებარი გამოკვლევის გამოქვეყნებით ფარმაცევტული დარგის წარმომადგენლებს ყველას დაგვასწრო. ეს სულ არ არის გასაკვირი – თუ თვალს გადავაავლებთ ბატონი ბაადურის მეცნიერულ მემკვიდრეობას, იგი, გამორჩენილი საზოგადო მოღვაწე გახლავთ: შინაგან სწეულებათა დაავადებების ცნობილი დიაგნოსტიკოსი, მკურნალი და კლინიციისტი. ამავე დროს მედიცინის ისტორიის კომპეტენტური მკვლევარია. აქვე აღვნიშნავ, რომ ბატონი ბაადურის სულიერი გატაცება – “ჰობი” გახლავთ ღირსეულ თანამემამულეებზე ესეების გამოქვეყნება. მან **სახოტბო** ნარკვევები არ დაიშურა აკადემიკოსებზე: ირაკლი ჭუმბურიძეზე, ვახტანგ ბოჭორიშვილზე, სიმონ ჯანაშიაზე, პარლამენტარ კოტე ჩოლოყაშვილზე, ემიგრანტის შთამომავალზე, საერთაშორისო რეზონანსის მქონე მეცნიერზე “დოქტორ შატცზე” – ანუ გიორგი ჭაჭიაშვილზე (მკითხველს ვურჩევ გაეცნოს ბროშურას “მას რომ სამშობლო უყვარდა...”), ცნობილ დასტაქარზე ვახტანგ ხუციძეზე, პროფესორ კოტე ვირსალაძეზე, პროფესორ გიორგი კვიციანიშვილსა და სხვებზე. ამ ესეების წაკითხვა და გაცნობა ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია მკითხველისათვის. ამიერიდან ამ საპატიო მეცნიერთა და საპატიო მოქალაქეთა სახოტბო გალერეას მიემატა ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, წამალთმცოდნე ს. სალუქვაძე, რაც სრულიად დამსახურებულია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XX საუკუნის 70-ან წლებში მკვლევარი ს. სალუქვაძე დაინტერესებული იყო საქართველოში ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარებით, რაც მიზნად ისახავდა მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის მიზანდასახულად გამოყენების საფუძველზე მზა წამლის ფორმათა კოეფიციენტის გაზრდას, ევროპის მოწინავე ქვეყნების ფარმაცევტულ საწარმოთა გამოცდილების გაზიარებას. მოწინავე სამრეწველო ცენტრებში სამედიცინო და ფარმაცევტული მრეწველობის ინჟინერ მედტექნიკოსების ეროვნული კადრების აღზრდას, სამედიცინო ტექნიკის იარაღების წარმოების საამქროთა ამუშავებას და მდიდარი მეცნიერული რეკომენდაციების პრაქტიკულ რეალიზაციას, ანუ წარმოებაში დანერგვის მცდელობას. ამ საკითხზე წამალთმცოდნე ს. სალუქვაძემ გამოსცა მონოგრაფია: **“სამედიცინო მრეწველობისა და სააფთიაქო საქმის განვითარება და პერსპექტივები საქართველოში”**, რასაც მოყვა კოლეგებთან: გურამ ხანთაძესთან და გივი საყვარელიძესთან ერთად, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე სამედიცინო პლაკატებისა და კედლის კალენდარის გამოცემა: ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულსა და ფრანგულ ენებზე. ამ პუბლიკაციების გამოქვეყნებამ ზემოთ დასახელებულ ავტორებს საყოველთაო აღიარება და პოპულარობა მოუტანა. როგორც მახსოვს, ეს პლაკატი საქართველოს ყველა აფთიაქში იყო გამოკრული და ზოგიერთი პოლიკინიკის ფოიესაც ამშვენებდა. ქართველ ტურისტებს ეს პუბლიკაციები საზღვარგარეთ სუვენირების სახითაც გაჰქონდათ ქართული კულტურის პოპულარობის მიზნით.

ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში 30–ზე მეტი მეცნიერულად დასაბუთებული წინადადება–რეკომენდაციაა, მათ შორის ერთ-ერთი გახლავთ, მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უწყებიდან თბილისის სააფთიაქო სამმართველოს ქსელის გამოყოფა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ეს იმ დროს, როცა რკინიგზის სადგურში, მედიკამენტებით დატვირთული კონტეინერების გადმოტვირთვაზე, მთავარი სააფთიაქო სამმართველოს რესპუბლიკური ბაზის თანამშრომლები დიდ ჯაფასა და შრომით ხარჯავდნენ. პროვიზორ-ორგანიზატორი სოკრატ სალუქვაძე ცენტრალური ბაზიდან მედიკამენტების გადაზიდვის გრაფიკის დაჩქარებას დასრულყოფას მოითხოვდა. ფიქრობდნენ ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ზუგდიდის, გორის, თელავისა და ოზურგეთის სააფთიაქო ბაზების შენობათა მშენებლობის ოპერატიულად დაწყებაზე. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველოში გაუქმდა მთავარი სააფთიაქო სამმართველო, რასაც ავტომატურად მოჰყვა დედაქალაქის დამოუკიდებელ ბაღანსზე ცალკე გამოყოფილი სააფთიაქო ქსელის დეცენტრალიზაცია თბილისის №№ 2, 3, 4, 6, 8, 11, 12, 13, 15, 18, 19, 26, 33, 36 და სხვა აფთიაქებში მასობრივად გაუქმდა საანსტენტოები, ექსტემპორალური წამლის მოსამზადებელი განყოფილებები. ჩვენმა სოკრატ სალუქვაძემ, თუ შეიძლება ასე ითქვას, დედაქალაქის №1 აფთიაქში კბილებით შეინარჩუნა სარეცეპტურო საწარმოო და საანსტენტო განყოფილება. ამ დროს აფთიაქებში ვეღარ იშოვი სარაჯიშვილის მიქსტურისათვის მედინალს, ვერცხლის ნიტრატის ხსნარს, აღარსად არის დიკაინის ფხვნილი, კოდეინის ფოსფატის ფხვნილი ტუხტის (ხველების) მიქსტურაში ჩასაყრელად, ჭირი მოგვჭამა ქლოროფორმის ხსნარმა, შხამი ყოფილა კალიუმის პერმანგანატი, აღარსად იშოვება ქართული წარმოების პლატიფილინის, დიმედროლის ფხვნილი, დიონინი, პახიკარპინი, პილოკარპინი, სკოპოლამინი, ეუფილინი, სადღაა დამხმარე მასალა, ან სააფთიაქო ჭურჭელი, სადღაა წლიური განაცხადების შემდგენელი კვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფი, რომელთა რეალური, პროგნოზირებადი განაცხადებით შემოდის მედსაქონელი. ამაზე ყველას გვტკივა გული. მტკივა გული, რომ პროფსიონალიზმზე პროფანიზმი გაბატონდა. როგორ ხასიათზე იქნებიან სააფთიაქო ქსელის ყოფილი წამყვანი სპეციალისტები, მათ შორის დარგის დიდი გულშემატკივარი სოკრატ სალუქვაძე?!

**ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი**

ბენდი ღებანოსიძე

წამალთმცოდნის მეცნიერული მოსაზრებანი, ანუ ვინ არის სოკრატ სალუქვაძე?



აკადემიკოსი სოკრატ სალუქვაძე

ჩვენი მიზანია ამ მოზრდილ წიგნში ნაწილობრივ მაინც გავაშუქოთ წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევა-ძიების ის შედეგები, რომელსაც სოკრატ სალუქვაძე სამ ათეულ წელზე მეტია ინტენსიურად იკვლევს და მის მიერ არაერთი მეცნიერული ღირებულების სიახლეა გამოვლენილი. რაც მთავარია, ფუნდამენტური მონოგრაფიის გამოცემის შემდეგ თავს უფლებას ვაძლევ განვაცხადო: ასეთი დრმა მეცნიერული ინტერპრეტაციებით ძიება საქართველოს წამალთმცოდნეობაში დღემდე არავის უწარმოებია. სულ ახლახან საქართველოს განათლების სამინისტრომ, ბოლონის დეკლარაციის მოთხოვნების თანახმად, სოკრატ სალუქვაძეს მიანიჭა ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის ხარისხი.

აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი

სოკრატ სტეფანეს ძე სალუქვაძე დაიბადა 1935 წლის 10 მაისს. ოზურგეთის რაიონის სოფ. ღიხაურში. პროფესიით წამალთმცოდნე (პროვიზორია). 1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. საქართველოში წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის ერთადერთი მკვლევარი და ფუძემდებელია. 1987 წელს გამოვიდა სოკრატ სალუქვაძის ფუნდამენტური მონოგრაფია „წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე“. ამ მონოგრაფიის გარდა ამჟამად დამოუკიდებელი ერთთაბახიანი ბროშურაც კი არ არსებობს წამალთმცოდნეობის კვლევის საკითხებზე. სოკრატ სალუქვაძის სახელს უკავშირდება წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის საკითხები, არქეოლოგია, სამედიცინო ტექნიკა და მათი ანალიზი, მედიცინა და ეკლესია. გარდა ამისა, 40 წელია, არაერთ უმაღლეს სასწავლებელში ეწევა პედაგოგიურ სამეცნიერო მოღვაწეობას: კერძოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და არაერთ კომერციულ უმაღლეს სასწავლებელში კითხულობდა და კითხულობს ლექციებს წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიაში, სამედიცინო საქონელმცოდნეობაში, წამალთტექნოლოგიაში და ფარმაცოგნოზიაში. ს.სალუქვაძის ავტორობით გამოცემულია შემდეგი მონოგრაფიები:

„საქართველოში სააფთიაქო საქმისა და სამედიცინო მრეწველობის განვითარება და პერსპექტივები.“ რუსულ ენაზე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი – 1979 წელი;

„ვარძია – წამლის სასახლე“. ქართულ და რუსულ ენაზე. გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი – 1979 წელი;

„ვარძია – წამლის სასახლე“. ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინ გლისურ ენებზე. გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი – 1981 წელი;

„წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე“. გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი – 1987 წელი;

„მედლების მოსამზადებელი სახელმძღვანელო“, ექიმ თ. ჟვანიასთან თანაავტორობით. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. ქართულ ენაზე. გამომცემლობა „სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი – 1982 წელი;

„ძველი ქართული კარაბადინების სახელმწიფო – იურიდიული ასპექტების საკითხისათვის“. ქართულ ენაზე. გამომცემლობა „თამარიანი“. ბათუმი – 1991 წელი;

„თბილისის №1 აფთიაქი – მუზეუმის ისტორია“, ქართულ ენაზე. გამომცემლობა „თბილისი“ – 2004 წელი;

ასე რომ, მკვლევარი ს. სალუქვაძე 7 მონოგრაფიის ავტორია, მათ შორის ერთ-ერთი, როგორც ხემოთ აღენიშნეთ, ფუნდამენტურია, 675 გვერდიანი, ექ. თ. ჟვანიასთან ერთად გამოცემული აქვს მედლების მოსამზადებელი სახელმძღვანელო. მისი ავტორობით შესრულებულია 45 მეცნიერული შრომა. ამჟამად გამოსაცემად მზად არის 12 მონოგრაფია. ს. სალუქვაძე რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების აქტიური თანამშრომელია – ინტენსიურად აქვეყნებს სტატიებს წამალთმცოდნეობის და მედიცინის ისტორიის საკითხებზე. ბერლინში 1979 წელს გერმანულ-ქართულ ფარმაცევტულ კულტურულ კავშირებზე ჟურნალ „ფარმაცოლოგიაში პრაქსის“ ფურცლებზე, ხოლო 1982 წელს ა.შ.შ.-ში. ჟურნალ „სოვიეტ ლაიფის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ვრცელი სტატია საქართველოს წამალთმცოდნეობისა და სამედიცინო ტექნიკის სიძველეებზე. ს. სალუქვაძის კორესპონდენციები ხშირად გადაიცემა რადიოთი და ტელეარხების საშუალებით. მისი მონოგრაფიის მიხედვით დაწერილია კინოსცენარი “მითი და რეალობა”, გადაღებულია ტელეფილმი, რომლის წამყვანი თვითონვეა. ტელეფილმი დაჯილდოებულია „გრანპრის“ პრიზით.

კოლეგები სოკრატს ხუმრობით, ქართველ „ჰენრიხ შლიმანს“ უწოდებენ, ვინაიდან მან არქეოლოგიური გათხრების შედეგად ორი აფთიაქი აღმოაჩინა, ერთი თარიღდება XV ს-ით, მეორე – XVII ს-ით. საინტერესოა ის დამთხვევა, რომ შუა საუკუნეების დიდი ენციკლოპედისტს, მკურნალ ზაზა ფანასკერტელს, ვისაც 500 წლის წინათ „კარაბადინის“, იგივე „ფარმაცოპიის“ შედგენაში მონაწილეობა მიუღია, საკუთარი ფეოდალური აფთიაქიც ჰქონია (იხ. შესაბამისი ფოტოსურათი ბ.რ.) ჟამთა სვლამ შემოგვინახა დიდი მკურნალის ზაზას შთამომავლის თახჩებიანი აფთიაქი, რომლის აღმოჩენა მკვლევარმა ს. სალუქვაძემ თავის მდიდარ ინტუიციასზე დაყრდნობით მოახერხა (იხ. თახჩებიანი აფთიაქი სოფ. ნიზბისში, მცხეთის რაიონი. თარიღდება XVII საუკუნით ბ.რ.) ავტორის აზრით, როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში, როცა არ იყო დენის წყარო და სამაცივრო დანადგარები, მკურნალები და აფთიაქრები კლდეში გამოკვეთილ თახჩებზე ინახავდნენ თერმობილური წამლების კომპონენტებს. ამიტომ გრილ ადგილას აშენებდნენ წამლის სასახლეებს – აფთიაქებს. ასეთია ავტორის მოსაზრება შუა საუკუნეების აფთიაქების შესახებ. იგი გვაწვდის ცნობას, რომ ასეთი თახჩებიანი ნაგებობა უფლისციხეში (V ს.) მოქმედებდა (დ. ხახუტაიშვილი). ხოლო ვარძიაში ასეთი თახჩებიანი აფთიაქი XII საუკუნიდან მოქმედებდა (გიორგი ტყეშელაშვილის ცნობით). ს. სალუქვაძის წინადადებით ძველთა დაცვის უწყებამ ვარძიის ციხე-ქალაქის კომპლექსის ეს 221-თახჩიანი უცნაური ნაგებობა – წამლის სასახლე –

მუზეუმ-ნაკრძალად გამოაცხადა. თახჩებიანი აფთიაქი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სოკრატ სალუქვაძემ თვითონ აღმოაჩინა. ამ სურათზე სწორედ ეს მომენტი აღბეჭდილი.


სოკრატ სალუქვაძემ 1998 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „წამალთმცოდნეობა შუა საუკუნეებში X-XV ს.ს.“ ქ. თბილისის № 1 აფთიაქის ბაზაზე 2000 წელს დააარსა მუზეუმი და ამჟამად მუშაობს № 1 აფთიაქი-მუზეუმის დირექტორად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები ფეოდალ მაღალაძეების შესახებ, რომელთა საფეოდალოში 600 წლის წინათ საეკლესიო მედიცინის კერა მოქმედებდა და ამ საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ ასევე საეკლესიო მედიცინის მსახურები – ქადაგები, მდივან-მწიგნობარ-კალიგრაფები, არქიმანდრიტები, მგალობლები და მეფის ბეჭდვის შენახვის ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებსაც ძველი ქართულით „მორდალი“ ერქვა. შემოქმედებითი მიგნებებით არის დატვირთული მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის ამ ბოლო წლების გამოკვლევები. მან ს.ც.ს.ს. არქივში მიაგნო დღემდე უცნობ საბუთებს და ისინი კვლევა-ძიებაში შემოიტანა.

სავარაუდოა, რომ ბრძენთმთავარსა და მკურნალს ზაზა ფანასკერტელს არაერ-



მკვლევარმა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინა 500-თახჩიანი მაღალაძეების აფთიაქის ნაშთები. ამ ფოტოსურათზე ეს მომენტი აღბეჭდილი. არგუმენტი ის გახლავთ, რომ დიდი მკურნალის ზაზა ფანასკერტელის მითითებათა საფუძველზე შედგენილი კარაბადინის, იგივე ფარმაკოპეის ტექსტის 1368 გვერდიდან 1008 გვერდი ეკუთვნის საეკლესიო მედიცინის წარმომადგენელს მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძეს. ეს ავტოგრაფი დედანი სამეცნიერო კვლევით მიმოქცევაში მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ შემოიტანა. ფანიაშვილების სიგელ-გუჯრის დედანის (გაცემული კონსტანტინე II ბაგრატიონის მიერ 1491 წელს) საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დედნების ფონდი № 1448 საბუთი № 63 კარაბადინის ფურცლებთან შედარება, ექსპერტიზის ჩატარება წამალთმცოდნის ინიციატივა გახლავთ და თქვენვე განსაზღვრეთ, ვისაც „სამკურნალო წიგნი“-ს, „კარაბადინი“-ს ანუ „ფარმაკოპეი“-ს შედგენაში მონაწილეობა მიუღია, მას საკუთარი აფთიაქიც ჰქონია ისეთივე თახჩებით, როგორიც ვარძიაში იყო 800 წლის წინათ...

უფლისციხეში 1500 წლის წინათ აგებული ასეთივე თახჩების ორი მწკრივი დღემდე შემორჩენილი. თქვენვე გასინჯეთ, წერილობითი საბუთი „ფარმაკოპეა“ და აფთიაქი – წამლის სასახლე – მაღალაძეების გვარს დაუკავშირდა და ასეთ ძლიერ არგუმენტსა და მტკიცებულების ფაქტს მართლაც წყალი არ გაუვა. 2007 წლიდან ბატონი სოკრატ სალუქვაძე მუდმივ პენსიაზე გაუშვეს.



თი საავადმყოფო და აფთიაქი ექნებოდა, მაგრამ ჟამთა სვლამ XV საუკუნის II ნახევრიდან იგი აღარ შემოგვინახა. ცნობილია მხოლოდ, რომ ძამას ხეობაში ცივების სამკურნალო ეკლესია მოქმედებდა.

ზაზა ასპანდიე-ფანასკერტელის უშუალო შთამომავალთან, თანამედროვე ხუროთმოძღვარ ელდარ ციციშვილთან ერთად სოკრატ სალუქვაძემ ჩაატარა არქეოლოგიური წმენდა ზაზას ციხეში სოფელ ნიზისში. აქაც ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილის აფთიაქის არსებობა დადასტურდა. კედელში ჩაშენებულია 60-მდე თახჩა, აქვე მიმდევრობით განლაგებული ყოფილა ავადმყოფთა პალატები და ჰიგიენის თვალსაზრისით საინტერესო დაწესებულება – აბანო. აფთიაქის იატაკზე აღმოჩენილია ფერადი მინის, ფაიფურის და მოჭიქურებული კერამიკული ჭურჭლის ნამსხვრევები. ჭრილობაზე მალამოს წასასმელად ციციხე – ლაფერა – ანუ “შპადელა”. ზაზა ამავე ციხეში აშენებდა სამკურნალო მცენარეებს. ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილი მოკლეს სამეფო კარზე მუხრანის ბაგრატიონებმა (1676წ.). ამ ფეოდალის წიგნსაცავიდან გატაცებული უნიკალური ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი (ფონდი Q № 1082) შემდეგ კახეთის ბაგრატიონთან აღმოჩნდა – იგი თეკლე ბატონიშვილს ერეკლე II-მ მზითვად გაატანა ორბელიანების ოჯახში. დიდი წინაპრის „ზაზას კარაბადინი“ XVII საუკუნის II ნახევრის, ზაზას უშუალო შთამომავლის, ნიზისის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის წიგნსაცავში ყოფილა შემორჩენილი. იგი ვახტანგ V შაჰნავაზისა და მეფე გიორგი XI-ის იასაულებს კონფისკაციის წესით წაურთმევიათ, სახლ-კარი ამ ფეოდალისა გადაუწვავთ და ამრიგად ლევან მირზას და ვახტანგ VI-ის გამგებლობაში აღმოჩენილა ზაზას კარაბადინი. ვახტანგ VI-მ გამოიჩინა მამულიშვილობა, მის მიერ დაარსებულ სტამბაში ეს ხელნაწერი აკინძა, ახალი პაგინაცია მისცა, ჯიქის ტყავში ჩასვა და როგორც ჩანს, 1724 წელს რუსეთში ემიგრაციაში, თან წაიღო. ეს ხელნაწერი კარაბადინი 1945 წელს თორნიკე ჭყონიამ თბი-

ლისში ჩამოიტანა ლავრენტი ბერიას განკარგულებით. პოეტმა გ. ლეონიძემ დაგვიწერა შოთა რუსთაველის პოემა ვეფხისტყაოსანის ამ ხელნაწერის სათავგადასავლო ისტორია. მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ დაგვიწერა ვეფხისტყაოსნისა და კარაბადინის ანლოგიური სათავგადასავლო ისტორია. ეს ხელნაწერები ჯერ საქართველოდან რუსეთში გატანის და შემდეგ საქართველოში დაბრუნების თვალსაზრისით ტყუპებივით გავდნენ ერთმანეთს. ამ გამოკვლევას ჰქვია: სოკრატ სალუქვაძე: „ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო წიგნსაცავის ისტორიიდან“.



1491 წელს მეფე კონსტანტინე II ბაგრატიონის მიერ წინამდებარე გრანიტის ფილა ეკუთვნის არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის კოლექციას და იგი ინახება ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (V ს.). წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძემ ამ ნივთს სამედიცინო ემბლემის ფუნქცია მიანიჭა. იგი ჩაშენებული უნდა ყოფილიყო სამედიცინო დაწესებულების კედელში.



სოკრატ სალუქვაძის იდეის შედეგად ცნობილმა გრაფიკოსმა მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ შექმნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემბლემა, რაც გაიზიარა სამედიცინო სამეცნიერო საბჭომ და დაადგინა ამ უმაღლესი სასწავლებლის ემბლემად. იხ. ისინი და შეადარეთ ურთიერთს!

გაცემული იყო ფოთდალ-ფანიაშვილების მისამართით სიგელ-გუჯარი, იგი თავიდან ბოლომდე საეკლესიო მედიცინის კალიგრაფის, მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძის ხელით გახლავთ დაწერილი. მკვლევარმა ს. სალუქვაძემ არქივში მიაგნო ამ დოკუმენტს და პალეოგრაფიული ექსპერტიზით დაამტკიცა, რომ Q ფონდის № 877 ხელნაწერი – კარაბადინის (XV ს.) 1368 გვერდიდან 1008 გვერდი მაღალაძეთა საგვარეულოს კალიგრაფ მახარებელს ეკუთვნის. ეს კი დიდი მნიშვნელობის საბუთია.

ჩვენამდე ამ ხელნაწერის ერთადერთი დედანია მოღწეული, რაც დოკუმენტური ანალიზით დადგინდა, ბატონ სოკრატს მიაჩნია, რომ თუ დღემდე ზაზა ფანასკერტელი კარაბადინის შემდგენელ ავტორად ითვლებოდა, ხოლო მახარებელ მაღალაძე კი მჩხრეკელ-გადამწერად, გაირკვა, რომ ერისთავთ-ერისთავი, მკურნალი და ბრძენთმთავარი ზაზა ფანასკერტელი დამკვეთ-მომგებელი, ხელნაწერის შექმნის ინიციატორი და შესაძლებელია “სამკურნალო წიგნის” თანაავტორი იყოს, ხოლო მაღალაძე წიგნის ერთ-ერთი ავტორი – ზაზას დაკვეთის შემსრულებელია. ჩვენამდე ხელნაწერი კარაბადინის დედანია მოღწეული და მაღალაძეზე, როგორც მხოლოდ გადამწერზე, არ შეიძლება საუბარი. შეიძლება ეს საკითხი სადაო იყოს, მაგრამ მკვლევარს ასე სჯერა და ჩვენის აზრით, არც თუ უსაფუძვლოდ. ვინაიდან ავტოგრაფსა და ხელნაწერზე პალეოგრაფიული ექსპერტიზა ხელნაწერების ისტორიაში დღემდე ავტორთა ვინაობის დადგენის ერთადერთ უტყუარ საბუთად ითვლება.

მის მიერვეა შემოთავაზებული მედიცინის ემბლემად და დასანერგად ელ. ბერძენ-

იშვილის გრაფიკული შედეგრი „მედეა“, რომელსაც ავტორის თხოვნით მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ გაუკეთა ლათინურენოვანი წარწერა: „მედეა კოლხიკა მედიკარე სეუ მედიცინა“, ეს ქართულად ასე უდერს: „კოლხელი მედეას მკურნალობანი ანუ მედიცინა“. ეს თემატიკა 300 წლით წინ უსწრებს ასკლეპიოსის, იგივე ესკულაპის ეპოქას. რადგანაც მეცნიერებაში ქრონოლოგიური წინსწრება დიდი პრივილეგია გახლავთ.

ს. სალუქვაძის გამოქვეყნებული მონოგრაფიების ფოტოპირები.



ავტორის კონცეფციის თანახმად, კოლხელი მედეას სამედიცინო მეთოდები პორტრეტთან ერთად აღიარებული უნდა იქნეს კაცობრიობის ერთ-ერთ უძველეს ამბულატორიუმად, რომელიც 300 წლით წინ



უსწრებს ასკლეპიოსის იგივე ესკულაპის ეპოქას. გრაფიკული შედეგრი „მედეა“ მოხატა ელგუჯა ბერძენიშვილმა პროფ. ლევან სანიკიძის დოკუმენტური პროზის „ამბავი კოლხი ასულისა“-ს მიხედვით. ლათინურენოვანი წარწერა ამ პორტრეტს წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძის თხოვნით გაუკეთა ცნობილმა გრაფიკოსმა მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ, რომლის ქართული შესატყვისი ასეთია: „კოლხელი მედეას მკურნალობანი ანუ მედიცინა“.

ყოველივე ამის გამო არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორის წინადადებას, რომელიც მან დასვა ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში (ქ. ვენეცია) და იუნესკოს

წინაშე (ქ. პარიზი), რათა ეს თემატიკა მედიცინის ერთერთ პარალელურ ემბლემად დაინერგოს, ვინაიდან იგი 300 წლით უხუცესია ესკულაპის, იგივე ასკლეპიოსის ეპოქაზე. ამავე დროს ეს თემატიკა 1000 წლით წინ უსწრებს მედიცინის მამამთავრად მიჩნეულ ჰიპოკრატეს ეპოქას (ძვ. წ. V-IV საუკუნეები.)

მკვლევარ ს.სალუქვაძეს აქვს წამოყენებული საინტერესო მოსაზრება, რომელიც სიტყვის ეტიმოლოგიურ ფუძეს ეყრდნობა. ცნობილია, რომ ასკლეპიოსის ერთერთ ქალიშვილს პანაცია ერქვა. დღეს უნივერსალურ სამკურნალო საშუალებას „პანაცეა“ ეწოდება. სამედიცინო დისციპლინას, რომელიც სისუფთავის, ინფექციური დაავადების პროფილაქტიკას და ჯანმრთელობის დაცვას ეხება, 300 წელზე მეტია „**ჰიგიენა**“ ეწოდება, რომელიც ეტიმოლოგიურად ასკლეპიოსის ქალიშვილის ჰიგიას სახელს უკავშირდება.

ძველ რომში ბალახების, ყვავილების და სიყვარულის ღვთაებას ვენერა ერქვა. თითქმის 400 წელია სამედიცინო მეცნიერებას, რომელიც სწავლობს ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების ინფექციურ დაავადებათა მკურნალობას, – **ვენეროლოგია** ეწოდება. ძველ ეგვიპტეში ეამთა სვლის, დამწერლობის, ზომა-წონის, მთვარის და ჯანმრთელობის ღვთაების თოთის ფრესკის ქვეშ, ნაპოვნია წარწერა „ფარმაკონ“, რაც „მფარველს“, „მხსნელს“ ნიშნავდა. ხოლო ჰიპოკრატეს ეპოქიდან სიტყვა „ფარმაკონში“ – წამალი იგულისხმებოდა.

ზემთ ჩამოთვლილი ფაქტების ურთიერთშეჯერებისა და შედარების საფუძველზე მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე დასაშვებად მიიჩნევს, რომ მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას „**მედიცინა**“ რომ ეწოდება, ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილის მედეას სახელთან.

ს.სალუქვაძის საბოლოო დასკვნა ასეთია: პანაცეა – „პანაცეა“, ჰიგია – „ჰიგიენა“, ვენერა – „ვენეროლოგია“, „ფარმაკონ“, „ფარმაცია“, „ფარმაკოლოგია“, „ფარმაკოგნოზია“, „ფარმაცევტული ქიმია“, „ფარმაკოპეა“ და ა.შ. ანალოგიით მედეა – „მედიცინა“ ეტიმოლოგიურად ხომ არ უკავშირდება ურთიერთს, ამავე დროს კოლხეთის მეფე აიეტის და მისი ქალიშვილის მედეას ეპოქა 300 წლით წინ უსწრებს ასკლეპიოსის ეპოქას და 1000 წლით უხუცესია ჰიპოკრატეს ეპოქასთან შედარებით. მეცნიერებაში ქრონოლოგიური წინსწრების საფუძველზე ელ. ბერძენიშვილის გრაფიკულ შედეგურ „მედეას“ შესაბამისი ლათინურენოვანი წარწერით იგი მედიცინის ერთერთ პარალელურ ემბლემად გვთავაზობს და არგუმენტად მოჰყავს ინგლისელი მოგზაურის, „XX ს-ის არგონავტი“-ს ტიმ სევერინის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა 1984 წლის 21 ივლისს, მდინარე რიონში ჩაშვებულ „არგოს“ გემბანიდან: „კაცობრიობას აწვალებდა ფიქრი, მითი არგონავტების შესახებ, ზღაპარი იყო თუ სინამდვილე. საბედნიეროდ, ჩემი მოგზაურობა ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვამდე და მდინარე რიონის დელტამდე წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით პრაქტიკულად განხორციელდა. ამიტომ უფლებამოსილი ვარ, განვაცხადო: მითი სინამდვილეს შეესაბამება“.

თავის მოსაზრებას მკვლევარი ს. სალუქვაძე წერილობითი დოკუმენტებით ვერ ასაბუთებს, მაგრამ მეფე აიეტისა და მისი ქალიშვილის მედეას ეპოქასთან მიმართებაში ტიმ სევერინის განმეორებითი მოგზაურობა და მისი ნათქვამი „მითი სინამდვილეს შეესაბამებაო“, ავტორის მოსაზრებათა აღიარების არგუმენტად უნდა ჩავთვალოთ, თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიო მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებლის გერმანელი პროფესორის, კურტ შპრენგელის ხუთტომეულის I ტომი იწყება „უძველესი კოლხური მედიცინის“ ისტორიის შესწავლით და აღწერით. ხოლო რუსი მეცნიერის,

პროფ. ვალერი კრიკოვის ცნობით, ბერძნულ მეტყველებაში ტერმინი „მედიცინას“ მთიხსენიება ძვ.წ.ად. XII საუკუნეში. იგი არგონავტების მითის და თქროს საწმისის კოლხეთიდან გატაცების რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გამოჩნდა, რაც იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ მედეას ცხოვრების II ნახევარი, საბერძნეთს დაუკავშირდა. არ არის გამორიცხული, მედეა ბერძნული წარმომავლობის რომ ყოფილიყო, ასკლეპეოსისა და ჰიპოკრატეს წინამორბედად აღიარებდნენ. მაგრამ ტრაგიკული იყო მედეას ხვედრი, რომლის აღწერა მწერლებს, პოეტებს და დრამატურგებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ.




ზემოაღნიშნული ნახატი გახლავთ მეგობრული შარჟი ზაად სულაკაურისა „სოკრატ სალუქვაძის კარიკატურა“. თემატიკა იქედან გამომდინარეობს, რომ მწერლების მეგობარი წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე ხშირად იღებს მონაწილეობას პოემს ვეფხისტყაოსნის ზეპირად მთქმელთა კონკურსში, ამიტომ კარიკატურაზე იგი შოთა რუსთველის ძეგლთან ილიაში ვეფხისტყაოსნით გახლავთ წარმოდგენილი.

ამჟამად, ს. სალუქვაძეს გამოსაცემად გამზადებულ მონოგრაფიაში საუბარია წამალთმცოდნეობის ეროვნული ტერმინების, ემბლემებისა და შესაბამისი მეცნიერული შეხედულებების დანერგვის საკითხებზე. მან გაარკვია საქართველოს წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიაში „სამკურნალო წიგნის“, „კარაბადინისა“ და „ფარმაკოპეის“ იგივეობა, აღმოსავლეთმცოდნეთა ლექსიკონების განმარტებით და ლოგიკის მოშველიებით დაამტკიცებინა მართალია ქართულ სახელმწიფო აპარატში სამკურნალო წიგნები „კარაბადინები“ არაბულ-სპარსული სახელწოდებით მთიხსენიებოდა, რაც აღმოსავლური ცივილიზაციის გავლენის შედეგი იყო მაგრამ ეს ხელნაწერები ტექსტურად ანალიზით და ლექსიკოგრაფიული განმარტებით სასესებით შეესაბამებოდა ევროპულ ინტერნაციონალურ სახელმწიფო ფარმაკოპეებს. ამის გარდა საერთაშორისო სიტყვას „ფარმაციას“ სასესებით შეესაბამება ქართული შესაბამისი, ეროვნული ტერმინი „წამალთმცოდნეობა“, ისევე, როგორც, ბერძნული წარმომავლობის სიტყვის „პედიალოგიის“ აბსოლუტურად შესაბამისია „ნიდაგთმცოდნეობა“. ამჟამად ავტორი მოუთმენლად ელოდება თავისი მონოგრაფიის გამოცემას: ზოგადად „მედიცინა და ეკლესია“, კონკრეტულად „ქრისტეს მხედარი – წმინდა გიორგი, სწეულთა მკურნალი“.

მან გამოიყენა წამალთმცოდნეობის და სამედიცინო ტექნიკის, იარაღების პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრისათვის სრულიად უბრალო

მეთოდი: კობატოვის, კრენდალის და ვილსაბიტოვის სახელმძღვანელოებში მოცემულ თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის იარაღებს შეუდარა ძველი წელთაღრიცხვით ქრისტესშობამდე და ახალი წელთაღრიცხვის ქრისტესშობის შემდგომი პერიოდის, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული, სამედიცინო ტექნიკის სავარაუდო დანიშნულების იარაღები და მიიღო შთამბეჭდავი შედეგები. ასე, მაგალითად: ვერძის თავის დაბოლოებით და მცირე მოცულობის ბრინჯაოს კოვზის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრისას ავტორი გვთავაზობს, რომ ეს იარაღი ყურის სარჩილავად იყო გამოყენებული და ვერძის რქებიანი დაბოლოება, ვერძის კულტაყვანისმცემლობის გამო, მას მაგიურ ძალას ანიჭებდა. ასევე, ქრისტესშობამდე 1700 წლით ადრინდელ კერამიკული მოჭიქურებული ორიარუსიანი კერამიკული აპარატი, სახელურთან ვერძის რქებით მირჩილული და ასევე, რელიეფური გველის გამოსახულებით, შეადარა მადუღარაზე დადგმულ თანამედროვე საინფუზიო ფაიფურის აპარატებს და ასე განსაზღვრა 3700 წლის წინანდელი მოჭიქურებული კერამიკული ჭურჭლის ფუნქცია. საინტერესოა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული კონუსური ფორმის ფერადი მინის ჭურჭელი სამი გველის რელიეფური გამოსახულებით, შევიწროვებულ ყელთან მინისავე დიაფრაგმით და წერტილისოდენა ნახვრეტით. ეს უნიკალური ჭურჭელი, საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია არქეოლოგ გ. მანჯგალაძის მიერ. მკვლევარმა სოკრატ სალუქვაძემ დაადგინა, რომ 1700-1800 წლის წინათ იგი თხევადი წამლის ფორმების წვეთმზომი-დოზატორი გახლდათ. საქართველოში სხვადასხვა დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მინის სხვადასხვა ჭურჭლები თავის დროზე უნიკალური დოზატორის ფუნქციას ასრულებდა, ქართველთა წინაპრებს ხმარებაში ჰქონდათ სააფთიაქო მინის კოლბა, ასევე სააფთიაქო კომპონენტების მოსათავსებელი შტანგლასები. ნაპოვნია მოჭიქურებული ჭურჭელი 50 თუ 100 გრ ტევადობის სალბუნი-მაღამოს-საცხის მოსათავსებლად.

ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული სამედიცინო ტექნიკის იარაღები ჩვენთვის არის სარკე, თუ ლუპა რომლითაც



ვიცქირებით შორეულ ისტორიულ წარსულში. ამ სამედიცინო ტექნიკის იარაღებით ვარკვევთ, რა დონეზე იყო სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნება კაცობრიობის ისტორიული წარსულის ამა თუ იმ ეტაპზე.

სამი გველის რელიეფურ გამოსახულებიან კონუსური ფორმის ამ ჭურჭელს დიაფრაგმითურთ ისტორიკოსები სანელსაცხებლოს უწოდებენ. წამალთმცოდნე



სოკრატ სალუქვაძემ ქ. მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად (არქეოლოგ გ. მანჯგალაძის კოლექცია) უნიკალური დოზატორის ფუნქცია მიანიჭა.

ბატონი სოკრატ სალუქვაძე თითქმის 40 წლის მანძილზე ყოველდღიურად აგროვებდა სამუზეუმო ექსპონატებს, რომელთა უმრავლესობა №1 აფთიაქ-მუზეუმში და ასევე თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის სოციალური ფარმაციის კათედრაზეა გამოფენილი.

2004 წლის 21 დეკემბერს ს. სალუქვაძის მიერ გამოკვლეული ისტორიული ჩანაწერების საფუძველზე გამოიცა მონოგრაფია ქ. თბილისის №1 აფთიაქი-მუზეუმის ისტორიაზე. ამ წელს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ქ. თბილისის №1 აფთიაქის დაარსებიდან 125 წლისთავის იუბილე. 2000 წლის 17 ივნისიდან, მერიის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ა. ჯორბენაძემ ამ დაწესებულებას ბრძანებით აფთიაქი-მუზეუმის სტატუსი მიანიჭა, საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდა ამ სტრიქონების ავტორი. აქვე მოგვაქვს იუბილეზე წარმოთქმული სიტყვის ნაწყვეტი იმ მოხსენებიდან.

**სიტყვა, წარმოთქმული თბილისის №1
აფთიაქი-მუზეუმის 125 წლის იუბილეზე 2004 წლის
21 დეკემბერს, ამავე აფთიაქ-მუზეუმის დარბაზში**

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

ხშირად ჩავფიქრებულვარ, თუ რა იქნებოდა კაცობრიობის კულტურა, მას რომ ე.წ. „აკვიტებული იდეებით შეპყრობილი“ მეცნიერ-ენტუზიასტები არ ჰყოლოდა. ისინი წარსულის ბინდს მოულოდნელად შუქს მოფენენ ხოლმე და კარგად გადავიწყებულ ისტორიულ რეალიებს სასწაულებრივ აღადგენენ.

თუ არა ზემოაღნიშნულ მეცნიერ-ენტუზიასტთა ძალისხმევა, ალბათ, წარმოუდგენელი იყო, რომ ჰომეროსის მიერ მაღალმხატვრულად აღწერილი ამბები ჭეშმარიტ სინამდვილეს შეიცავს. უკანასკნელი ხომ შლიმანის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადგინა. ასევე წარმოუდგენელი იყო სულ ცხრა ასოსაგან შემდგარი ორენოვანი წარწერის შესწავლის საფუძველზე მანამდე უცნობი იეროგლიფური დამწერლობის გასაოცარი ლინგვისტური ძალისხმევით გახსნა და უმდიდრესი ეგვიპტური კულტურის ნათელყოფა.

ცხადია, რომ ადამიანის ფსიქიკური თავისებურებებიდან გამომდინარე ზემოხსენებული მეცნიერი-ენტუზიასტები ყველა ეპოქაში გვხვდებიან. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბატონი სოკრატ სალუქვაძე მათ რიცხვში შევიყვანოთ.

უკვე კარგა ხანია, ბატონი სოკრატ სალუქვაძე დაბეჯითებით და ამავე დროს, სავსებით არგუმენტირებულად ამტკიცებს, რომ მსოფლიოში სამეცნიერო დარგის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწყისი კოლხური ანუ ქართული მედიცინაა. ამასთან დაკავშირებით იგი წინადადებას იძლევა, რათა მედიცინის საერთაშორისო ემბლემად კოლხი ქალის-მედეას იერსახე იყოს გამოყენებული. ამასთან დაკავშირებით, როგორც ძველად იტყოდნენ: ბატონმა სოკრატმა „ზარი დაარისხა“ და ევროპის ყველა ცნობილ სამეცნიერო ცენტრში ზემოაღნიშნულ მოსახრებათა დამამტკიცებელი ცნობები გააგზავნა.

ბატონმა სოკრატმა ევროპელ მეცნიერებს უპირველესად ყოვლისა შეახსენა, რომ თვით დიდი ევროპელი მედიცინის ისტორიკოსის, კურტ შპრენგელის მიერ შექმნილი მსოფლიო მედიცინის ისტორიის ხუთტომეულში პირველი ტომის დასაწყისი კოლხურ მედიცინისადმი მიძღვნილი, ამასთან, კოლხური მედიცინა განხილულია, როგორც ერთ-ერთი საწყისი მსოფლიოში სამედიცინო აზროვნების ჩასახვა-განვითარებისა.

ამავე დროს თავის განცხადებაში ბატონი სოკრატი ევროპელებს ფრთხილად უსაყვედურებს, რომ მათ პროფ. კ. შპრენგელის შრომას, უმეტეს შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღებენ და არ იყენებდნენ მას თავის პუბლიკაციებში.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ ამას წინათ „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა ეთნოგრაფ ლევან ფრუიძის შესანიშნავი სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ 1999 წელს ლონდონის ცენტრში ვრცელ ფართობზე გაიხსნა მუდმივმოქმედი საერთაშორისო გამოფენა, მიძღვნილი მევენახეობა-მეღვინეობისადმი. რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, საგამოფენო პავილიონებს შორის საქართველოს პავილიონს პირველი შენობა აქვს დაკავებული და მას ასეთი წარწერა ამშვენებს **“ღვინის აკვანი”**. ამით, როგორც სტატიის ავტორი მიუთითებს (მოგვაქვს ციტატა) „ხაზგასმულია მეურნეობის ამ დარგის ჩასახვა-განვითარებაში ჩვენი სამშობლოს



2006 წლის 23 ნოემბერს თბილისში აღიმართა წმინდა გიორგის ძეგლი, რომელიც იყო, არის და იქნება უსამართლობასთან შეურიგებელი ბრძოლის სიმბოლო, გლახაკთა ხელის ამჟღავნებელი, მეგზურთა შემწე, მორწყვის ღვთაება, მეფეთა დასჯრის უძლეველობის წინამძღოლი და სწეულთა მკურნალი. ამ საკითხზე მადე გამოქვეყნდება სოკრატის ნარკვევი: „ქრისტეს მხედარი – წმინდა გიორგი, სწეულთა მკურნალი“. ამჟამად თავისუფლების მოედანზე აღმართული წმინდა გიორგი, საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და ერთგული დამოუკიდებლობის შენარჩუნების სიმბოლოდ უნდა ვაღიაროთ. ქრისტეანულ საქართველოში ხშირად გაიგონებთ ღოცვას: “გუარავდეს მადლი წმინდა გიორგისა”. ამინ, ამინ, ამინ”.

პრიორიტეტი“.

ბატონი სოკრატიც, სწორედ იმიტომ იღვწის თავგამოდებით, რომ ზემოაღნიშნულის მსგავსად საქართველომ კუთვნილი საპატიო ადგილი დაიკავოს იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც მედიცინის ჩასახვა-განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, არ შეიძლება არ შეგხერდეთ ბატონი სოკრატის როლზე იმ დღესასწაულში, რომლის გამოც ჩვენ აქ შევიკრიბეთ.

ესაა თბილისის №1 აფთიაქი-მუზეუმის 125 წლის საიუბილეო თარიღი. უპირველესად ყოველისა უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი სოკრატი №1 აფთიაქ-მუზეუმად გარდასახვის ავტორი და ინიციატორია. მან ამ აფთიაქში მოღვაწე ადამიანების შესახებ წიგნიც შექმნა, რის პრეზენტაციაც ამ წუთებში აქ ტარდება. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ №1 აფთიაქი არა მარტო მემორიალური დაწესებულებაა და ისტორიული წარსულითაა ცნობილი, არამედ იგი თანამედროვე მედიკამენტებით უხვად მომარაგებული, მაღალკომპეტენტური დაწესებულებაც გახლავთ.

ვუსურვოთ აფთიაქის ხელმძღვანელს და მის შესანიშნავ კოლექტივს გამარჯვებით განაგრძობდეს იარონ თავისი ხალხის საკეთილდღეოდ. რაც შეეხება ჩვენს მკვლევარს, სოკრატ სალუქვაძეს, მას არაერთი თემატიკა აქვს ბოლომდე გამოსაკვლევი, მაგრამ ამაზე წინასწარ არაფერს ამბობს. რადგან ასეა, მაქვს სურვილი წარმატებები ვუსურვო მას მომავალ მეცნიერულ კვლევა-ძიებაში.

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ბიოსამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი,
აკადემიკოსი:**

ბაადურ რაჭველიშვილი

P.S. ამ წიგნის შემდგენელისა და რედაქტორისაგან: მკითხველს რომ უფრო შთამბეჭდავი წარმოდგენა შეექმნას მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეზე, აქ ნიმუშად შემოგვაქვს მისი 4 გამოკვლევის ტექსტი, ასევე „ისტორიული ცნობები სალუქვაძეების შესახებ, ანუ ვისი გორისა ვარ“ და ჩვენი ლექტორისა და აღმზრდელის, აწ განსვენებული, დოცენტ ნუნუ იობიშვილის ლექსი „გურია“, მიძღვნილი სოკრატ სალუქვაძისადმი, ამიტომ ეს წიგნი ცოტა განსხვავებული რედაქციით გამოდის.

რასაც ემატება პროფესორ დურმიშხან ცინცაძის ესეა, პროფესორ ნოდარ ლომურის სტატია: „ფარმაკოპეა ქართული კულტურის ისტორიაში“ ჩემი კომენტარებით, ჟურნალისტების: გურამ გოგიაშვილის, ვილენ მარდალეიშვილის, ჩარიტა მამისეიშვილის, კოლეგების: თენგიზ და მანანა მაისურაძეების, პროფესორი დიმიტრი კორძაიას, გენერალ-მაიორის, აკადემიკოს, ელგუჯა მეძმარიაშვილის და აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ორიგინალური ჩანახატები.

**ამ წიგნის შემდგენელის, რედაქტორის მოსახრებები
ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორზე, აკადემიკოს
სოკრატ სალუქვაძეზე**

ჩემი კოლეგა, სოკრატი, ობლობაში იზრდებოდა, მაგრამ მზრუნველი და მშრომელი დედის, ქალბატონ ლუბა სალუქვაძის მზრუნველობით, მას თითქმის არაფერი აკლდა, სა- მაგალითო დედა-შვილობა ჰქონდათ და ურთიერთგაგებულნი, დიდი სიყვარული ასახრ- დობდათ. ზღაპარივით მახსენდება 1957 წელი. ქ. ქობულეთში სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა სამკურნალო და არომატული მცენარეების მოსაშენებელ მეურნეობაში გა- ვიარეთ. ზღვაში ბანაობით და ცურვით ვიჯვრეთ გული. თანაკურსელი ბიჭები რვანი ვიყავით, მანქანა “ზიმი” დავიქირავეთ და გავემგზავრეთ დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელ ლისაურში. ვნახეთ ორსართულიანი წაბლისხისაგან ნაშენები სახ- ლი, ხეხილით დამშვენებული, ბაღ-ვენახიანი ეზო და რაც მთავარია, ვიგემეთ სოკრატის დედის, ქალბატონ ლუბა სალუქვაძის გულმხურვალე მასპინძლობა – პური, ღვინო, გემ- რიელი კერძები, დიდი სითბო და კეთილი გული.. ხაჭაპურები, ღობი და საცივი.




ბატონ სოკრატის მშობლები: დედა – ლუბა კონსტანტინეს ასული მეფავია-სალუქვაძისა და მამა – სტეფანე ამბაკოს ძე სალუქვაძე

მაშინ არც სოკრატს და არც ამ სტრიქონების ავტორს, ერთი ღერი თმა არ გვაკ- ლდა და რვანივე: **შოთა კუხალაშვილი, ნოდარ დევიძე, ბორის გუნჯუა, დუშიკო კო- ბახიძე, ჯემალ ყიფიანი, თვით სოკრატ სალუქვაძე, რეზო მურღულია და ამ სტრიქო- ნის ავტორი გენრი დეკანოსიძე.** ყველანი ქოჩორა ბიჭები ვიყავით. იმ დროს მე პირველს შემეტყუო თმების შეთხელება. ამ წუთისოფელს კი ოთხი შემოვრჩით: **შოთა კუხალაშვილი, სოკრატ სალუქვაძე, მე და სიმონ ბარათაშვილი,** რომელსაც აკადე- მიური შვებულების აღების გამო დავეწიეთ მეოთხე კურსზე. ამავე კურსზე გურამ იმნაძეც შემოგვიერთდა, სამწუხაროდ, აღარც ის გახლავთ ცოცხალთა შორის. ათი თანაკურსელიდან ექვსი გარდაცვლილია. უფაღმა ყველანი ნათელში ამყოფოს.

აქვე მინდა გამოვაქვეყნო ჩვენი სოკრატის ერთი ღია წერილი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან შენგელიას მისამართით. მისი შინაარსის გაცნობისას ირკვევა, რომ მკვლევარს როგორი რთული გზებით უვლია წლების მანძილზე, რამდენს უტკენია გული უკადრებელის კადრების გამო. ჩემამდე ვერ მოდის, რატომ უნდა იყოს რომელიმე ჩვენთაგანის ცხოვრებაში, ხელოვნურად შექმნილი სიძნელეები.

ამ სტრიქონების ავტორმა, ცხოვრების უმეტესი ნაწილი ექსპერიმენტულ ძიებაში გაატარა. შევისწავლე სამი სამკურნალო მცენარე, გამოვუშვი პრეპარატები, დაწერე ისინი პრაქტიკაში და დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. საბჭოს წევრებმა, რა თქმა უნდა, ყველამ დადებითი ხმა მომცა. მომიახლოვდა თანკურსელი სოკრატ სალუქვაძე და ასე მითხრა: “შენი სადოქტორო დისერტაცია, ევროპულ, საერთაშორისო დონეზე შესრულებული ნაშრომია” და გულითადად მომილოცა. ასეა, ჩვენ ყველანი ერთმანეთის სიკეთით უნდა ვსულდგმულობდეთ და კოლეგის წარმატებები გვახარებდეს. სოკრატი სწორი აღმოჩნდა. ჩემი მოკრძალებული შრომები სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.



ბატონ სოკრატ სალუქვაძის ბაბუა: ამბაკო როსტომის ძე სალუქვაძე (1847–1926) ყოველ სადღეგრძელოს მოაყოლებდა ვეფხისტყაოსნიდან აფორიზმს. ათი დედმაშვილიდან შთამომავლობას მხოლოდ ამბაკოს სურათი შემორჩა საწერკაღმით ხელში. იგი განათლებული, მწიგნობარი და მგალობელი კაცი ყოფილა.

ვსარგებლობ შემთხვევით და ექსპერიმენტის წარმოების თანამონაწილე ჯგუფის წევრებთან ერთად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძეს დიდ მადლობას მოვასხენებ ჩვენი შრომის სახ. პრემიის დაურეაგობაზე წარდგენისათვის და, საერთოდ, მზრუნველობისათვის. კონკურსის შედეგები დადებითი აღმოჩნდა – ავიღეთ ფულადი ჯილდო და მიგვეკუთვნა სახელმწიფო პრემიის საურეატის წოდება. მიკვირს, ძალიან მიკვირს, ასეთი დამძიმებული წლებით ცხოვრება რატომ უნდა მოსწოდდა წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარს. მითხ-

ველის ყურადღება მინდა გავამახვილო ზემოთ ნახსენები ღია წერილის შინაარსის თაობაზე, რომელიც ბატონ სოკრატს მიუწერია თანამემამულისათვის, მასში იგრძნობა გულის ტკივილი, სინანული და ამავე დროს შეუდრეკელობა. აი, ეს წერილიც:

ღია წერილი პროფესორ, ლევან შენგელიას

გულითადად მოგესალმებით, ბატონო ლევან!

ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, რომლებითაც ჩემმა ოპონენტებმა მატარეს, დეტალურად რომ ვიამბოთ, “ენა დაშრების მსმენლისა, ყურნიცა დაგაღლებიან”.


მას შემდეგ, რაც წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების კვლევის აღმართს შევუდექი, ვინ მოსთვლის, რამდენი ცილისწამება გადავიტანე ჩემი ოპოზიციური ოპონენტებისაგან. საქმე ის გახლავთ, რომ ობლობაში ვიზრდებოდი და მაკლდა შარვლიანი, ბრძენი კაცის დარიგება, თავი რომ გაგანებოთ პურის ფულის უქონლობას. ჩემი ტენდენციური ოპონენტების ულოგიკო და არაკვალიფიციურ რეცენზიებს როცა გაგეცნობოდი, სარკის წინ დავდებოდი, ჩემს გამოსახულებას გულმოდგინედ ვათვალიერებდი, მხრებს ვიჩეჩავდი, ხელებს ვიფშენებდი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „ეს მე ვარ, ასეთი დებილი, თუ ჩემს ოპონენტებს სურს ასე დამახინჯებულად ჩემი პიროვნების საზოგადოების წინაშე წარმოჩენა“! ხმა იღუმალი მამხნევებდა და ყურში ჩამძახოდა: “და სულ ერთია, დრო მაინც მიდის, მიაქვს პასუხი ათასი კითხვის, ნუ შეგშურდება დიდება ყალბი, შენს სათქმელს ქვეყნად ვერაფერს იტყვის”. ყოველი განსაცდელის ჟამს, პოეზია მამხნევებდა და თვალწინ მედგა დიდი ილია ჭავჭავაძის სილუეტი: „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, მაგრამ ნათელი აზრისა არა“. ჩემს კვლევა-ძიებას შეუპოვრად ვაგრძელებდი, ღამეებს თეთრად ვათენებდი და გაუწაღდავი ბილიკით, ფართო შარაგზაზე გასასვლელს ვეძებდი. კაცმა რომ თქვას, ჩემი ტენდენციური ოპონენტების მადლობელი ვარ, რომ მოდუნების საშუალება არ მომცეს და შეუპოვრად ვეძებდი კონტრ-არგუმენტებსა და ფაქტებს, 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ ჯგუფურ ოპოზიციას პოლემიკა დიდი უპირატესობით მოვუგე. ამ რთულ გზაზე ხშირად მინახავს “დაბინდული ნისლეები...”, “დასეტყვილი ვენახი...”, “გაფრენილი ოცნებები” და “გაძარცვული იმედები”. მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში თუ კუნჭულში მაინც მჯეროდა, რომ „ცოფიანი“ საქართველოს მიღმა არის პოეტური და კეთილშობილური, ჩემი სამშობლო – საქართველო. ამ პატარა ქვეყანაში, მიუხედავად შავბნელი ძალების დომინირებისა, მუდამ არსებობდა და არსებობს საზოგადოებრივი ჯანსაღი აზრი უკეთილშობილესი პატრიოტებისა. ამ იმედს ჩემს გულში პატარა საკვები ყოფნიდა და მამხნევებდა ნ. ბარათაშვილის ოპტიმისტური ფრაზა: “რომ გათენდება დილა მზიანი, ყოველსა ბინდსა ის განანათებს.” ამ იმედით ვცოფხლობდი დღენიადაც, მწამდა, რომ გამორჩეობდნენ ჩემი მოკრძალებული შრომის ობიექტური შემფასებლები. ეს დღეც გათენდა. თქვენ, დიდი კოლხელი, ერის ჭაშმარიტი ნადდი კაცი გამორჩედით ჰორიზონტზე. ეს, ალბათ, განგებამ დაგაგაღათ, რომ ჩემთვის ცრემლი შეგეშროთ და ღიმილის უნარი დაგებრუნებინათ. მადლობა უფალს, რომ თქვენებრ სპეტაკი და საფიცარი კაცი დადის ამ წუთისოფელში, რომელიც ცხოვრობს და ცოცხლობს “წუხილით, სხვათა წუხილისა გამო...” წუხილით ერის წყლულებზე და იარებზე სალბუნის წაცხების მრწამსით. გაუზვიადებლად: შენ ჩემი ფეხზე მოსიარ-

ულე ცოცხალი სამშობლო – საქართველო ბრძანდები.

ვლოცავ თქვენი ადგილის დედას, ვლოცავ თქვენი დაბადების დღეს, ვლოცავ თქვენს აკვანს, ვლოცავ თქვენს კაცურ-კაცობას, მრავალჯამიერ ბრძანებოდეთ ამ წუთისოფელში. ეს თქვენ ბრძანდებით ნათელი აზრი, რომელმაც მზე მასტუმრეთ შუბის ტარზე და განიზრახეთ, ათეული წლები რაზედაც მიფიქრია, ის გააცნოთ პროგრესულ კაცობრიობას დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ნაწერებში ამოვიკითხე “თუ სამშობლო გიყვარს, ყოველგვარი დამცირება უნდა აიტანო”. თქვენ მე დამავიწყეთ ყოველგვარი ცინიზმი, დაცინვა, დამცირება და მუდამ მახსოვს გურიაში შექმნილი ხალხური სიბრძნე: “ვაშა, ვაშა ბუნების მადლს, რომ ნათელი მოსდევს ბნელსო” და იქვე “თუ სიბნელე არ გინახავს, ფასს ვერ დასდებ სინათლესო”. დიას, თქვენ, ლევან შენგელია ბრძანდებით ბიბლიური შეგონების ზეკაცია – “გაიპოს ბნელი და იქმნეს ნათელი”. იმედების გამართლების დიდი იმედით, მოკრძალებით, ძმური სიყვარულით და პატივისცემით ყოველივეს გწერთ ამას:

სოკრატ სალუქვაძე

ელუარდ გიგილაშვილის ამ ფოტოსურათზე ჩვენი სოკრატი არც მგლოვიარება და არც არაფორმალდისიდენტი. იგი 1978 წლის 8 ივნისს ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელ საბჭოს დისერტაციის წართმევის გამო წვერის მოშვებით პროტესტს უცხადებს. ბატონი სოკრატის სურფილი იყო საქართველოში შექმნილიყო ყოფილი საბჭოთა კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური რგოლი, კომიტეტი ან ტრესტი, არც რესპუბლიკური სამედიცინო სამინისტროს ჩამოყალიბება გვაწყენდა და თუ ამ უწყებაში გადავიდოდა მთავარი სააფთიაქო სამმართველო, შეიძლება ეს მნიშვნელოვანი სამმართველო გადარჩენილიყო მოსპობა-გაუქმებას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა! ამის შემდეგ ბატონი სოკრატი მთელი ძალით გადაერთო წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის საკითხებზე.



ახლა ხელთა გვაქვს ავტორის 6 მონოგრაფია, რომლებსაც დადებითად აფასებს მედიცინის ისტორიის კვლევის კომპეტენტური სპეციალისტი, აკადემიკოსი ბაადურ რაჭველიშვილი. დიას, „დაკრული ბატონ სოკრატს წამლად წაადგა“. ამჟამად 12 წიგნი აქვს გამოსაცემად გამზადებული, რომელიც სპონსორს ელოდება

წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარზე, წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძეზე სიტყვის თქმა და მისი შემოქმედებითი პორტრეტის შექმნის მიზნით, ბევრი სასიკეთო განხორციელებული წინადადების ჩამოთვლა შეიძლება. მაგრამ, აქვე აღვნიშნავ ერთ-ერთს: ქ. თბილისის №1 აფთიაქი თუ დღემდე გადარჩა, ეს ს. სალუქვაძის ავტორიტეტისა და მზრუნველობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ – წლების მანძილზე ნაგროვები ილუსტრაციები ამ შენობის კედლებზე იქნა გამოფენილი, შედეგადაც არ დააყოვნა და ქალაქის მთავრობამ სპეციალური დადგენილება გამოიტანა, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაგან ერთობლივი შეამდგომლობით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ბრძანებით 2000 წლის 17 ივლისიდან აფთიაქს მუზეუმის სტატუსი მიანიჭა. 2004 წლის 21 დეკემბერს ავტორის მიერ არქივში მიგნებული და დადგენილი თარიღით აფთიაქს დაარსებიდან (გახსნიდან) 125 წლის იუბილზე საზეიმოდ გადაუხადეს. ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაში ისტორიკოს პროფ. მისხეილ თამარაშვილის ინიციატივით იყო გამოცემული რამდენიმე პოლიკლინიკის ისტორია. საქართველოში პრივატიზების კანონის მიღების დროს 780 აფთიაქი მოქმედებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. სალუქვაძის ავტორობით ქ. თბილისის №1 აფთიაქი-მუზეუმის ისტორიის გარდა სხვა არც ერთი აფთიაქის ისტორია ჯერჯერობით ცალკე წიგნად გამოცემული არ გახლავთ. ზემოთ ჩვენს მიერ ითქვა, რომ ბატონი სოკრატ სალუქვაძე პრაქტიკულ საქმიანობას კარგად უთავსებდა წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხების მეცნიერულ კვლევა-ძიებას, მაგრამ როგორც ფაქტების ანალიზით ირკვევა, მას შეუფერხდა შიდასააფთიაქო კონტროლი და იგი იძულებული გახდა ვაკის სააფთიაქო ქსელის რ/ც №27-ე აფთიაქის მმართველის პოსტი დაეტოვებია. მომდევნო წლებში მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის პოსტზე მოგვევლინა მამუკა გორგოძე, რომელმაც უდანაშაულობის იურიდიული პრეზუმფციის გამო ბატონი სოკრატი უფრო პრესტიჟულ თანამდებობაზე, ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის №1 რ/ც აფთიაქის მმართველად დანიშნა და დაავალა ამ აფთიაქის ბაზაზე მუზეუმის დაარსება, №1 აფთიაქი-მუზეუმის ისტორიაზე წიგნის დაწერა. როგორც ხედავთ, ეს დავალება ბატონმა სოკრატ სალუქვაძემ ფრიადზე შეასრულა.



მეგობრები: პროფესორი ვახტანგ გაჩეჩილაძე და სოკრატ სალუქვაძე თბილისის №1 აფთიაქ-მუზეუმის ინტერიერში სამუზეუმო ექსპონატების სტენდთან.



სოკრატ სალუქვაძე თბილისის №1 აფთიაქი-მუზეუმის წინ



ფარმაცევტულ ფაკულტეტზე ვაჟების ნაკლებობა იგრძნობოდა. ამ სურათზე 11 ფეხბურთელის ნაცვლად 7-ია წარმოდგენილი. გუნდის კაპიტანი გურამ ოქრუაშვილი, მეკარე ლადო ლომიძე (გარდაცვლილია), გურამ წოწორია, ჯემალ ყოფიანი (არც ეს არის ცოცხალი), სოკრატ სალუქვაძე, კოკი სამარბეგიშვილი (გარდაცვლილია), შოთა ჯოჯუა და თამაზ ბილიხოძე (გარდაცვლილია).



**თბილისის №1 ავთიაქი-მუზეუმის დირექტორის
ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, წამალთმცოდნე
სოკრატ სალუქვაძის კარიკატურა. ავტორი ზაალ სულაკაური**

მკვლევარ ს. სალუქვაძის საამაყოდ ისიც საკმარისია, რომ მან არქეოლოგიური ძიებით, წინასწარი ინტუიციური ვარაუდით, კასპის რაიონის სოფელ წინარეხში მაღალაძეების 500 თახჩიანი ავთიაქი აღმოაჩინა. იგი სამკურნალო წიგნ კარაბადინთან (ხელნაწერ Q ფონდი №877-თან ერთად, ხელნაწერი ფარმაკოპეა და ავთიაქიც მეთხუთმეტე საუკუნით დაათარიდა). მანვე მცხეთის რაიონის სოფ. ნოჩბისში ბრძენთმთავარი და მკურნალი ზაზა ასპანძიე-ფანასკერტელის შთამომავლის ფეოდალ ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილის საფეოდალოში „ზაზას ციხეში“ 300 წლის

წინანდელი ავთიაქი აღმოაჩინა. ცნობილია, რომ ერასში, ქ. ბაღდადში, ახალი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნიდან დათარიღდა ავთიაქის არსებობა. აკადემიკოს დავით ხახუტაიშვილის მიერ ს. სალუქვაძის ექსპერტად მოწვევის საფუძველზე უფლისციხეში დადასტურდა სააფთიაქო თახჩების ორი მწკრივის დღემდე შემორჩენის ფაქტი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქ. ბაღდადში თუ ავთიაქი მერვე საუკუნეში მოქმედებდა, უფლისციხე ხელოვნებათმცოდნეების მიერ მეხუთე საუკუნის ძეგლად არის აღიარებული და აქედან მტკიცდება, რომ ბაღდადის ავთიაქზე 300 წლით უფრო ძველი ავთიაქის ნაშთები საქართველოში და სახელდობრ უფლისციხეში ყოფილა. ეს კი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტია. ქართული კულტურის პროპაგანდის თვალსაზრისით ავტორს განსაზღვრული აქვს ევროპის წამყვანი ქვეყნების ავტორიტეტული ენციკლოპედიების რედაქციებს ამის შესახებ მიაწოდოს ინფორმაციები სტატიების სახით.

მკვლევარმა ს. სალუქვაძემ არქივში გამოვლენილი ავტოგრაფ-დედნის აღმოჩენით და პალეოგრაფიული ექსპერტიზით დაამტკიცა, რომ კარაბადინის ავტორად თუ დღემდე “მკურნალი” და “ბრძენთმთავარი” ზაზა ფანასკერტელი მოისაზრებოდა ამ 1368 გვერდიანი ხელნაწერი კარაბადინის სახით, ჩვენამდე ერთადერთი დედანია მოღწეული და რომელ გადამწერზე შეიძლება იყოს საუბარი?




სოკრატ სალუქვაძე ეტრფის ბუნების მშვენიერებას – ფარშევანგს.

ცნობილი ენათმეცნიერის პროფ. ილია აბულაძის მოსაზრებათა საფუძველზე ხელნაწერი Q ფონდი №877 ზაზას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შედგენილი ხელნაწერი ყოფილა, რასაც ითვალისწინებდა პროფ. კოტე გრიგოლია. ამ მოსაზრებებიდან გამომდის, რომ ზაზა დამკვეთ-მომგებელი ყოფილა და მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძე ზაზას დაკვეთის ხელნაწერის უმეტესი ნაწილის უშუალო შემსრულებელი, რაც მკვლევარმა ს. სალუქვაძემ პალეოგრაფიული ექსპერტიზის ჩატარებით დაადასტურა. მედიცინის ისტორიის კომპეტენტური მკვლევარი ბაადურ რაჭველიშვილი ამ მოსაზრებებს არ მიიჩნევს უსაფუძველოდ. ძნელია, როცა მომწიფებულია საზოგადოებრივი აზრი და 60 წელია ფესვადგმულია მოსაზ-

რება კარაბადინის ავტორი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილიაო და მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძე გადამწერიო, ერთბაშად ყველაფერი გადაიწყობს თბილისის №1 აფთიქი-მუზეუმის დირექტორის მოსაზრებაზე, რომ მკურნალი ზაზა ასპანიძე-ფანასკერტელი უფროა, ვიდრე ავტორი ფანასკერტელ-ციციშვილი. ამავ დროს, ს. სალუქვაძის გამოკვლევებზე დაყრდნობით, ბრძენთმთავარი ზაზა დაამკვეთ-მომგებელია და მახარებელ მაღალაძე ზაზას დაკვეთის შემსრულებელი. საზოგადოებაში ამ მეცნიერულად დასაბუთებული აზრის დაფუძნებას სჭირდება დრო. ჩვენ არ გვინდა გადავცდეთ კომპეტენტურობის ზღვარსა და ალტერნატიული მოსაზრების უფლება არ დაუტოვოთ პალეოგრაფისტებს, მაგრამ ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტის, ბატონ მიხეილ ქავთარიას მოსაზრებით, **ს. სალუქვაძის გამოკვლევებს იურიდიული არსებობის უფლება გააჩნია.** აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კლდეში ნაკვეთ ქ. ვარძიაში უცნაური თახჩებიანი ნაგებობა აფთიაქი უნდა იყოს, ვინაიდან მაღალაძეთა საგვარეულოს მაგალითზე, მაღალაძეების თახჩებიანი აფთიაქი არქიტექტურულ არქეოლოგიური ნაგებობა და ხელნაწერი კარაბადინი, იგივე ფარმაკოპეა ურთიერთს დაუკავშირდა. ანალოგიური თახჩებიანი ნაგებობის ფუნქცია ამ პრინციპით უნდა იქნეს განსაზღვრული.

გვაქვს ერთი ასეთი ობიექტური მოსაზრება, არავინ იფიქროს, რომ შრომა და გარჯა ვინმეს არ დაუფასდება და საზოგადოებას თითქოს მხედველობიდან გამორჩება, რომელიმე მკვლევარის როლისა და ღვაწლის ობიექტური შეფასება. ს. სალუქვაძემ ვაკე-საბურთალოს სააფთიაქო ქსელში 25 წელი იმოღვაწა, იგი გამოირჩეოდა უანგარო თანადგომით, გამორიცხული იყო რომელიმე დეფიციტურ წამალის პრეისკურანტის დარღვევით რეალიზაცია. ვაკის რაიონის რ/ც-ის №27-ე აფთიაქში მუდამ იმედით მიდიოდა. ელიტარული ინტელიგენცია: მწერლები, პოეტები, მხატვრები, სპორტსმენები თუ ნებისმიერი თბილისელი მოქალაქე. ცნობილია, რომ თუ მათ ადგილზე წამალი არ დახვდებოდა, აფთიაქის მმართველი კოლეგებს გადაურეკავდა და ამ გზით საჭირო წამლის შეძენას ახერხებდა.



ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორები: ქალბატონი მერი მუჯირი და ბატონი სოკრატ სალუქვაძე ჩარგალში ვაჟა-ფშაველას ბიუსტთან.



ქ. თბილისის ვაკის რაიონის რ/ც-ის №27-ე აფთიაქი. ამ აფთიაქში შეთქმულების მონაწილეებმა ქართველ ხალხზე ადრე გაუთენეს სოკრატს 9 აპრილი და წყალში კინაღამ ჩაუყარეს 25 წლის აქ მოღვაწეობის ამაგი. მწარედ იხსენებს ამ აფთიაქიდან წამოსვლას პროფიზორ ორგანიზატორი სოკრატ სალუქვაძე. თუმცა ნათქვამია: “რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უხსენებიაო”. იგი თავის უფლებებში აღადგინეს და უფრო პრესტიჟულ მთაწმინდის რ/ც-ის №1 აფთიაქში გადაიყვანეს სააფთიაქო ქსელის უფროსად. ეს გმირობის ტოლფასი ქმედება მამუკა გიორგაძემ საკუთარი ინიციატივით ჩაიდინა.

სოკრატმა №27-ე აფთიაქში შემოიღო “შთაბეჭდილებათა წითელი წიგნი”, სადაც ჩვენი სასიქადულო თანამემამულეების ხელნაწერი ავტოგრაფებია შემორჩენილი. იხილეთ ამ წიგნის ერთ-ერთი ვერსო გვერდი, რომელთაგან, ნიმუშის სახით, მკითხველს ვთავაზობთ ცნობილი მკვლევარის პავლე ინგოროყვას ავტოგრაფის ფოტოპირს, როცა იგი ბატონ ნოდარ დუმბაძეს წაუკითხავს, სოკრატისთვის ასე უთქვამს: “ჭკვიანია და პატრიოტიო, ეს ბატონ პავლეს ჩემზე არ უთქვამს, შენთვის ნამდვილად ძეგლი დაუდგამს და გაუუკვდავებინარო”. ასეთი ჩანაწერები ამ წითელ წიგნში ძალიან ბევრია. ჩვენი სოკრატი ყველა მათგანს “ფაქიზი გრძნობების ორგანიზაციის წევრებს” უწოდებს. მაშინ ალექსი ინაური ინაურობდა და თურმე პრეზიდენტი სოკრატი ამ ორგანიზაციაში ღირსეულ თანამემამულეებს განცხადებებისა და ყოველგვარი საწვევრო გადასახადების გადახდის გარეშე აწვევრიანებდა. აქვე გვინდა ერის სასიქადულო მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის ავტოგრაფის ფოტოპირი გამოვაქვეყნოთ. დიახ, მხატვარი ხომ მართლაც მხატვარია. ნახეთ, როგორ აქანდაკებს იგი ქართული მხედრული დამწერლობის ასოებს.

1992-№
3319-

დაქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის ავტოგრაფი სოკრატის მიერ დაარსებულ
 შთაბეჭდილების "წითელ წიგნში".

საქართველოს
 კულტურის მინისტრის
 თანხმობით
 და
 საქართველოს
 კულტურის მინისტრის
 თანხმობით
 და
 საქართველოს
 კულტურის მინისტრის
 თანხმობით
 და

მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის ავტოგრაფი სოკრატის მიერ დაარსებულ
შთაბეჭდილების "წითელ წიგნში".

ქ. თბილისი № 27 ავტოსადამსახურების
სტრუქტურის სარედაქციო განყოფილება.

მე უპირისპირე დასაწყისში ვინც აქვეყნებ, ძვირფასო სარედაქციო!

შეძრვითი წინადადებათა დასრულება თანადად ავტოსადამსახურების განყოფილებაში.

ავტოსადამსახურების განყოფილებაში, რომელიც სარედაქციო განყოფილებაში შეიქმნა.

როგორც ეს აქვე უნდა იყოს, სარედაქციო განყოფილებაში, რომელიც დაარსდა
ავტოსადამსახურების განყოფილებაში "30-ე იმპერატორის ქუჩის კუთხით", სარედაქციო
სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა.

ავტოსადამსახურების განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში
ავტოსადამსახურების განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში
ავტოსადამსახურების განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში

ესი უწყისობა დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში
დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში

დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში
დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში

დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში
დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში

დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში
დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში


დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში
დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში

რედაქციის განყოფილებაში, რომელიც დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში
დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში დასრულდა სარედაქციო განყოფილებაში

12. IX. 1976 წ.

ეს კი ბატონი პავლე ინგოროვას ავტოგრაფია.
დაახ. ასეა დრო მდის კვალი ნათელი რჩება.

ჯაფარიძე), ვახტანგ ჯავახიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ ზაალიშვილი, კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, ოთარ ქინქლაძე, თენგიზ ბუაჩიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ჯემალ მდივანი, აკაკი გელოვანი, ირაკლი უჩანეიშვილი, გიორგი ნატროშვილი, გიორგი და ელიზბარ შათირიშვილები, მანანა გედევანიშვილი, იური ჩახხიანი, ჯანსუღ ღვინჯილია, იოსებ მეგრელიძე, მანანა თომაძე, არჩილ სულაკაური, რევაზ ჯაფარიძე, გურამ დონანაშვილი, ნანა ღვინეუაძე, მურმან ლებანიძე, ელგუჯა ამაშუკელი, ბუბა კიკაბიძე, ბადრი თოიძე, გოგი ქავთარაძე, ოთარ ევაძე, ფრიდონ სულაბერიძე, იამზე დოლაბერიძე, მერაბ კოკონაშვილი, გიგოლა თალაკვაძე, ოთარ ჭელიძე, პაატა ნაცვლიშვილი, შოთა ნადირაშვილი, ეთერი ტყეშელაშვილი-ახვლედიანი, მანანა ყიფიანი, ვახტანგ გურგენიძე, ამირან გოლიაძე, ზაზა ბაწელაშვილი, თამაზ სალუქვაძე, ქართლოს კასრაძე, ვალერიან კანდელაკი, ვახტანგ კოტეტიშვილი, რამაზ პატარიძე, ქეთევან ბარამიძე, მანანა ბობოხიძე, თამილა მაკარიძე, ოტია იოსელიანი, ამირან სალუქვაძე, მარიცა მაღლაფერიძე და სხვები.




შთაბეჭდილებათა წიგნი

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვინ ვინ არის და რითი სუნთქავს, საზოგადოებას შეუმჩნეველი არ რჩება. ამის დამადასტურებელ ფაქტად მინდა მოვიშველიო თუნდაც ასეთი რუბრიკის შემოღება:


„წამალთმცოდნე – სოკრატ სალუქვაძის შემოქმედებითი პორტრეტები ქართველ მხატვართა შემოქმედებაში“. ფაქტების მოშველიებით დაგამტკიცეთ, გვყავს კი ასეთი ბევრი მკვლევარი, რომელსაც ასეთი სიყვარულით – ხატავენ, ან მის ბიუსტს – ძერწავენ მოქანდაკეები, პოეტები და მწერლები კი – ლექსსა და ნარკვევებს უძღვნიან!



„წამალთმცოდნე – სოკრატ სალუქვაძის შემოქმედებითი პორტრეტები ქართველ მხატვართა შემოქმედებაში“




მანანა ბობოხიძე – ფერწერული ტილო –
„სოკრატ სალუქვაძე“




მურმან მიქაბერიძე – „ფაქიზ გრძნობათა
ორგანიზაციის პრეზიდენტი – ს. სალუქვაძე
ანუ დაცინვას კაცი არ მოუკლავს“.

ცნობილია, რომ სახელმძოვებელი ფერმწერს, ბატონ უჩა ჯაფარიძეს მეუღლე ჰყავდა ავად. სამკურნალო პრეპარატების შეძენაზე ამ ცნობილ ხელოვანს ს. სალუქვაძის წყალობით პრობლემა არ ჰქონია. მადლიერების გრძნობით მხატვარმა თბილისის №27-ე აფთიაქის მმართველი “ფიქრის გორაზე” საკუთარ სახელოსნოში მიიპატიჟა და ასე შეიქმნა ფერმწერ უჩა ჯაფარიძის მიერ “წამალთმცოდნე ს. სალუქვაძის პორტრეტი”. ს. სალუქვაძე დახატა მხატვარმა მანანა ბობოხიძემ. კარიკატურა შექმნა ცნობილმა კარიკატურისტმა გიგლა ფირცხალავამ.




გიგლა ფირცხალავა – ს. სალუქვაძის
კარიკატურა



მხატვარი ანდრო ბოჭორიძე – გრაფიკა.
„სოკრატ სალუქვაძე“

გრაფიკული პორტრეტი შექმნა ანდრო ბოჭოიძემ, მეგობრული შარჟები მიუძღვნა ზალიკო სულაკაურმა, ხოლო ცნობილმა მოქანდაკემ თენგიზ ღვინიაშვილმა თავის სახელოსნოში თაბაშირში ჩამოასხა წამალთმცოდნე ს. სალუქვაძის ბიუსტი. ასე გაიფიქრებ: მეოცნებე მკვლევარი მკურნალ მედეას მწარე ხვედრზეა ჩაფიქრებული და ამიტომაც მედეას გრაფიკული შედეგრი ე. ბერძენიშვილის მიერ დახატული კაცობრიობას მედიცინის ემბლემად შესთავაზაო. არ ჰგავს ეს ორი სიტყვა ერთმანეთს ეტიმოლოგიურად თუ? აბა შეადარეთ მედეა – მედიცინა!



მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილი – „სოკრატ სალუქვაძის ბიუსტი“.

ამ ფაქტებით მე იმის თქმა მინდა, რომ საზოგადოებაში ს. სალუქვაძეს მაღალი რეიტინგი გააჩნია და მხატვრები მის პორტრეტებს სიყვარულით ხატავენ და ბიუსტს აქანდაკებენ. მხატვარ კორნელი სანაძეს დაუმთავრებელი დარჩა ს. სალუქვაძის პორტრეტი ჯამით ხელში. ცნობილმა მხატვარმა გიორგი თოთიბაძემ დახატა ფერწერული ტილო “ღვინით სავსე ჯისვის ყანწით ხელში თამადაა სოკრატ სალუქვაძე”. ს. სალუქვაძეს უძღვნეს ლექსები ქართველმა პოეტებმა: მიხეილ ქვლივიძემ, გურამ კლდიაშვილმა, ოთარ მამფორიამ, ზაურ ბოლქვაძემ. აი ერთ-ერთი მათგანი:

სალაღობო ლექსპრომტი
სოკრატ სალუქვაძეს

ზეპირად ამბობს სოკრატი
“ვეფხისტყაოსანს” “სოკრატიტ”!
ვახტანგის გამოცემა აქვს
გამოტანილი “პროკატი”...!
სოკრატი არის მოღვაწე
კონკრეტული და ზოგადიც
და უფრო მეტად მაღლდება,
რაც უფრო მეტი დრო გადის!
სოკრატისთანა თამადას
ველარ დაბადებს მყოფადი! –

პოეტობს, მეფობს, მთელ სუფრას
ჰკრავს ლენინგრადის ბლოკადით!
გახლავთ მწერალთა მფარველი,
მათი მშველელი ლომბარდი!
სულდიდი სალუქვაძეა,
უღალატოა კმობაში!..
დღეს სანთლით სამებნელია
ჯენტლმენი – მისი ტოლფასი...
ლიხაურელი ლომია,
დმერთია ზაურ ბოლქვაძის!



სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. პირველ რიგში სხედან, მარცხნიდან მარჯვნივ: ვაჟა ცინცაძე, მომდევნო უცნობია, იური პოლოუსი (ქ. ოდესა), მომდევნო უცნობია, ნოდარ ბაქრაძე, მეორე რიგში დგანან: გელა ლეჟავა, გულვან ხომერიკი, მანანა ყიფიანი, სპარტაკ ლაშხი, გელა ლომია(?), სტუმრები – გვარი და სახელი უცნობია, შემდეგ ანზორ ჯორბენაძე და სოკრატ სალუქვაძე.

აქვე გავიხსენოთ პოეტ ზაურ ბოლქვაძის მეორე ლექსი, რომლის ავტოგრაფული ფოტოპირი აქვე მოგვაქვს ძმაკაცების ფოტოსურათითურთ.

ჩვენს სოკრატს ესეებს და ნარკვევებს უძღვნიან ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლები.




ლეონრობტი სოსო ხალუქვაძეს

ღირსი ხარ და პოეტო გქვებ! —
გქვს მზრდელი, ლოპის წონა!
შენი სიტყვა, შენი საქმე
ჩვენა ერთა პოინონა!
ვინაჲ წუდი რამ თქვა შენე,
დრომ დროულად პოინროდა!
პროფესორიჲ ზე ვერ შეძლებს,
რაჲ შეტელი პროფესორაჲ!
გაიფი/ხალუქვაძე
31. I. 83 წ.

მეგობრები: პოეტი ზაურ ბოლქვაძე დაწამალთმცოდნე სოკრატ ხალუქვაძე.

ყოველივე ეს ფარმაცევტული დარგის წარმომადგენლის თავისებური ნადავლია. ამას ჩვენ მისი კოლეგები მივესალმებით. ძმაკაცური მხარდაჭერა და უანგარობა 54 წლის ნამძილზე ამ სტრიქონების ავტორს არაერთხელ უგვრძნია, მრავალთაგან მოვიყვან ერთ ფაქტს, ნათესავებმა დამავალეს ჩვენი საერთო ახლობელი ნათესავის რაიონიდან დედაქალაქში გადმოყვანა და თბილისის რომელიმე აფთიაქში მისი მოწყობა. ამის თაობაზე მივმართე ჩემს ძმაკაცს. რამდენია ასეთი თანამემამულე, რომ მორალურად ევალება თხოვნის შესრულება და დახმარება, მაგრამ უანგაროდ ყველა როდი იცლიდა ამისათვის. ჩემმა სოკრატმა ასე მითხრა: სამეურნეო წელს წარმატებით ვამთავრებ, მომავალი წლიდან რეცეპტორ-კონტროლიორის შტატი დამემატება და აღარავის შევპირდები შენი კანდიდატურისათვის ადგილს აუცილებლად დაეჯავშნავ. იცით რა არის განსაცვიფრებელი? მან თავშეკავებული შრომით ოთხ ოთახიანი ბინა მიიღო და “ლატკებიანი” შარვლით ჩამოსული სოფლელი ბიჭი ვაკეში დაფუძნდა. ჩემი ნათესავი ბინაში ჩაიწერა და სამსახურშიაც მოაწყო. მისგან ასეთი ყურადღება მე დღემდე თითქოს გადაუხდელი დამრჩა და ამ ჩემი წინასიტყვაობით, სპეცრედაქტორის რანგში სიყვარულის გამო ცოტაოდენ ხურდას ვუბრუნებ.

წამალთმცოდნე ს. ხალუქვაძე, რომ ჩვენს დედაქალაქში პოპულარული მოქალაქეა, ამავე წიგნის ბოლოში ერთ უცნაური რუბრიკის დართვით და დაარსებით მინდა შემოვიფარგლო და მინდა ამ ქვესათაურითაც დამკვიდრდეს მისი პიროვნების პოპულარობა: **“მითხარი ვისი მეგობარი ხარ და გეტყვი ვინ ხარ შენ”**. მკითხველი იხილავს სოკრატთან ერთად გადაღებულ მისი მეგობრების ფოტოსურათებს და ამავე დროს თანამემამულეებისაგან ავტოგრაფული წარწერებით ნაბოძებ ფოტოსურათებს, რომლებიც უანგარობით და მეგობრული სიყვარულით არის მოპოვებული.



მხატვარი გოგი თოთიბაძე: „თამადა ს. სალუქვაძე გლოცავთ ღვინით საგსე ჯიხვის ყანწით“

აი ეს მინდოდა დამემატებინა აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის სახოტბო ნარკვევზე, რომელიც მკითხველს, ალბათ, სიამოვნებას მოჰგვრის თუ იგი ცოცხლობს ილია ჭავჭავაძის ცნობილი პოეტური სტრიქონის შესაბამისად: “ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით, დამედგოს მტკიცე გული”


ფოტოდოკუმენტებით მინდა დადასტურდეს ჩვენი სოკრატის მეგობრობა მწერალ-თაკავშირის თავმჯდომარეებთან ესენია: ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი, თამაზ წიგწივაძე, მაყვალა გონაშვილი. შეიძლება ამის მიზეზია ისიც, რომ სოკრატს ზედმიწევნით უყვარს თანამედროვე მწერლებისა და პოეტების შემოქმედება, ბევრი მათგანის შემოქმედებას ფლობს ზეპირად წაკითხვით. სოკრატ სალუქვაძე ის შემოქმედია, რომელიც მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და დღესაც ასე გრძელდება. მას უამრავი შემოქმედის მონოგრაფიების კოლექცია გააჩნია ავტოგრაფებით. საქვეყნოდ ცნობილი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ერთი ასეთი შინაარსის ავტოგრაფი ინახება ჩვენი წამალთმცოდნის ბიბლიოთეკაში: “ჩემს სოკრატს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის დირექტორს, მსოფლიოში რაც სიყვარულის წამლებია იმ აფთიაქის დირექტორს – ძმური სიყვარულით შენი ნოდარ დუმბაძე”.

სოკრატ სალუქვაძეს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა “ჯარისკაცის მამის” შემსრულებელთან ბატონ სერგო ზაქარიასძესთან, ჯერ კიდევ 1975 წლის 21 ოქტომბერს, სოკრატის მეუღლემ ქალბატონმა მერი მუჯირმა დაიცვა დისერტაცია და ამ მოტივით საკუთარ ბინაში მცირე მოცულობით ბანკეტი გადაიხა, მათ შორის ბრძანდებოდა ჯანდაცვის ცნობილი ორგანიზატორი პროფ. ვახტანგ ბოჭორიშვილი.



ჭაბუკი – სოკრატ სალუქვაძე – ანუ ვაჰ დრონი, დრონი. ერიჰა, სად გამიფრინდი სიჭაბუკევე?

მასპინძელს დრო მოუხელთებია და სტუმრებისთვის თავი მოუწონებია კედელზე გამოფენილ “ჯარისკაცის მამის” სურათით, რომელსაც ავტოგრაფი ამშვენებდა, შემდეგ მამის – სტეფანე სალუქვაძის პორტრეტი წარუდგენია, ისიც, რა თქმა უნდა, ავტოგრაფით – უდროოდ გარდაცვლილ მამას მოუსწრია ავტოგრაფით სურათის დატოვება. შემდეგ ბაბუა ამბაკოს და მხატვარ მურმან მიქაბერიძის ჭედური ხელოვნების იშვიათი ნიმუში: “შოთა რუსთაველის პორტრეტი” ყოფილა კედელზე გამოფენილი მხატვრის ავტოგრაფით. ბატონ ვახტანგს დაუკვებია: არ მითხრათ ახლა, რუსთაველის პორტრეტიც ავტოგრაფით რომ გაქვსო, თორემ... და მოქეიფეთა სიცილ-ხარხარი მოყოლია ამ ოხუნჯობას. ამ დროს ანსამბლ “რუსთავეის” სოლისტს, ბატონ რამინ მიქაბერიძეს თავისი ღამაში ტენორით სიმღერა წამოუწყია: “შენ ბიჭო, ანაგურელო”, იქვე მყოფ ჰამლეტ გონაშვილს მეორე ხმით ტემბრი ცოტა დაბლა დაუწევია, ანზორ ერქომაიშვილს, ამირან გოლიაძეს, ოთარ სალუქვაძესა და სხვებს ბანი “გოდრით დაუდგამთ”. ბატონი ვახტანგი არ ცხრებოდა; ასეთ მასპინძელს რომ შეხვედროდა, დიდი შოთა საკუთარ სურათს ავტოგრაფით ნამდვილად აჩუქებდაო. თამადამ, პროფ. გიზო ჭელიძემ ამ სიმღერას ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილის სადღეგრძელო მოაყოლა: “თქვენ გონებით, აზროვნებითა და ახოვნებით საჯიშე ქართველი მამაკაცი ბრძანდებითო”.



მეგობრები: მამუკა გორგოლაძე (მარჯვნივ) და სოკრატ სალუქვაძე.



თამარ სოკრატის ასულმა სალუქვაძემ მოსწავლეობა ფესტივალზე შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის სცენიდან ლაურეატის ორი ოქროს მედალი მოიპოვა. ეს წარმატება საქართველოს სახალხო არტისტმა ჰამლეტ გონაშვილმა პირველმა მიულოცა ლაურეატს. ამ სურათზე ეს მომენტი ალბეჭდილი.



სოკრატ ბაბუს ძალიან უყვარს პატარა სოფო.
ვის პუაგს მხოფდითში ყველაზე კარგი ბადიში? – სოხოს!
აბა მითხარი, ვის პუაგს მხოფდითში ყველაზე კარგი ბაბუა? – სოფოს!

ასეთი ეპითეტებით შეამკო თამადამ სტუმარი. ბატონი ვახტანგი თრჭთფულად დაეთანხმა, მაგრამ სინანულით აღნიშნა: “მასეთი მატარებელი წაეიდაო!” ჩემმა სოკრატმა კი ეს მომენტი გაიხსენა და დაამტა, რომ ჰქონდა ასეთი სასიხარულო დღეებიც, თორემ, რა გაჭირვებებიც გადამიტანია, მიკვირს, აქამდე ფიზიკურად ცოცხალთა შორის როგორ ვარო!

სიტყვა ერთი ორიგინალური მოსაწვევი ბარათის გამო

| | | |
|--|--|--|
|  <p style="font-size: small;">იქნა ჭავჭავაძის "წამალთმცოდნე სოკრატე სავაგაძის ამონაგვრები"</p> <p style="text-align: center; font-weight: bold; font-size: large;">მოსაწვევი ბარათი</p>  |  <p style="font-size: small;">თამაზ სავაგაძე</p> <p style="text-align: center;">მეზობლებო მეზობლებო მეზობლებო!</p> <p style="font-size: small;">აღმშობილებს რელიგიური სწავლების თვის საზოგადოებრივი ცენტრის შემოქმედების მიზნით.</p> <p style="font-size: small;">მეზობლებო გთხოვთ, გახსნათ საზოგადოებრივი ცენტრი სადაც შეიძლება მოხდეს სწავლება.</p> | <p style="font-size: small;">„გავსცემს მხარეს ყნაყნის უხარბოს უხარბოს“</p>  <p style="font-size: small;">წერეთელს ბიჭს შეუბრუნებ გადასწ. ლოცს.“</p>   |
|  <p style="font-size: small;">თავისთავად სწავლების მიზნით ამოქმედების მიზნით სწავლების მიზნით 1991 წლის 2 ივნისს „ქალაქის“ სახელს ქვე რეგისტრაცია: „სამართალი და ადამიანი“ (ს.საბაძე)</p> |  <p style="font-size: small;">გალოცეთ ღვთაებრივად: ღმერთს კონსტანტინეს ასევე მთავარ-სავაგაძისა და თქვენი სოკრატე „ღვთის თაყვანისმცემის სწავლებს ვხუცავ.“</p> | <p style="font-size: small;">„მამულს რომ ასე უყვარს, ნათელს რომ ასე ნათელს, გმაცლობს სულს და გულს, მ, გმაცლობს, გმაცლობს, გმაცლობს!“</p> <p style="font-size: small;">ყველას წინაშე მაცხოვრების გზის გზისგან</p> <p style="font-size: large; font-family: cursive;">სოკრატე სავაგაძე</p> |

ბატონმა სოკრატმა მხატვარ გოგი ავსაჯანიშვილის დახმარებით, საკუთარი იდეის რეალიზაცია მოახერხა მოსაწვევე ბარათზე, იგი ორიგინალურადაა შედგენილი. სოკრატე სააფთიაქო ქსელიდან მცირე ხნით იყო მოკვეთილი და როცა აღდგა (და მერე როგორ!) პირველი აფთიაქის დირექტორად, მუხათუბანში 200 თბილისელი თანამემამულე დაპატიჟა და თანახმად დევიზისა: „სამართალია პური ჭამა“ – წვეულება-ქეიფი გადაიხადა. ანსამბლ „რუსთავის“ წევრებმა სასიმღერო რეპერტუარი მთლიანად ამოწურეს და სოკრატს მრავალჯამიერის ყველა ვარიანტი უმღერეს. თამადა ბრძანდებოდა ერთ-ერთი აღიარებული თბილისელი ბატონი ტარიელ კვაშალი. სოკრატის დედა, ქალბატონი ლუბა საზოგადოების წინაშე სადღეგრძელოთი წარსდგა, მადლობა გადაიხადა და განაცხადა: „ამ წუთისოფლიდან თუ აწე წავალ, ვხედავ, რომ ჩემს ერთადერთ შვილს სიმართლე არ დაუკარგეთ, მისი უსამსახუროდ დარჩენის სევდა საი-

ქიოში ჯავრად არ მიმყვებაო”, მას გარს შემოერთყნენ ანსამბლ რუსთავის წევრები და რამინ მიქაბერიძემ სიმღერა დაიწყო პოეტ იოსებ ნონეშვილის ლექსზე; **“დედა სამშობლოს დროშის მკერავი, დედა ლექსი და დედა ფერება, ისეთი ლექსი ვერავინ ვერ სთქვას, დედას რომ მართლა შეეფერება”**. რასაც მოქეიფეების ტაშის გრიადი მოჰყვა და ქალბატონ ლუბას სიხარულის ცემლები წასკდა...

ასეთ ხევსურულ
ჯვრიან ქუდს
ბატონი
სოკრატ სალუქვაძე
300 არაგველის
ხსოვნის
პატივსაცემად
ატარებს



**ქრისტეს ჯვრიანი ხევსურული ქუდი ნამდვილად უხდება ჩვენს სოკრატს –
ქ. თბილისის №1 აფთიქი-მუზეუმის დირექტორს. დღეგრძელობა და ახალ-ახალი
შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვოთ!
პრიმა აფთიაქი-მუზეუმის აღდგენა ახალ მისამართზე.**


მართალია, რედაქტორის წინასიტყვაობა ვრცელი გამომივიდა, მაგრამ ეს ნაკარ-
ნახევია პირველ რიგში ძმაკაცის სიყვარულით და იმ განზრახვითაც, რომ მკითხვე-
ელს მივაწოდო ნაწილობრივ მაინც, სოკრატ სალუქვაძის პორტრეტული შტრიხების
ეპიზოდები.

ამ წიგნის წამკითხველს, უფრო ღრმა შთაბეჭდილება, რომ შეექმნას, ბატონ ბაა-
დურს მინდა ვთხოვო და ამ პუბლიკაციას დაემატოს ბატონი სოკრატის ოთხი
ნარკვევი. მხოლოდ ნიმუშის სახით: ერთ-ერთი მათგანი არის ვარშავაში ყოფნის
დროს შოპენის ბაღში შავი შაში საყოველთაო მშვიდობას რომ გალობდა – მღერო-
და, ვინაიდან ასეთი ჩანახატის გადმოცემა ხელეწიფება ისეთ ავტორს, რომელსაც

სული აქვს პატრიოტული, ფართო სპექტრით იცნობს მხატვრულ ლიტერატურას. დანარჩენი ტექნიკის საქმეა, ე.ი. წინადადებების ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებას, მხატვრულად აზრის გადმოცემას, ამ ჩანახატში აღწევს ჩვენი სოკრატი ისე ახერხებს, თითქოს ჩვენს წინაშეა მუსიკის ისტორიის მცოდნე, ლიტერატორი – ხელოვანი. მეორე ნაშრომის დაბეჭდვის აუცილებლობა იმით არის გამოწვეული, რომ ავტორი გვთავაზობს თბილისის ორი უნივერსიტეტის ემბლემების მოხატვის მოკლე ისტორიას, სამედიცინო აკადემიის ემბლემად აღიარების წინადადებას, რომელიც გამომდინარეობს კოლხეთის მეფე აიეტის ქალიშვილის მედეას სამედიცინო მემკვიდრეობიდან. ემბლემების მოხატვის ისტორიის შესახებ ავტორის გამოკვლევა იმდენად ღრმაა, რომ ბევრ ხელოვნებათმცოდნეს გაუჭირდებოდა სიმბოლიკისა და ემბლემების მსგავსი გააზრება. ემბლემებისა და გერბების ანუ ჰერალდიკის საკითხების შესწავლის სრულყოფა (პროცესი) ამუშადაც გრძელდება, ამიტომ ამ საკითხში დამაჯერებლობა ავტორის ნააზრევს ნამდვილად არ აკლია. ამას მკითხველი მასალის წაკითხვისას გაეცნობა. ასევე საინტერესოა ვერსია მედიცინისა და მედეას ეტიმოლოგიური ურთიერთკავშირის შესახებ, ისევე, როგორც ჰიგია – ჰიგიენა, ვენერა – ვენეროლოგია, გალენი – გალენიკა და ასე შემდეგ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ასეთი შედარებითი ანალიზი წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიის სხვა მკვლევართა ნაშრომებში ჯერ-ჯერობით არსად ამოგვიკითხავს, ამ საკითხის დღის წესრიგში დასმის პრიორიტეტი, ნამდვილად ჩვენს სოკრატს ეკუთვნის. აქვე უნდა დავამატოს ორიგინალური ნაშრომი “არქეოლოგია და მედიცინა”, რომელშიც მოცემულია შედარებითი ანალიზის მეთოდი ძველსა და ახალ სამედიცინო ტექნიკის იარაღებს შორის, შედეგები დამაჯერებელია. ყოველივე ამას ემატება ერთი სამწუხარო ფაქტი, რაზეც აუცილებლად უნდა ითქვას: თბილისის უნივერსიტეტის ეზოს გისოსებიან ღობეში ჩაშენებული იყო ფერადი მეტალის დისკო “ალმა მატერ” მეძუძური ირმის გამოსახულებით, როცა დედა ირემი თავის ნუკრს რძეს აწოვებს. დედა ირემი სიმბოლური განსახიერება ყოფილა პროფესორ-მასწავლებლებისა, რომლებიც გონებრივ საზრდოს აწვდიან სტუდენტებს, ხოლო ირმის ნუკრი, ბუნების სათნოება – სტუდენტ ახალგაზრდობას განსახიერებს. ავტორია მიუნხენის სამხატვრო აკადემიის კურსთამთავრებული, ევროპის კულტურას ნაზიარები ახალგაზრდა ხელოვანი, დიმიტრი შევარდნაძე. ამ მისიის შესრულება მას დაავალა უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ, რომელმაც მოიწონა მხატვარ დ. შევარდნაძის ნააზრევი. მაგრამ მიუღებელი ის გახლავთ, სამწუხაროდ, რომ ემბლემის ფერადი მეტალის დისკო ემბლემითურთ რკინის ღობიდან ამოგლიჯეს და რომელიღაც მიმღებ პუნქტს ჩააბარეს გზააბნეულმა ქურდბაცაცებმა. როცა დედაუნივერსიტეტის ემბლემას ჯართად აბარებენ, იმაში აღებული ფულით იმაზე კარგი განა რა უნდა შეეძინათ? ასე დაიკარგა უნივერსიტეტის ემბლემა. მისი მომხატველის – დიმიტრი შევარდნაძის საფლავიც სად არის, აღარც ის ვიცით! მე ასე გავიგე: ჩემი მეგობრის, სოკრატის მიზანი ის არის, რომ ზოგიერთ ახალგაზრდას შეახსენოს ზნეობის ელემენტარული ნორმები და მოვალეობა ქვეყნის წინაშე. ამიტომ ვითხოვე აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილისაგან ნებართვა, რომ მისი ავტორობით სოკრატ სალუქვაძეზე გამოცემულ წიგნს ეს ხუთი ქვეთავი ავტორისეული გააზრებითა და ლაიტმოტივით დამატებოდა. წიგნს აუცილებლად დაერთვება პროფ. დურმიშხან ცინცაძის ნარკვევი, მკვლევარ სოკრატ სალუქვაძეზე.





ლევან სალუქვაძე – დედაუნივერსიტეტის ემბლემის ახალი ვარიანტი – “*alma mater*”.



დიმიტრი შვეარდნაძე – დედაუნივერსიტეტის ემბლემის უპირველესი ვარიანტი – “*alma mater*”.

P.S. ამჟამად ორთავე ემბლემის ვარიანტი დაკარგულია. ისღა დაგვრჩენია, ერთადერთი გზა მათ აღდგენაში უნდა ვეძიოთ! უემბლემო უნივერსიტეტი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია, მით უმეტეს, რომ გვექონდა ორიგინალური და შთამბეჭდავი ემბლემები! ემბლემის ნეგატივი დიდი ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით ხელნაწერთა ინსტიტუტშია შენახული, საქმე №850.

დაბოლოს: მკითხველთა წინაშე გადაუჭარბებლად უნდა განვაცხადო, რომ ფარმაცევტული დარგი უმოწყალოდ “აღიგავა მიწისაგან პირისა”. და მაინც შემოგვრჩა ისეთი კადრები, რომლებიც უკეთეს მომავალზე მეოცნებე პატრიოტები არიან. სწორედ რომ ერთ-ერთი ასეთი მკვლევარი და მოქალაქე გახლავთ ჩვენი სოკრატ სალუქვაძე, რომელიც თავჩაღუნული შრომობს. იგი შორსაა აფიშირებისა და რაიმე რეკლამისაგან. რასაც აკეთებს, ყველაფერს ფარმაცევტული დარგის სიყვარულით აკეთებს. და თუ შეერთებული ძალით ვიმოქმედებთ, ასეთი მონდობებით მნიშვნელოვან წარმატებათა მიღწევაც შეიძლება. ზემოთ ვახსენე, რომ ჩემი მეგობარი არ გახლავთ რეკლამისა და ხმაურის კაცი, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რასაც აქამდე მეგობრებს გვიმალავდა. რამდენიმე წლის წინათ ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ცოტნე მირცხულავასა და ამავე აკადემიის ვიცე პრეზიდენტის, აკადემიკოს ნუგზარ ნადარაიას წინადადებით ამ უწყებაში ღია კენჭისყრაზე დაუყენებიათ საკითხი სოკრატ სალუქვაძის აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის თაობაზე. ჩვენი კოლეგა უყოყმანოდაც დაუმტკიცებიათ აკადემიის ნამდვილ წევრად. ასე, რომ ჩვენი სოკრატი აკადემიკოსის ტიტულის მფლობელია, აქვე ვაქვეყნებთ პირადობის მოწმობას.



ამ პირადობის მოწმობის შესაბამისად
სოკრატ სალუქვაძე არჩეულია ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

მიმდინარე წლის 5 ნოემბერს იყალთოს აკადემიაში ჩატარებულა პოეზიის 43-ე ზეიმი-დღესასწაული “შოთაობა”. ბატონი სოკრატი აურჩევიათ იყალთოს საპატიო მოქალაქედ. ვაქვეყნებთ იყალთოს ოთხი საპატიო მოქალაქის ფოტოსურათსაც. მარცხნიდან მარჯვნივ: თელავის გამგებელის მოადგილე თორნიკე მაყაშვილი, ბონდო კოპაძე, ჩვენი პლანეტის საპატიო მოქალაქე, ველოსიპედით დედამიწას რომ შემოუარა და გინესის წიგნშია შეტანილი ბატონი ჯუმბერ ლეჟავა, წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე, რომელსაც ამას წინათ ბოლონის დეკლარაციის შესაბამისად საქართველოს განათლების სამინისტრომ ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის წოდების მინიჭების დამადასტურებელი მოწმობა გადასცა. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ავტორიტეტები ფარმაცევტულ დარგში. ჰოდა, რატომ უნდა მივჩქმალთ და რატომ არ უნდა ვაცნობოთ საზოგადოებას ასეთი სიახლეების შესახებ?



სურათზე იყავთოს საპატიო მოქალაქეები: თორნიკე მაყაშვილი, ბონდო კობაძე, მსოფლიოს ყველა ქვეყნის საპატიო მოქალაქე – ჯუმბერ ლეჟავა და სოკრატ სალუქვაძე.

ჩვენო სოკრატ! გლოცავთ ქრისტიანულ მართლმადიდებლური ლოცვა-ვედრებით
“ადიდე ღმერთი და იხარე მარად”!

ძმური სიყვარულით:
ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ბენდი (ბენო) ღებანოსიძე

უძველესი მედიცინის ემბლემა ახალი თვალსაზრისით

მედიცინა – მედეა – მედიცინა

მედიცინა ეტიმოლოგიურად მედეას სახელს უკავშირდება

შესავალი

ისტორიული ცნობები მედეასა და მისი სამკურნალო ტრადიციების შესახებ შორეული წარმართული ხანის საუკუნეებიდან მოედინება. მედეას სამკურნალო ხელოვნების მეცნიერულად გაშუქებას არაერთმა მკვლევარმა მიუძღვნა შრომა, მათ შორის, როგორც არაქართული წარმოშობის ხელოვნებათმცოდნეებმა, დრამატურგებმა, პოეტებმა თუ მისი სათავგადასავლო ისტორიით დაინტერესებულმა მკვლევარებმა. მაგრამ ზოგიერთი ისტორიული ხასიათის ტრაგედიაში თუ არგონავტიკასთან მიმართებაში ისტორიული სინამდვილე ტენდენციურად არის წარმოდგენილი მედეასა და მისი მძიმე ტრაგიკული ხვედრის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი იქამდეც კი მიდის, რომ უარყოფს მის კოლხურ წარმოშობას და სკვითების ეთნიკურ შთამომავლად მიიჩნევს, რაც სწორი არ არის: კოლხეთის სამეფო უძველესი ქართული სახელმწიფოს გენეზისად ითვლებოდა და ამრიგად გამორიცხულია მედეას არაქართული წარმოშობის შესახებ მსჯელობა. თანამედროვე მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე საკითხს ასეთნაირად აყენებს: “რა ენაზე ლაპარაკობდა კოლხეთის მეფე აიეტი?” და იქვე პასუხობს – დასავლურ ენაზე. პროფესორები: რ. გორდეზიანი, გ. წერეთელი, ა. ურუშაძე, ზ. ჭუმბურიძე, გ. ჭელიძე და სხვები ერთხმად იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ არაერთი ეთნიკური და ისტორიული წყაროს მოშველიებით ძველი ჭანურ–ლაზური და კოლხური დიალექტი, განსაკუთრებით მეგრული, მეფე აიეტის ოჯახის სალაპარაკო ენა უნდა ყოფილიყო, ასე, რომ ეს დიალექტები არის აიეტის ოჯახის სასაუბრო ენის სამართალ–მემკვიდრე. არაერთი ეთნიკური წყაროს მოშველიებით (პროფ. გ. ჭელიძე) დადგენილია, რომ იაზონი პელაზგი იყო და არა ბერძენი. პელაზგები ქართველთა წინაპარი ტომია და თუ ეს ასეა, მაშინ საფიქრებელია ისიც, რომ მედეას და იაზონის დიალოგი-შეთანხმება ოქროს საწმისის მოტაცების თაობაზე ურთიერთ გასაგებ ენაზე მიმდინარეობდა და შეთანხმებას უთარჯიმნოდ მიაღწიეს.




ელგუჯა ბერძენიშვილი – “მედეა და მბაქიდან ჯეკელს რძეს ახმევს”. ფერწერული ტილო გამოფენილი იყო თბილისის №2 აუთიაქში.

მედეას კოლხურ-იბერიულ წარმომავლობას არაერთი ბერძენი მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე და მეცნიერი ეჭვმიუტანლად მიუთითებს, ვინაიდან ეს უშუალოდ უძველეს კოლხურ ცივილიზაციასთან დაკავშირებული ფაქტია. დღესაც თითოეული ქართველი მედეას ქვეცნობიერად საკუთარ წინაპრად მიიჩნევს. ასეთი მიდგომა ამ საკითხისადმი მითებით, ლეგენდებით და ფოლკლორულ-ეთნიკური წყაროებიდანაც მტკიცდება. ქართველი ხალხის საუკეთესო მთაწროვნეებმა მედეას მიუძღვნეს დოკუმენტური პროზა, არა ერთი ლექსი და პოემა, ბატონმა ელგუჯა ბერძენიშვილმა შექმნა გრაფიკული შედევრი “მედეა”, ხოლო მისმა ძმამ, ბატონმა მერაბმა ბიჭვინთაში ძეგლი აღმართა “მედეა შვილებითურთ”.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, რასაც მოწმობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მთპოვებული მასალები, არაქართული წერილობითი წყაროები. დიდი როლი ენიჭება ძველი ქართული მედიცინის კვლევისას აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“ და „ორფიკულ არგონავტიკას“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის, პროფ. კურტ იოახიმ პოლიკარპ შპრენგელის (1766-1833) შრომები. სწორედ მან, მსოფლიოში პირველმა, გამოსცა: *“Versuch. einer pragmatischen Geschichte der Arzneikunde. Kurt Sprengel. halle, 1792 J. I B.”* ხუთტომეული სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორიის ცდა, ანუ „პროგრესული ერების მსოფლიო მედიცინის ისტორიის“ ხუთტომეული. პროფესორ კურტ შპრენგელის პირველი ტომი იწყება ქვესათაურით: „უძველესი კოლხური მედიცინა“. ავტორმა 13 გვერდი მიუძღვნა უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის მოკლე ისტორიას და შეიძენაზე 84 სქოლიო მიუთითა გამოყენებული ლიტერატურის შესახებ, რა თქმა უნდა, მოიშველია მითოლოგიური წყაროებიც და ლეგენდებიც.



მედეას გამოსახულება ზარდახშაზე.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე რატომღაც პროგრესული კაცობრიობის წინაშე მიხქმალული აღმოჩნდა კ. შპრენგელის კონცეფცია, რომელიც აღიარებდა, რომ კოლხეთის დაბლობზე მოშენებული იყო სამკურნალო მცენარეების ბაღი – ჰეკატეს ბაღი. ამ წალკოტში 40-მდე სამკურნალო მცენარეს აშენებდნენ ძვ.წ.ად. XV-XIV საუკუნეების მიჯნაზე. ეს გახლდათ ეპოქა, რომელიც სულ ცოტა 300 წლით უსწრებს ცნობილი მკურნალის, ასკლეპიოსის (ბერძნულად) იგივე ესკულაპის (რომაულად) ეპოქას.

პროფ. კურტ შპრენგელის კონცეფცია კაცობრიობისთვის კიდევ უფრო ნათელი გახდა „XX საუკუნის არგონავტის“, ინგლისელი მოგზაურის ტიმ სევერინის მიერ 35 საუკუნის შემდეგ განმეორებითი სპორტული ლაშქრობით – მოგზაურობით, რომელიც განხორციელდა ეგეოსის ზღვიდან ძველი კოლხეთის (ფაზისის) მდინარე რიონის დელტამდე 1984 წლის 21 ივნისს. კოლხეთის უძველეს ქალაქ ვანში „არგოს“ გემბანიდან მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე „არგონავტმა“ ტიმ სევერინმა განაცხადა: „კაცობრიობას აწვალებდა ფიქრი, მითი არგონავტების შესახებ ზღაპარი იყო თუ სინამდვილე და დღეს, უფლებამოსილი ვარ, განვაცხადო, რომ ჩემი მოგზაურობა განხორციელდა წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, ამიტომ „მითი სინამდვილეს შეესაბამება“. ეს კი, 35 საუკუნის შემდეგ განმეორებითი მოგზაურობით პრაქტიკულად დადასტურდა, რაც უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. მაშასადამე, ქართული მედიცინის ისტორიული ფესვები და სათავეები 35 საუკუნის იქითაც უნდა ვეძიოთ. სამკურნალო მცენარეების მოშენების ფაქტს, გარკვეულწილად, მოსამზადებელი პერიოდშიც ხომ ექნებოდა? ფაქტია, რომ აიეტის ქალიშვილი მედეა პელაზგ არგონავტ იაზონს გაუმიჯნურდა. სავარაუდოა, რომ პელაზგური და ძველი კოლხურ-ლაზური მონათესავე ენებია და ამიტომ, მედეასა და იაზონს საუბრისას ურთიერთგაგებისთვის თარჯიმანი არ დასჭირვებიათ. ასევე, ფაქტია, რომ მედეა დაეხმარა იაზონს ოქროს

საწმისის გატაცებაში და ცოლადაც გაჰყვა მას საბერძნეთში. ამრიგად, კოლხეთის მეფის ასულის – მედეას – ცხოვრების მეორე ნახევარი საბერძნეთს დაუკავშირდა. მხატვრული სახეების შესაქმნელად არაერთმა მწერალმა და პოეტმა გამოიყენა მედეას ტრაგიკული ისტორია. ზოგიერთ მათგანში ისტორიული სინამდვილეა ასახული, ზოგიერთში კი დამახინჯებულია, თუმცა ხაზგასმულია ერთი გარემოება, კოლხეთის მეფის აიეტის ასული – მედეა ერკვეოდა ჰეკატეს ბაღში მოშენებული მცენარეების სამკურნალო თვისებებში.



ზურაბ ნიჟარაძე – “მედეა”, ფერწერული ტილო გამოფენილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში, აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის სამუშაო კაბინეტში.



“მედეა ვაზით” – სურათი ამოღებულია კუნის წიგნიდან “მითები და ლეგენდები”,
რომელიც თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნით.

ცნობილი რუსი მეცნიერი, პროფ. ვალერი კრიკოვი თავისი მონოგრაფიის
В.И.Криков. Организация и экономика фармации. Москва. «Медицина» 1976. მე-12 გვერ-
დზე აღნიშნავს, რომ ტერმინი მედიცინა ძველბერძნულ ანტიკურ წყაროებში მოიხსენ-
იება ძვ.წ.აღ. XII საუკუნიდან, ე.ი. არგონავტების ისტორიიდან გასულია დაახლოე-

ბით, 300 წელი. XV საუკუნიდან მედეას ბედი საბერძნეთს დაუკავშირდა, ბერძნულ წერილობით წყაროებში მომდევნო საუკუნეებში ჩნდება ტერმინი „მედიცინა“, რომელიც მკურნალობასთან დაკავშირებული საქმიანობა გახლავთ! სავარაუდოა, რომ მედეას სახელს ეს ტერმინი ეტიმოლოგიურად დაუკავშირდა. ასეთი ტერმინის გამოჩენა ბერძნულ წერილობით წყაროებში ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც მედეას სახელის უკვდავყოფის ღონისძიება. პირიქით, აქ ვლინდება პოტენციური მტრობა მედეას, როგორც მკურნალის მიმართ, რომელმაც თითქოს ვერაგული მანიპულაციებით შხამნარკოტიკები გამოიყენა შურისძიების მიზნით, რაც არ გახლავთ გამორიცხადი. ეს შეიძლება იმიტომაც მოხდა, რომ მედეა ბერძნული წარმომავლობისა არ გახლავთ. მას უმტრეს მასპინძლებმა, მითუმეტეს, იაზონმა მას უღალატა. მედეა რომ ბერძნული წარმოშობის ყოფილიყო, მისი მემკვიდრეობა, რომელიც 1000 წლით წინ უსწრებს ჰიპოკრატეს ეპოქას და 300 წლით – ასკლეპიოსისას, შესაძლებელია, არანაკლებ დადებითად შეფასებულიყო. საფიქრებელია ისიც, მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას რატომ არ დაერქვა „ასკლეპიოსიციცინა“, „ესკულაპიციცინა“ ან „ჰიპოკრატეციცინა“? ასეთი მოსაზრების გამოთქმის უფლებას ისიც გვაძლევს, რომ არგონავტების მიერ თქრთს საწმისის გატაცებამდე ბერძნულ წერილობით წყაროებში ტერმინი „მედიცინა“ ნახსენები არ იყო.

ჩვენი მოსაზრების თანახმად, თითქოს ირკვევა ეტიმოლოგიური კავშირი მედიცინასა და მედეას სახელს შორის, მაგრამ ამას ანალოგიური ფაქტებით დამტკიცება ესაჭიროება. რა თქმა უნდა, წერილობითი წყაროები ამის შესახებ არ მოგვეპოვება, თუნდაც იმიტომ, რომ ამ დროისათვის გვეტონდა თუ არა ასომთავრული დამწერლობა, ეს მეცნიერებაში ჯერჯერობით სადავოა. ასომთავრული დამწერლობის სათავედ რამდენიმე ათეული წლის წინათ V საუკუნეს მიიჩნევდნენ. ამ ბოლო დროს გაჩნდა ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, ასომთავრული დამწერლობა ძველი წელთაღრიცხვით IV-III საუკუნეებში ფარნავაზ მეფის ეპოქას დაუკავშირდა. არსებობს სხვა ჰიპოთეზები იმის შესახებ, რომ ასომთავრული დამწერლობა უფრო ძველია. ამას იმიტომ ვეხებით, რომ თუ ქართული დამწერლობა არ არის ერთ-ერთი უძველესი, მაშინ სამედიცინო ცივილიზაციაზე საუბარი ნაკლებ დამაჯერებელი იქნება. საგულისხმოა, რომ ძველად საქართველოში იყო ორენოვანი დამწერლობა „ბილინგვატ“.



ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ემბლემა ასკლეპიოსის ატრიბუტით ხმელ ჯოხზე დახვეული გველითურთ. ეს თემატიკა 300 წლით უფრო გვიანდელია, კოლხეთის მეფე აიეტისა და მედეას ეპოქასთან შედარებით. ძვ. წ.ა. XII სკ. ემბლემა 1946 წლის 7 დეკემბრიდან არის დაარსებული.

იუნესკო-ს გენერალური დირექტორი, დოქტორი ფედერიკო მაიორი როცა საქართველოში ჩამობრძანდა, განაცხადა: „მე ჩამოვედი ესპანეთის იბერიიდან საქართველოს იბერიაში, ვითარცა არგონავტი“. ამ გამოთქმაშიც ჭეშმარიტების აღიარებაა ჩაქსოვილი. ჩვენ პროფესორი ვალერი კრიკოვი შემთხვევით არ მოგვიხსენიებია, თუნდაც იმიტომ, რომ მედეასა და მედიცინას შორის ეტიმოლოგიური კავშირი, რომელიც კოლხური ცივილიზაციიდან მოდის, ბერძნულ ცივილიზაციაში არგონავტების მიერ ოქროს საწმისის გატაცების შემდეგ ამოტივტივდა, აღმოცენდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასკლეპიოსი (ესკულაპი) ჰომეროსამდე 400 წლით ადრე ანუ ძველი წელთაღრიცხვის XII-XI საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა. მას ჰყავდა ორი ვაჟიშვილი: ჰალადეირიოსი და მაქაონი – ცნობილი მკურნალები. აგრეთვე ორი ქალიშვილი: პანაცეა და ჰიგია. დღეს ყველაფრის სამკურნალო საშუალებას პანაცეას სახელიდან გამომდინარე, ეწოდება „პანაცეა“, ხოლო მეცნიერებას ჯანმრთელობის დაცვისა და ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ – „ჰიგიენა“, რომელიც უდავოდ ეტიმოლოგიურად ჰიგიას სახელიდან გამომდინარეობს. ძველ რომში სამკურნალო ბალახების, ყვავილების და სიყვარულის ღვთაებას ვენერა ერქვა, ხოლო თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებას, რომელიც სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობას ეხება, უკვე 300-400 წელზე მეტია, „ვენეროლოგია“ ეწოდება. ძველ საბერძნეთში ანალოგიურ დაავადებას დღეს აფროდიტოლოგია ჰქვია და არა „ვენეროლოგია“, ვინაიდან, რომაული თქმულება ვენერას შესახებ და ბერძნული თქმულება აფროდიტეს შესახებ ანალოგიურობით ხასიათდება. დიდი რომაელი სამედიცინო რეფორმატორის კლაუდიუს გალენიუსის გვართან დაკავშირებით მთელ რიგ პრეპარატებს „გალენიკა“ ანუ „გალენური“ ეწოდება. კგელანიუსის მოწინააღმდეგეებმა მის პრეპარატებს დაწუნებული, უფარგისი, „გალენური“ უწოდეს! უსაფუძვლო კრიტიკოსები უსახელოდ გაქრნენ (გადაშენდნენ) ისტორიული სარბიელიდან, ხოლო მათი ტენდენციური ძაგებით კგელანიუსის პიროვნება ისტორიამ შარაგანდევით შემოსა და შთამომავლობამ უკვდავო იგი. მტრული დამოკიდებულება სასარგებლო გამოდგა. ანალოგიურ დამოკიდებულებასთან უნდა გვქონდეს საქმე მედეას მემკვიდრეობის შეფასებისას და შესწავლისას. პონტოს მეფემ მითრიდატე VI ეგპატორმა (132-63 ძვ.წ.აღ.) სპეციალური ლაბორატორია შექმნა, სადაც მოამზადა შხამის გამანეიტრალებელი ანტიდოტი „მითრიდატუმი“, რომელიც XVII საუკუნიდან XIX საუკუნის ბოლომდე შეჭქონდათ ევროპის ცივილიზებული ქვეყნების ბევრ სახელმწიფო ფარმაკოპეებში. ძველ ქართულ კარაბადინებში, რომლებიც ქართულ სახელმწიფოში ფარმაკოპეის იდენტურ წიგნებად მოისაზრებოდა, „მითრიდატუმი“, როგორც ანტიდოტი, ზაზას და მახარებელს XV საუკუნეში აქვთ შეტანილი და მასში 55-ზე მეტი კომპონენტი შედიოდა.

ძველ ეგვიპტეში ნაპოვნია იბისისთავიანი (ფრინველია) თოთის (ტოტი) ფრესკა, რომელიც გახლდათ ჯანმრთელობის, დამწერლობის, უამთასვლის, ზომა-წონის და მთავრის ღვთაება. ფრესკის ქვეშ იყო მინაწერი „ფარმაკონ“, რაც, ეპოქალური გაგებით: „მხსნელს“, „მფარველს“ ნიშნავდა, ხოლო მედიცინის მამამთავრად მიჩნეული ჰიპოკრატეს ეპოქიდან (460-377 ძვ.წ.აღ.) სიტყვა ფარმაკონი უშუალოდ წამალზე მიგვანიშნებს.


აქედან იღებს ეტიმოლოგიურ სათავეს თანამედროვე წამალთმცოდნეობის შემდეგი ტერმინები: ზოგადად „ფარმაცია“ და შემდეგ „ფარმაკოგნოზია“ – მეცნიერება სამკურნალო მცენარეების შესახებ, „ფარმაკოლოგია“ – მეცნიერება – ცოდნაა

ცოცხალ ორგანიზმზე წამლის მოქმედების მექანიზმის შესახებ, „ფარმაცევტული ქიმია“ – ანუ ქიმიური წარმოშობის სამკურნალო პრეპარატები და „ფარმაკოპეა“ – „ფარმაკონ“ – წამალია, „პოიაო“ – ვაკეთებ, ანუ სახელმწიფო (იურიდიული) საკანონმდებლო წესდება წამლის მომზადების, სწორი დოზირების, მკურნალობის ხანგრძლივობის განსაზღვრის შესახებ. ასე, რომ ზემოჩამოთვლილი ანალოგიური ფაქტების ანალიზის შედეგად ვლინდება შემდეგი: **ჰიგია – „ჰიგიენა“, პანაცეა – „პანაცეა“, გენერა – „გენეროლოგია“, აფროდიტი – „აფროდიტოლოგია“, მითრიდატი – „მითრიდატიზმი“, გალენიუსი – „გალენიკა“, „ფარმაკონ“ – „ფარმაკია“, „ფარმაკოლოგია“, „ფარმაკოგნოზია“, „ფარმაცევტული ქიმია“, „ფარმაკოპეა“, ანალოგიურად, ზემოჩამოთვლილი ფაქტების ანალიზის შედეგად იბადება კითხვა: მგ.წ.აღ.-ის XII საუკუნიდან მკურნალობასთან დაკავშირებულ საქმიანობას რომ მედიცინა ეწოდება, ეს ხომ არ არის ეტიმოლოგიურად დაკავშირებული კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილის – მედეას სახელთან? ეს რამდენად ლოგიკურია, დაე, მკითხველმა განსაჯოს. ამჟამად კი, საუბარი გვსურს უძველესი მედიცინის ემბლემაზე ახალი თვალსაზრისით. თანამედროვე მხატვარმა ელგუჯა ბერძენიშვილმა, შექმნა რა გრაფიკული შედეგრი „მედეა“ პროფ. ლევან სანიკიძის დოკუმენტური პროზიდან გამომდინარე „ამბავი კოლხი ასულისა“, მიგვაჩნია, რომ „მკურნალობანი კოლხელი მედეასი“, მედეას პორტრეტთან ერთად იუნესკო-სა და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთ, პარალელურ ოფიციალურ ემბლემად მაინც უნდა იქნეს აღიარებული! თუნდაც იმიტომ, რომ ემბლემების შესახებ ლიმიტი ჯერ არავის დაუწესებია და თანამედროვე მხატვართათვის არავის აუკრძალავს ემბლემის ახალი ვარიანტის მოხატვა. მითუმეტეს, პაპეს ლექსიკონის მიხედვით, მედიცე – ბერძნული სიტყვაა და საერთოდ მკურნალ (ექიმ) ქალს ნიშნავს. მედეა კოლხეთის მეფის აიეტის ასული ნამდვილად მკურნალი რომ იყო, ეს დავას აღარ იწვევს! პროფ. ლევან სანიკიძის დოკუმენტური პროზის მიხედვით, მედეას არ დაუხოცავს საკუთარი შვილები და ასეთი პროვოკაცია ათენელების და კორინთოელების მტრული დამოკიდებულების ანარეკლია. მედეა კოლხელი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. მიხეილ შენგელია, **„გონიერებით და სიკეთით შემკული მკურნალი გახლდათ და ებერძენიშვილის გრაფიკული შედეგრი ემბლემად რომ გამოცხადდეს, ეს საკითხი წერილობით დასმულია ჩვენს მიერ პარიზში, იუნესკო-ს წინაშე და ჟენევაში, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბბინაში, „Medea Colchica Medicare Seu medicina“ – ე.ი. „კოლხი მედეას მკურნალობანი, ანუ მედიცინა.“****

რაც შეეხება ჩვენს ადრინდელ კომენტარს მედეას სურათზე „კურა მედიანა“-ს წარწერის შესახებ, პროფ. მიხ. შენგელიას მოსაზრების თაობაზე, ამჟამად ირკვევა, რომ ისტორიული ფაქტებისა და ლექსიკონებით დაზუსტებისას „კურა“ ნიშნავს „მკურნალობას“, ხოლო „მედიანა“ – საშუალოს, რაც მედეას სამკურნალო მემკვიდრეობას სრულყოფილად ვერ ასახავს, ხოლო „კოლხი მედეას მკურნალობანი ანუ მედიცინა“ ჩვენს მიერ უფრო დაზუსტებული მოსაზრება გახლავთ, რაც განზოგადების ღირსად უნდა მივიჩნიოთ და, ამ ანალიზებიდან გამომდინარე, ეს სიახლე საკითხის დასმის წესით, ინტერნეტის საშუალებით ეცნობოს პროგრესულ ერებს. წამყვანი სპეციალისტები, ალბათ, შესაბამის დასკვნებს გამოიტანენ!



ელგუჯა ბერძენიშვილი – გრაფიკული შუღვერი „მედეა“. შუღვერს დაფამატეთ ლათინურენოვანი წარწერა და გვინდა საერთაშორისო ემბლემად დაინერგოს, პირველ რიგში კი საქართველოს სამედიცინო აკადემიის ემბლემად.



ბიჭვინთა, მერაბ ბერძენიშვილი „მელვა შვილებით“.

MEDEA·COLCHICA·MEDICARE SEU MEDICINA



ეს ლათინური წარწერა ჩვენი თხოვნით შეასრულა მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ. მიემართეთ აკადემიკოს რამაზ ხეცურიანს, რათა სამეცნიერო საბჭოზე იმსჯელონ და ეს ესკიზი აღიარონ საქართველოს სამედიცინო აკადემიის ემბლემად.



ლადო გუდიაშვილი - „კახონისა და მეფეას შორეო ოჭროს საშუაისის გატაცება კოლხეთიდან არესის ჭაღაკიდან, ურჩხულის მიძინების შემდეგ“



MEDEA



“მედეას” ემბლემის ვარიანტი

“მედეას” წინამდებარე ნახატი – გამოსახულება მოხმობილია

საქართველოს სამედიცინო ჟურნალის ემბლემად.

წამალთმცოდნე ვახტანგ ქავთარაძემ დააარსა ფარმაცევტული საზოგადოების ჯერ გაზეთი და შემდეგ ჟურნალი, რომლის სათაურია “ფარმაცევტული მაცნე „მედეა” ჩვენს დაარსებულ გაზეთს “წამალთმცოდნეს” ამშვენებდა მედეას ემბლემური გამოსახულება, ხოლო გამოსაცემად მომზადებულ ჟურნალს – “წამალთმცოდნეს” – დაამშვენებს ემბლემა “კოლხელი მედეას მკურნალობანი ანუ მედიცინა”. არაერთმა მკვლევარმა სცადა მედეას მემკვიდრეობის გაშუქება და მედიცინასა და მედეას შორის ეტიმოლოგიური კავშირის დამტკიცება, მაგრამ ყოველი მათგანის მცდელობას აკლდა მეცნიერული დასაბუთება და დამაჯერებლობა. ჩვენს წინამდებარე გამოკვლევაში მიზნად დავისახეთ ამ პრობლემის გადაჭრისათვის მოგვეჩვენა არგუმენტები და ანალოგიური ფაქტების ანალიზური შეჯერებით დაგვესაბუთებინა მედიცინასა და მედეას სახელებს შორის ეტიმოლოგიური კავშირი. ფაქტების ზუსტი კონსტატაციის საფუძველზე რამდენად შევძელი ამის დასაბუთება, დაე, ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს. ყოველ შემთხვევაში, არაერთმა სამედიცინო სამეცნიერო კონგრესის ორგკომიტეტმა სცადა მედიცინის ემბლემის ვარიანტთა დაფუძნება, რასაც იურიდიული არსებობის უფლება გაჩნია. ჩვენი მოსაზრებებიც ჭეშმარიტებასთან მიახლოების მცდელობა გახლავთ, რომელსაც განსჯისა და შეფასების მიზნით პროგრესულ კაცობრიობას განხილვის წესით ვთავაზობთ.

ქ. თბილისის №1 ავთიაქ-მუზეუმის ვიტრინას უკვე ამშვენებს ემბლემა “კოლხელი მედეას მკურნალობები ანუ მედიცინა”. უძველესი მედიცინის ემბლემა ახალი თვალსაზრისით თანდათან ინერგება სამედიცინო სამყაროში და საქართველოში ეს სიახლე უკვე პოპულარულია.



მსტვარ ელგუჯა ბერძენისვილის ამ გრაფიკულ შედეგზე ზემოდან იყო მიწერილი: “კურა მედიანა” და ისე იყო ექსპონირებული მედიცინის ისტორიის მუზეუმში (ლურჯ მონასტერში). ეს წარწერა, რომელიც პოფ. მის. შენგელიას ინიციატივით გაკეთდა, “კურა” – ნიშნავს მკურნალობას, “მედიანა” – საშუალოს. ასე, რომ მედეას სურათზე ამ ლათინურენოვან წარწერას მედეას სამედიცინო მემკვიდრეობასთან საერთო არაფერი აქვს და გადაუმოწმებლად ჩვენს მიერ ამ მოსაზრების გაზიარება შეცდომა ყოფილა, ვინაიდან ასეთი ლათინურენოვანი წარწერა თავიდანვე არაკვალიფიციური მსჯელობაა. როგორც ჩანს, ამ შეცდომას მიაგნო მისმა ვაჟიშვილმა რამაზ შენგელიამ და როცა ჩატარდა უსწორო კარაბაღინის 1000

წლისთავთან დაკავშირებული საერთაშორისო კონგრესი, მოსაწვევ ბარათზე მედეას სურათი ბატონმა რამაზ შენგელიამ ყოველგვარი წარწერის გარეშე მოათავსა, ხოლო ჩვენს მიერ მონახული იქნა ამ სურათის შესაბამისი ლათინურენოვანი წარწერა: “*Medea colchica medikare seu medicina*” – ანუ მედიცინა. ასეთი ლათინურენოვანი წარწერა საგსებით მიესადაგება, მედეას სამედიცინო მემკვიდრეობას. ამ სტატიაში, სრულიად სამართლიანად დავსვით საკითხი, რომ მედეა და მედიცინა ეტიმოლოგიურად ისე შეესაბამება ერთმანეთს, როგორც “ჰივია” – ჰივიენას და “ვენეროლოგია” – ვენერას. წარწერა “კურა მედიანა” თავიდანვე აბსურდული მოსაზრება იყო.



ღვეან სალუქვაძის მიერ ჩამოსხმული მედალიონი, რომელიც ჩვენს მიერაა დაარსებული საუკეთესო მეცნიერული ნაშრომის ავტორებისათვის. მისი პირველი მფლობელები გახლავთ აკადემიკოსები: ეთერი ქემერტელიძე, ალიკო ბაკურიძე და სანკტპეტერბურგელი აკადემიკოსი – გენადი იაკოვლევი.

**ქ. თბილისის ორი უნივერსიტეტის ემბლემაზის მოხატვის მოკლე ისტორია
ანუ
ღია წერილი**

**აკადემიკოს რამაზ ხმეშვიანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ემბლემაზის დაარსების გამო**

დიდად პატივცემულო ბატონო რამაზ!

სამი გარემოების გამო ვარღვევ თქვენს მეუღრობას.

1. დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ, პირადად თქვენ, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი საბჭოს კათედრა დამშვენდა ორიგინალური ემბლემით, რომელიც არქეოლოგ-ისტორიკოსთა ცნობით 1500 წლისაა, ანუ ეს თემატიკა ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნით თარიღდება. სიამოვნების მომგვრელია ის ფაქტი, რომ ტელემაყურებელთა წინაშე სატელევიზიო არხით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამ ემბლემით გვაუწყებდა და კვლავაც გვაუწყებს სარეკლამო ინფორმაციებს. ცნობილი არქეოლოგის, აწ განსვენებული ბატონი გერმანე გობეჯიშვილის მიერ გურიის სოფლებში: ბაილეთში, ვაშნარსა და გურიანთაში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომლის შედეგად აღმოჩენილი იქნა გრანიტის ეს ფილა ამობურცული კოპითურთ, რომელზეც რელიეფურად გველია გამოსახული. ეს ფილა ამჟამად ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. 1987 წელს გამომცემლობა „ხელოვნება“ დასტამბა ჩემი ფუნდამენტური მონოგრაფია წამალთმცოდნეობის ისტორიის საკითხებზე, რომლის 43-ე გვერდზე გრანიტის ამ ფილაქნის შესახებ, გამოვთქვით მოსახრება, რომ ეს ორიგინალური ჩუქურთმა სამედიცინო განათლების მქონე სოციალურად პრივილეგირებული ფეოდალის საცხოვრებელ სახლს ამშვენებდა, ან კიდევ იმ შენობაში იყო ჩაშენებული, რომელიც საავადმყოფო, ანდა ავადმყოფთა მკურნალობისათვის გამოხნული სამედიცინო-პროფილაქტიკური დაწესებულება უნდა ყოფილიყო! ამ შენობა-ნაგებობაზე ეს დეტალი, ალბათ, ომულეტის ფუნქციას ასრულებდა. ამ დეტალის შესახებ მე საუბარი მაქვს ტელეფილმში „მითი და რეალობა“, რომელიც ძირითადად ჩემი მონოგრაფიიდან გაკეთებული სცენარია და ამ ფილმის ტექსტის წამყვანი მე გახლავართ. გარდა ამისა, № 1 აფთიაქ-მუზეუმში კედელზე დედის ძუძუს ანალოგიური სამი კოპიაა ირგვლივ ბორჯღაღის მსგავსი გამოსახულებით დამშვენებული. ასე, რომ ამ დეტალის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრის თაობაზე პრიორიტეტი ჩვენ გვეკუთვნის და ამ საკითხში მოხიარვე არავინ გვყავს. გენიალურმა მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ ამობურცული გრანიტის კოპი სტილიზებურად შეცვალა და მასზე შემოხვეული გველი ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემბლემად წარმოადგინა. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ჩემმა ნააზრევმა გაამართლა და ეროვნული წიაღიდან გამოსხმობილი გრანიტის ჩუქურთმა ემბლემად იქნა აღიარებული. ამ ღია წერილთან ერთად წარმოვადგენ სამ ფოტოპირს, რომელთა შორის მსგავსება აბსოლუტურად ეჭვმიუტანელია. ჩვენი იდეის ემბლემად ქცევის ისტორიას ვიხილავთ აკადემიკოს რამაზ ხეცურიანთან ღია წერილის მეთოდით. ვინაიდან სწორედ მისი რექტორად მუშაობის პერიოდში მოხდა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემბლემის დაარსება.



გველის რელიეფურ გამოსახულებიანი ქვის ეს ჩუქურთმა მოთავსებული მაქვს ჩემი მონოგრაფიის 43 გვერდზე და მას 20 წლის წინათ სამედიცინო ემბლემის ფუნქცია მივანიჭე. დააკვირდით ცენტრში ამობურცული ქვის კოპიას. ეს ნივთი ინახება ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ბატონი ემირ ბურჯანაძე ჩემი ფუნდამენტური მონოგრაფიის „წამალთ-მცოდნეობა“ მხატვარი გახლავთ, რის გამოც მისგან დაგალებული ვარ საშვილიშვილოდ.

გმადლობთ, ბატონო რამაზ!


მაგრამ იდეა ვისგან მოდის, ამის აღიარება აუცილებელია, სახელდობრ, საზოგადოებას მოვახსენებ, რომ გრანიტის ფილებზე ემბლემის დეტალები რომაა გამოსახული, ისინი ემბლემების დიდოსტატმა, მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ აითვისა, ორიგინალურად მოხატა და წარმოადგინა, როგორც ემბლემა. ამავე დროს, ეს ემბლემა „სამედიცინო გაზეთმა“ აიტაცა და არაფერია გასაკვირი, რომ ქ. თბ. სახ. სამედიცინო უნივერსიტეტს და შესაბამის გაზეთს ერთი და იგივე ემბლემა რომ ამშვენებდეს! როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კარგი იდეის მხატვრულად კარგი ემბლემური ესკიზის მომზადებისათვის მხატვარ ემირ ბურჯანაძეს და, ასევე, თქვენი თათსნობით სამეცნიერო საბჭოს წევრებს ამ ესკიზის ემბლემად გამოცხადებისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ, არ იფიქრეთ, რომ ჯილდოს ვთხოვლობდე ან ჰონორარს, მაგრამ ისტორიული სინამდვილის აღიარებისათვის, იდეა რომ სოკრატ სალუქვაძისაგან მოდის, ვაცნობთ საზოგადოებას. ამ განმარტებისთვის დავარდვიე თქვენი მყუდროება, თქვენთან და ყველასთან მაქვს სათქმელი დიდი მადლობა.



ქალაქ თბილისის №1 აფთიაქმუზეუმის ინტერიერში თაღოვანი დაბოლოების სვეტის თავები (3 ადგილას) დედის ძუძუს მსგავსი ამ დეტალითაა დამშვენებული. კავთურას ხეობაში დედადღოთისას ეკლესიაში ესვენა მარმარილოში გამოქანდაკებული დედის მკერდი, ანუ „ძუძუს ხატი“, რომელიც რქენაკლები დედების სალოცავი იყო, რძის მომატების მიზნით. ამ დეტალს სხვანაირი ახსნა ჩვენ ვერ მოფუნახეთ.



ეს ემბლემა მოხატა კლასიკოსმა მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატმა (რექტორი აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი), და სამეცნიერო საბჭომ იგი აღიარა უნივერსიტეტის ემბლემად და ამავე უნივერსიტეტის სამედიცინო გაზეთის ემბლემადაც. შედარეთ ამობურცული კოპი და №1 ავთიაქი-მუზეუმში დედის ძუძუს გამოსახულებას. აშკარაა, რომ ემბლემის იდეა სოკრატ საღუქვაპისაგან მოდის და ემბლემაზე ძუძუს გამოსახულება სათავეს იღებს №1 ავთიაქი-მუზეუმის შენობდან.



1981 წელს გამომცემლობა „ხელოვნებაში“ გამოსცა ჩემი მონოგრაფია „გარბია - წამლის სასახლე“, ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. აქაც ვაწარმოებ მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული მედიცინის ემბლემის „შიგია ოცა გველს ღამბაქიდან რქეს ასმევს“ შედარებას გრანიტის ფილაზე გამოსახულ გველის ემბლემასთან. ასე, რომ ამ საკითხში შედარებითი ანალიზი ჩემზე ადრე მედიცინის ისტორიის არც ერთ მკვლევარს არ უწარმოებია.

დიდად პატივცემულ ბატონო რამაზ!

2. თქვენ დააარსეთ სამედიცინო აკადემია, რისთვისაც ერი შარავანდელით შეგმოსავთ. გულწრფელად მინდა შემოგთავაზოთ წინადადება, რომ თქვენს მიერ დაარსებულ აკადემიას ამშვენებდეს ისეთი ემბლემა, რომლის ასაკი 3500 წლით განისაზღვრება. და ეს გახლავთ ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკული შედეგრი „მედეა“, რომელსაც ლათინურენოვანი წარწერა, ჩვენი თხოვნით, მხატვარმა ემირ ბურჯანაძემ გაუკეთა და რომლის ქართული შინაარსი ასეთია: „კოლხელი მედეას მკურნალობანი ანუ მედიცინა“. ამ საკითხზე გასაუბრებისას თქვენ მხარი დამიჭირეთ და შემპირდით, რომ სამეცნიერო საბჭოს წინაშე მოხსენებას გამაკეთებინებდით და საერთო აზრის გამომუშავების შემდეგ ეს წინადადება, ალბათ, მიღებული იქნებოდა. მოხდა გაუთვალისწინებელი. თქვენ წახვედით რექტორის თანამდებობიდან, მაგრამ ამ იდეის მხარდაჭერის უფლებას თქვენ კვლავ ინარჩუნებთ. მინდა გთხოვოთ, დღის წესრიგიდან არ მოხსნათ ეს საკითხი, რადგანაც წარმართული ხანის მედეას ფენომენის პროპაგანდის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი ჩვენამდე აღარაფერია მოღწეული; მით უმეტეს კ. შპრენგელთან მიმართებაში, რომელმაც მსოფლიო მედიცინის ისტორია „უძველესი კოლხური მედიცინის“ აღწერით დაიწყო.



მხატვარ ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკულ შედეგზე „მედეა“ ლათინურენოვანი წარწერა „კურა მედიანა“ არ შეესაბამება მედეას სამედიცინო მემკვიდრეობის შინაარსს.

სანამ შეცდომას გადაგამოწმებდით, გვჯეროდა, უცხო სიტყვა „მედიანას“, რაიმე კავშირი ჰქონდა მედეას სამედიცინო მემკვიდრეობასთან, ეს „განმარტება“ აბსურდი აღმოჩნდა. ლურჯ მონასტერში ანუ მედიცინის ისტორიის მუზეუმში ეს გრაფიკული შედეგრი შეუსაბამო წარწერით იყო გამოფენილი.

შეიძლება ეს თემატიკა თითბერზე მოიჭედოს, ან ორიგინალური ბარელიეფი გაკეთდეს, რითაც ახლებურად წარმოვაჩინოთ ჩვენს ისტორიულ წარსულს – სამედიცინო აკადემიის ემბლემას.

საქმე შემდეგში გახლავთ: პროფ. ლევან სანიკიძემ დაწერა დოკუმენტური პროზა

„ამბავი კოლხი ასულისა“, რომელიც 1964 წელს დასტამბვის მიზნით გამომცემლობა „ნაკადულს“ ჩააბარა. გამომცემლობის ადმინისტრაციამ დასურათებისათვის ეს ისტორიული პროზაული ნაწარმოები მხატვარ ელგუჯა ბერძენიშვილის გადასცა. ამ პროზის შთაგონებით ბატონმა ელგუჯა ბერძენიშვილმა მოხატა გრაფიკული შედეგრი „მედეა“. ამ შედეგრის უყურადღებოდ მიტოვება მედიცინის ისტორიკოსების მხრივ მართლაც რომ შეუწყნარებელი იყო. მონოგრაფიის „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა“ 49-ე გვერდზე გამოჩნდა კომენტარი „კურა მედიანას“ სახელწოდებით. „კურა“ ნიშნავს კურნებას, ხოლო „მედიანა“, უფრო სწორად, „მედიორ“ ნიშნავს საშუალოს და, თითქოს, მსოფლიო მედიცინის ისტორიაში ეს ორი სიტყვა მედეას მემკვიდრეობის ამსახველია, რასაც სამწუხაროდ, მედეასთან საერთო არაფერი აქვს და ამ ტერმინს, თითქოს, კურტ შპრენგელი ამტკიცებდეს. არც ამ მოსაზრებას საერთო არაფერი აქვს მედეას მემკვიდრეობის შეფასებასთან.



მხატვარ ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკულ შედეგრზე „მედეა“ სწორი ლათინურენოვანი წარწერა, ჩვენი თხოვნით, ემირ ბურჯანაძემ მოგვიხატა, რომლის ქართული შინაარსი ასეთია: „კოლხელი მედეას მკურნალობანი, ანუ მედიცინა“. ამ ემბლემას ვთავაზობ ჩვენს ეროვნულ სამედიცინო აკადემიას და ამავე დროს საკითხს ვაყენებთ იუნესკოსა და ჯანდაცვის საერთაშორის ორგანიზაციის წინაშე, მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ პარალელურ ემბლემად, რომ იქნეს აღიარებული, ვინაიდან ასკლეპიოსის ატრიბუტზე, ხმელ ჯოხზე დახვეული გველზე, მედეას ფენომენი ტრადიციულად 300 წლით უხუცესია. ეს ემბლემა ალტერნატიულ-ტრადიციული მედიცინის დარგს მიესადაგება

2002 წელს აკადემიკოს ალიკო ბაკურიძის თაოსნობით თბილისში ჩატარდა ფარმაცევტთა საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის ორგკომიტეტს, ოცივე წევრს და 170 მონაწილეს, თხოვნით მიმართა სოკრატ სალუქვაძემ მედიცინის საერთაშორისო ემბლემის დაარსების თაობაზე. რომლის სურათი ამავე გვერდზეა გამოქვეყნებული.

ემბლეების დაარსებისა და აღიარების თაობაზე 170-ივე წევრმა და ორგკომიტეტის ყველა მონაწილემ ხელის მოწერით დაადასტურა წარდგენილი ესკიზის ემბლეად აღიარება.

ფარმაცევტთა პირველი საერთაშორისო
კონგრესის ორგკომიტეტის თავმჯდომარეს,
პროფ. ალიოშა ბაკურიძეს

კონგრესის ორგკომიტეტს

მ. გომიზაძე

- | | |
|-----------------------------|--------------------------------|
| 1. პროფ. ეთერი ქემერტელიძეს | 12. პროფ. მიხეილ გედევანიშვილს |
| 2. პროფ. მერი ალანიას | 13. პროფ. ნ. გონგაძეს |
| 3. პროფ. ვალია ვაჩნაძეს | 14. პროფ. ნ. გორგასლიძეს |
| 4. პროფ. ლია აღვიშვილს | 15. პროფ. ლინა ერისთავს |
| 5. პროფ. ქეთევან ბარამიძეს | 16. პროფ. ჯუმბერ კუჭუხიძეს |
| 6. პროფ. ბიძინა ჭუმბურიძეს | 17. პროფ. ჯემალ მონიაევს |
| 7. პროფ. გურამ ცაგარეიშვილს | 18. პროფ. ვ. მშვილდაძეს |
| 8. პროფ. ალიოშა ბაკურიძეს | 19. დოქტორ ა. თომაძეს |
| 9. პროფ. რომან მახარაძეს | 20. პროფ. დ. ჯინჭარაძეს |
| 10. პროფ. პავლე იაფიჩს | |
| 11. პროფ. ვაჟა ერიამეილს | |

ვიზიარებთ მედიცინის უძველეს ემბლეაზე ახალ თვალსაზრისს
კონგრესის მონაწილეთა ხელმოწერა ემბლეების დაარსების თაობაზე

- | | | |
|---------------------|------------------|---------------|
| 1. ირიტ ზოცივაძე | 20 ვ. ვასილ | 39 ბ. შიშო |
| 2. დიმიტრი ლელუნიძე | 21 მ. კუჭუხიძე | 40 ი. ნიკო |
| 3. თამარ ცინცაძე | 22 წ. ქუთაძე | 41 ა. მ. შიშო |
| 4. ნ. ხოქჯა | 23 ხოქჯა | 42 ა. მ. შიშო |
| 5. ინვა დავითიძე | 24 დავით სვანიძე | 43 თ. შიშო |
| 6. თ. ხოქჯა | 25 შიშო ქუჭუხიძე | 44 ი. მ. შიშო |
| 7. ვ. იოსებაძე | 26 ნ. გომიზაძე | 45 ს. მ. შიშო |
| 8. ს. ცაიხაძე | 27 მ. შიშო | 46 მ. შიშო |
| 9. დ. იოსებაძე | 28 ს. ხოქჯა | 47 მ. შიშო |
| 10. დოდო ჭაჭელი | 29 მ. შიშო | 48 მ. შიშო |
| 11. იოსებ სელიძე | 30 მ. შიშო | 49 მ. შიშო |
| 12. იოსებ ცინცაძე | 31 ს. ხოქჯა | 50 მ. შიშო |
| 13. მ. შიშო | 32 თ. ვაჭარაძე | 51 მ. შიშო |
| 14. მ. შიშო | 33 ს. ხოქჯა | 52 მ. შიშო |
| 15. მ. შიშო | 34 მ. შიშო | 53 მ. შიშო |
| 16. მ. შიშო | 35 მ. შიშო | 54 მ. შიშო |
| 17. მ. შიშო | 36 მ. შიშო | 55 მ. შიშო |
| 18. მ. შიშო | 37 მ. შიშო | 56 მ. შიშო |
| 19. მ. შიშო | 38 მ. შიშო | |

ლევან სანიკიძე

გ. ზამბონგო, ჯემოლაჯიხე

"მედეა - მედიცინის" საერთაშორისო სინბოლიკისათვის

გულდასმითა და დიდი ინტერესით გავეცანი ცნობილი მეცნიერისა და წამალმცოდნის, ბ-ნ სოკრატე საღუქვაძის ნაშრომს - "მედიცინა - ეფიმოლო-გიურად მედეას სახელს ხომ არ უკავშირდება?"

ამ კითხვაზე, უმადვე, შეიძლება დადებითი პასუხი გავცეს, რადგან უმდიდრესი და უმრავალფეროვანესი ანტიკური /ბერძნულ-რომაული/ მითოლოგია საკმაო სიუხვით წარმოგვიდგენს კოლხი მ ე დ ე ა ს, "მზის ძე აიეფის" ასურის, ღვთაებრივი გრძნეულებით აღსავსე სამკურნალო ხელოვნებას.

ამიგომ სოკრატე საღუქვაძისგან აღძრული წინადადებანი - ნიღბული იქნას ს ა ე რ თ ა შ რ ი ს რ მ ა ს მ ტ ა ბ ი თ სინბოლიკა მედიცინისა, სწორედ მედეას სახელიდან გამომდინარე - სავსებით იმსახურებს მოწონებას და მხარდაჭერას.



ლეონ სანიკიძე

22.04.2001

ბგელი მსოფლიოს ისტორიის სპეციალისტი, პროფესორი ლევან სანიკიძე, სავსებით იზიარებს მედიცინის ისტორიის ემბლემის ვარიანტს, კოლხელი მედეას მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

28. ი. ი. ი. (გ. მ.)
 29. ბ. ბ. ბ.
 30. ბ. ბ. ბ.
 31. ბ. ბ. ბ.
 32. ბ. ბ. ბ.
 33. ბ. ბ. ბ.
 34. ბ. ბ. ბ.
 35. ბ. ბ. ბ.
 36. ბ. ბ. ბ.
 37. ბ. ბ. ბ.
 38. ბ. ბ. ბ.
 39. ბ. ბ. ბ.
 40. ბ. ბ. ბ.
 41. ბ. ბ. ბ.
 42. ბ. ბ. ბ.
 43. ბ. ბ. ბ.
 44. ბ. ბ. ბ.
 45. ბ. ბ. ბ.
 46. ბ. ბ. ბ.
 47. ბ. ბ. ბ.
 48. ბ. ბ. ბ.
 49. ბ. ბ. ბ.
 50. ბ. ბ. ბ.
 51. ბ. ბ. ბ.
 52. ბ. ბ. ბ.
 53. ბ. ბ. ბ.
 54. ბ. ბ. ბ.
 55. ბ. ბ. ბ.
 56. ბ. ბ. ბ.
 57. ბ. ბ. ბ.
 58. ბ. ბ. ბ.
 59. ბ. ბ. ბ.
 60. ბ. ბ. ბ.
 61. ბ. ბ. ბ.
 62. ბ. ბ. ბ.
 63. ბ. ბ. ბ.
 64. ბ. ბ. ბ.
 65. ბ. ბ. ბ.
 66. ბ. ბ. ბ.
 67. ბ. ბ. ბ.
 68. ბ. ბ. ბ.
 69. ბ. ბ. ბ.
 70. ბ. ბ. ბ.
 71. ბ. ბ. ბ.
 72. ბ. ბ. ბ.
 73. ბ. ბ. ბ.
 74. ბ. ბ. ბ.
 75. ბ. ბ. ბ.
 76. ბ. ბ. ბ.
 77. ბ. ბ. ბ.
 78. ბ. ბ. ბ.
 79. ბ. ბ. ბ.
 80. ბ. ბ. ბ.


81. ბ. ბ. ბ.
 82. ბ. ბ. ბ.
 83. ბ. ბ. ბ.
 84. ბ. ბ. ბ.
 85. ბ. ბ. ბ.
 86. ბ. ბ. ბ.
 87. ბ. ბ. ბ.
 88. ბ. ბ. ბ.
 89. ბ. ბ. ბ.
 90. ბ. ბ. ბ.
 91. ბ. ბ. ბ.
 92. ბ. ბ. ბ.
 93. ბ. ბ. ბ.
 94. ბ. ბ. ბ.
 95. ბ. ბ. ბ.
 96. ბ. ბ. ბ.
 97. ბ. ბ. ბ.
 98. ბ. ბ. ბ.
 99. ბ. ბ. ბ.
 100. ბ. ბ. ბ.
 101. ბ. ბ. ბ.
 102. ბ. ბ. ბ.
 103. ბ. ბ. ბ.
 104. ბ. ბ. ბ. (ANGENOT)
 105. ბ. ბ. ბ.
 106. ბ. ბ. ბ.
 107. ბ. ბ. ბ.
 108. ბ. ბ. ბ.
 109. ბ. ბ. ბ.
 110. ბ. ბ. ბ.
 111. ბ. ბ. ბ.
 112. ბ. ბ. ბ.
 113. ბ. ბ. ბ.

ემბლემად აღიარების თაობაზე, რომელიც ჩვენს მიერ არის დასმული იუნესკოსა და ჯანდაცვის სერთა-
 შორისო ორგანიზაციაში დადებითი რეცენზიები დაგვიწერეს აკადემიკოსებმა: აწ განსვენებულმა ზაზა
 კახიანმა, მსცლოვანმა მეცნიერმა, როგორც გახლავთ ბაადურ რაჭველიშვილი და აკადემიკოსი ჯანგი
 მამალაძე. რაც მთავარია, საერთაშორისო ფარმაცევტული კონგრესის მონაწილეებმა ემბლემის დანერ-
 გვა და აღიარება პირადი ხელმოწერით დაგვიდასტურეს, მადლობა ყველას.

- | | |
|-----------------------------|----------------------------|
| 114 Handwritten | 135 Handwritten |
| 115 Handwritten | 136 Handwritten |
| 1163 Handwritten | 137 Handwritten |
| 117 Handwritten | 138 Handwritten |
| 118 Handwritten | 139 Handwritten |
| 119 Handwritten | 140 Handwritten |
| 120 Handwritten | 141 Handwritten |
| 121 Handwritten | 142 Handwritten |
| 122 Handwritten | 143 Handwritten |
| 123 Handwritten | 144 Handwritten |
| 124 Handwritten | 145 Handwritten |
| 125 Handwritten | 146 Handwritten |
| 126 Handwritten | 147 Handwritten |
| 127 Handwritten | 148 Handwritten |
| 128 Handwritten | 149 Handwritten |
| 129 Handwritten | 150 Handwritten |
| 130 Handwritten | 151 Handwritten |
| 131 Handwritten | 152 Handwritten |
| 132 Handwritten | 153 Handwritten |
| 133 Handwritten | 154 Handwritten |
| 134 Handwritten | 155 Handwritten |
| | 156 Handwritten |

პროფ. კურტ შპრენგელმა ჩვენ ისედაც დიდი პატივი მოგვადგო მედეას მემკვიდრეობის შეფასების თვალსაზრისით, როცა მსოფლიო მედიცინის ისტორიის I ტომის I ქვესათაური „უძველესი კოლხური მედიცინის“ შესწავლით დაიწყო. თავიდან მეც ასე მჯეროდა, რომ „კურა მედიანა“ მედეას მემკვიდრეობის ამსახველი ტერმინები იყო. მედიცინის ისტორიის მუზეუმში „ლურჯ მონასტერში“ მედეას გრაფიკული შედეგები ამ ლათინურენოვანი წარწერით იყო გამოფენილი. 1977 წელს რუსულ-გერმანული და გერმანულ-რუსული საერთაშორისო სიმპოზიუმში ამ ემბლემის ეგიდით ჩატარდა, რასაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „საშუალო მკურნალობას“ და მედეას სამედიცინო მემკვიდრეობას ურთიერთთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამ ღია წერილთან

ერთად თქვენს წინაშე ვადგენ ორ ქსეროასლს, რაზედაც, ალბათ, ჯერ კიდევ ექიმის დიპლომის არმქონე სტუდენტიც და, მითუმეტეს, აკადემიკოსი დამეთანხმება, რომ ამ საკითხის დაზუსტებაში სიმართლე მიგნებულია ჩემს მიერ.



პროფესორ კურტ შპრენგელის გამოსახულება ლითოგრაფიურაზე გერმანიიდან გამოვიწერეთ. დაგვეხმარა მწერალი აკაკი გელოვანი, ნიკოლოზ ჯანელიძე და პროფესორი დიცი. ამ სურათიდან უნდა გაკეთდეს ბრინჯაოს ბიუსტები, რომელიც დაიდგმება თბილისში, ჰალესა და ლონდონში, მსოფლიო მედიცინის ისტორიის მუზეუმში, რაზედაც მიმდინარეობს მოლაპარაკება ისეთ ცნობილ მოქანდაკესთან, როგორც არის ბატონი მერაბ ბერძენიშვილი და მისი ნიჭიერი შეგირდი ლევან ანზორის ძე სალუქვაძე.



უძველესი კოლხური მედიცინის ტექსტის ფოტობირი, პროფ. კ. შპრენგელის პირველი ტომიდან.

ბატონო რამაზ! (აღრესატი გახლავთ თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი რ.ხეცურიანი).

ძალიან გთხოვთ ასეთი მკვეთრი განცხადება ვინმეს დამცირებად არ ჩამითვალოთ.

წინამდებარე ღია წერილს ჩემის მხრივ კონფიდენციალური ხასიათი არა აქვს და თქვენი ინტელექტის შესაბამისად, გთხოვთ, თქვენს პირად არქივში ეს იდეა არ დააკონსერვოთ. ამ საკითხს მწვანე შუქი უნდა მიეცეს. ამჯერად მე ვერიდები რაიმე დაპირისპირებას, თუმცა უკან დამხვევი არა ვარ, ვინაიდან, 100%-იანი მართალი მკვლევარი გახლავართ. ჩემი საბოლოო თხოვნაა, ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკული შედეგრი არ გაეწიროთ. თუ თქვენი მხარდაჭერა იქნება, სამედიცინო აკადემიის ემბლემად ამაზე უკეთესსა და ამაზე უძველესს ვერაფერს მოვიფიქრებთ. ეს ჩემი სადოქტორო დისერტაციის დანერგვაც იქნება, რაც ქართული კულტურის ფართო მასშტაბით პროპაგანდას მოემსახურება და არა რაიმე თვითმიზანს, თუმცა ჩემს ასაკში ძალიან გვიანია დოქტორობაზე ფიქრი. ბოლონიის დეკლარაციამ ამაზე ფიქრი მეცნიერების ყველა კანდიდატს მოუხსნა და მათ შორის მეც.

3. ჩემთვის ცნობილია, რომ ამჟამად მზადდება „წიგნი სააქიმოს“ ახალი რედაქციით გამოცემა, რაც საშური საერო საქმეა და ეს პუბლიკაცია შეამცირებს ამ წიგნის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას. მრავალ ახალგაზრდა ექიმს საშუალება მიეცემა, გაეცნოს ჩვენს სამედიცინო კულტურას შუა საუკუნეებში. ამიტომ თქვენი და მედიცინოს ისტორიის კათედრის თაოსნობა მისასალმებელი, მამულიშვილურია და სარგებლობს საყოველთაო მხარდაჭერით. აქვე მინდა შევეხოს თქვენი თავმჯდომარეობით „უსწორო კარაბადინის“ გამოცემას. ეს პუბლიკაცია ისევ ბიბლიოგრაფიული იშვიათობის შემცირების მაცნეა.

ამ პუბლიკაციის მთავარ ნაკლად ის მიმაჩნია, რომ „უსწორო კარაბადინის“ ავტორი აღარ ჰყავს, ქანანელის ავტორად გამოცხადება იმთავითვე არასწორი იყო, ვინაიდან ამ საკითხზე მტკიცებულებებს ბატონ ლალო კოტეტიშვილის დამაჯერებლობა ნამდვილად აკლდა. თქვენი თაოსნობით ახალ გამოცემაში ეს ნაკლი გამოსწორებულია (ნაწილობრივ), მაგრამ ბოლომდე არა! რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ

ბატონო რამაზ!

რა ვუყოთ იმ ნაკლს, რომ მსოფლიოში ჯერ არ გამოცემულა წიგნი, ან არ დაწერილა ხელნაწერი, რომელსაც ავტორი ან გადამწერი არ ჰყავდეს. თქვენ რომ სარედაქციო კოლეგიაში შეგეყვანეთ, ამ ნაკლზე, საერთოდ, ლაპარაკი არ იქნებოდა, ვინაიდან, ნომინალური ავტორი „უსწორო კარაბადინისა“ სამცხელი აქიმი გრიგოლ ვაჩე უნდა იყოს, რომლის დამტკიცების საშუალება პალეოგრაფიული ექსპერტიზით შეუძლებელია, მაგრამ XV საუკუნის II ნახევარში ამ ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის სომხურ თარგმანში გრიგორ ვაჩეს “ძუძუმძედ” იხსენიებს ბერი მარქარი და სომხური მედიცინის ისტორიის მკვლევარი ოგანეზოვი (ოგანესიანი). იშველიებს ამ ისტორიულ წყაროს.

ბატონო რამაზ!

ჩვენ ისლა დაგვრჩენია, დავიხმართ არმენოლოგები და ვთარგმნოთ სომხური ტექსტი ქართულად. ტექსტები შევადართო ბერი მარქარის მიერ ქართულიდან სომხურად ნათარგმნ კარაბადინს. ქართულ სამედიცინო ისტორიულ წერილობით წყაროებში გრიგორ ვაჩე „სამცხელი აქიმის“ ეპითეტით და პროფესიონალი ექიმის სახელით და კარაბადინის თითქოს შემდგენელად მოიხსენიება სიმართლესთან უფრო ახლოს უნდა იყოს. ქართული ტექსტი—დედანი დაკარგულია — შინაარსი

სომხურმა თარგმანმა შემოგვინახა. „უსწორო კარაბადინი“ ამჟამად სრულებითაც არ არის სწორუპოვარი ანუ უსწორო ხელნაწერი Q ფონდის № 877-ის ვერიკის შემდეგ, რომელიც ყველაზე სრულყოფილია ძველქართულ ხელნაწერ კარაბადინებს შორის და ამჯერად ამ ხელნაწერის კომენტარებზე მრავალწერტილს დავსვამ, მხოლოდ ერთს კი პირუთვნელად მოგახსენებთ: ამ ხელნაწერის სახით ჩვენამდე დედანია მოღწეული და მაშასადამე, რომელ გადამწერზე შეიძლება იყოს ლაპარაკი. პალეოგრაფიული ექსპერტიზით მე დავამტკიცე, ხელნაწერი კარაბადინის 1368 გვერდიდან 1008 გვერდი მახარებელ ოქროპირის-ძე მაღალაძეს ეკუთვნის(!). ამ წინადადებით მე სრულებითაც არ მოვითხოვ საზღაურს, უბრალოდ თვითკმაყოფილებას მანიჭებს ჭეშმარიტების მიგნება.

ეს ცალკე საკითხია და ამაზე საუბრის გაგრძელება სხვა დროისათვის გადავდლოთ. ეს ასე იმიტომ მოხდა, რომ 30-იან წლებში ზაზას და მახარებლის კარაბადინის არსებობის შესახებ ინფორმაციას ბატონი ლადო კოტეტიშვილი ვერ ფლობდა. მაგრამ სომხური ტექსტის ქართული თარგმანის გაცნობა აუცილებელია მედიცინის ისტორიის ქართველი მკვლევარების მიერ, ვინაიდან სამცხელი აქიმი გრიგორ ვაჩე თარილობრივად ზაზა ფანასკერტელზე აღრე იხსენიება მკურნალის არაბულ-სპარსული „აქიმის“ ეპითეტით. და რატომ უნდა დაეკარგოს ჩვენს ერს სამცხელი „აქიმის“ ნააზრევი? ამიტომაც აუცილებელი სომხური ტექსტის ქართული თარგმანი.

და კიდევ ერთი შენიშვნა ამ ხელნაწერის განმეორებით პუბლიკაციასთან დაკავშირებით. თანდართულ ლექსიკონში არ არის გათვალისწინებული თვით ამ ხელნაწერის სათაურის განმარტება. ჩვენდა საბედნიეროდ, 1950 წელს ხელნაწერი Q ფონდის № 877 II ნაწილის გამოცემისას თანდართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით 478-ე გვერდზე პროფ. ილია აბულაძე მოგვახსენებდა, რომ **“კარაბადინი (11,37) სამკურნალო წიგნია სულხან-საბას განმარტებით და კარაბადინი-ფარმაკოპეა გახლავთ ფარმაცევტიკისთვის წამლის ფორმების მომზადებისთვის ცნობარი.”** მედიცინის ისტორიკოსებს, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შევასმინე, „სამკურნალო წიგნი“ (ქართულად), „კარაბადინი“ (არაბულად და სპარსულად) და „ფარმაკოპეა“ (ბერძნულად და ლათინურად) იდენტური ცნებები რომაა. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სიტყვა „ფარმაკონის“ ფუძე ეგვიპტურიდან მოდის, ხოლო პროფ. ილია აბულაძის განმარტება ემყარება აღმოსავლეთმცოდნეთა (იაგელოს, რუბინჩიკის, ბარანოვის) და სხვათა განმარტებებს და ეს იმდენად არაგუმენტირებული, რომ 1800 წლიდან პროფ. კურტ შპრენგელის მიერ კარაბადინისა და ფარმაკოპეის იდენტურობის საკითხი ევროპელი მკვლევარებისათვის ეჭვმიუტანლად არის დასაბუთებული, ჩვენთან კი, 2008 წლის შემდეგ ეს აქსიომა მავანისა და მავანის მიერ კვლავ პოლემიკის საგნადაა ქცეული და ამ აქსიომების გათვალისწინების გარეშე თქვენი თავმჯდომარეობით გამოცემული პუბლიკაციები უნაკლო ვერ იქნება. ამით მე ის მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი სამედიცინო მემკვიდრეობის შესწავლა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. აღმოსავლეთმცოდნეთა და წამალთმცოდნეთა მონაწილეობის გარეშე ეს პრობლემატური საკითხები ობიექტურად ვერ გაშუქდება.

ბატონო რამაზ!

თქვენი მისამართით ღია წერილის მოწერისას, მე მინდა ვიყო უაღრესად გულწრფელი და ობიექტური, თუნდაც იმიტომ, რომ აღარ დამჭირდეს უკან დახევა, აღიბის მოშველიება და ა.შ.

პროფ. ი. აბულაძის IV ტომში და ჟურნალ “საბჭოთა მედიცინაში” (1959 წელი №4) გარკვეულია, რომ “უსწორო კარაბადინის” ტექსტი ქართულიდან სომხურად თარგმნილია XVII საუკუნეში და ამის დასამტკიცებლად არმენოლოგ ი. აბულაძეს დახმარება არავისგან ესაჭიროებოდა. მას, სომხური ენის კარგად მცოდნეს მოაქვს ციტატები “უსწორო კარაბადინიდან” და უდარებს სომხურიდან ქართულად ნათარგმნ ტექსტს. დადგენილი აქვს, რომ “უსწორო კარაბადინი” XVII საუკუნეში ითარგმნა სომხურად უცნობი სომეხი მთარგმნელის მიერ, რომელმაც ეს ორი ენა ზედმიწევნით კარგად იცოდა.

სადაო არ არის, რომ “უსწორო კარაბადინი” სომხურად არის ნათარგმნი. ეს დოკუმენტი სახეზეა, მაგრამ პროფ. ილია აბულაძის მიერ ხელნაწერთა ინსტიტუტში ჩამოტანილია მიკროფილმი ბერი მარქარის მიერ ქართულიდან სომხურად ნათარგმნი 1462–66 წლებში სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს 215 გვერდიანი სამედიცინო ხელნაწერი თხზულებაა. “უსწორო კარაბადინი” 600 გვერდიანი ხელნაწერია. სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს ხელნაწერი 215 გვერდიანია. ბავშვიც მიხვდება, რომ გრიგორ ვაჩეს სამედიცინო ხელნაწერი თითქმის 3–ჯერ ნაკლებია “უსწორო კარაბადინის” ხელნაწერზე. მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ საქართველოს მედიცინის ისტორიის მკვლევარების მიერ ერთი ფრაზის გარდა, რომ სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს თხზულება ითარგმნა ბერი მარქარის მიერ სომხურ ენაზე XV საუკუნის II ნახევარში 1462–66 წლებში და... სხვა არაფერია ცნობილი სამცხელი აქიმის ვინაობის თაობაზე. არც ის არის დადგენილი, რომელი საუკუნის მოღვაწეა სამცხელი ქართველი აქიმი გრიგორ ვაჩე (ფაქტია, რომ 1662-66 წლებში არის ეს ხელნაწერი გადათარგმნილი). და სხვა თარიღების დადგენას ჩვენ ვერ შევძლებთ, სანამ ხელთ არ გვექნება ქართულიდან სომხურად ნათარგმნი გრიგორ ვაჩეს სამედიცინო ხელნაწერი თხზულების ქართულად გადმოთარგმნილი ტექსტი.. ამ ხელნაწერზე მედიცინის ისტორიკოსთა კომენტარები აუცილებლად მიმაჩნია, ვინაიდან ზაზა ფანასკერტელს, მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძეს უნიკალური კარაბადინის შედგენისას “მკურნალისა” და “ბრძენთმთავრის” ეპითეტებით ამკობს. ამით ჩვენ იმას ვვარაუდობთ, რომ სომეხი მთარგმნელის, ბერი მარქარის მიერ გრიგორ ვაჩე სამცხელი აქიმის ზედწოდებით მოიხსენიებს. გრიგორ ვაჩე უდაოდ ქართველი მკურნალია – ექიმი, რომლის თხზულების ქართული ხელნაწერი ტექსტის სომხურად თარგმნა აუცილებლად ჩათვალია ბერმა მარქარმა. ჩვენ განსაზღვრული გვაქვს, პირველ რიგში, არმენოლოგების დახმარებით კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ამ სომხური ტექსტის ქვესათაურების ქართული თარგმანები მოვიპოვოთ და იგი გამოვიყენოთ არა მარტო იმისათვის, რომ “უსწორო კარაბადინის” ტექსტის სომხური თარგმანის არსებობა დაცამტკიცოთ, არამედ იმისათვისაც, რომ შევამოწმოთ, თვით “უსწორო კარაბადინის” გაფართოებული რედაქციით მომდევნო საუკუნეში 600 გვერდიან ტექსტში ხომ არ არის სათაო წყაროდ, ყუად, ფესვად, დედნად გამონაყენები სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს თხზულება? როცა ამას დავადგენთ, შემდეგ გვეცოდინება მიახლოებით, მაინც ვინ იყო სამცხელი აქიმი გრიგორ ვაჩე და რა სამედიცინო შინაარსისაა სომხურ თარგმანში შემორჩენილი 215 გვერდიანი ხელნაწერი, რომლის დედანი დაკარგულად ითვლება, მაგრამ სომხურად ნათარგმნი ხელნაწერში სომხურიდან ქართულად თარგმნის შემთხვევაში საქართველოს დავუბრუნოთ სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს ხელნაწერი და მისი შინაარსი, ცნობილი გავხადოთ თანამედროვეთათვის! ამოცანის გადაჭრა მთლად უბრალო არ არის! და ვარაუდით მსჯელობა სახიფათოა, მხოლოდ ფაქტებია საჭირო.

ჩემი ღრმა რწმენით, საკითხის ასეთ ასპექტში დაყენება სწორია და ამ პრობლემის მოგვარება საწყენი არავისთვის არ უნდა იყოს.

აქვე მინდა მოგახსენოთ ურთიერთ გამომრიცხავი ფაქტები, ხელნაწერ “უსწორო კარაბადინის” დათარიღების თაობაზე. ასე მაგალითად: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დღემდეა შემონახული ნუსხახუცური ვარიანტით დაწერილი “უსწორო კარაბადინი”, რომელსაც თავი და ბოლო არ გააჩნია. არც ზუსტი პაგინაციის თანმიმდევრობაა დაცული, ფურცლების ძლიერ დაზიანების მიუხედავად კარგადაა ეს ხელნაწერი რესტავრირებული და კომპიუტერული სპეციალისტების მიერ შედგენილ ცნობარში იგი XIII საუკუნის ძეგლადაა მიჩნეული.

ექიმ ლალო კოტეტიშვილის მიერ დადგენილია, რომ მეფე ვახტანგ VI-ის კარზე მოქმედ სწავლულ “შეცნიერ კაცთა კომისიის” რომელიღაც წევრის მიერ აღდგენილ იქნა ამ ნუსხახუცური ხელნაწერის ვარიანტიდან მხდრულად დაწერილი იდენტური ტექსტი, რომელიც ამჟამად სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეთა ინსტიტუტში ინახება. რა თქმა უნდა, ეს ხელნაწერი მხედრული ვარიანტით, უკიდურეს შემთხვევაში XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე უნდა იყოს შესრულებული. მე ამ ტექსტის ფოტოპირების ჩამოტანა ვთხოვე ჯერ კიდევ 20 წლის წინათ, ქ. ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებაში მყოფ ახალგაზრდა მკვლევარს ნინო ბეზარაშვილს. რაც თანამემამულემ უზადოდ შემისრულა. ბევრი დრო დაგხარჯე იმის დადგენაზე, ვახტანგ VI-ის სამეფო კართან მოქმედ “შეცნიერ კაცთა კომისიის” რომელი ისტორიული პიროვნება იყო ნუსხახუცურიდან მხედრული ვარიანტით “უსწორო კარაბადინის” გადამწერი თუ შემდგენელი? შევუდარე სოლომონ მაღალაძის ავტოგრაფს, მაგრამ იდენტურობის თვალსაზრისით აბსოლუტური მზგავსების დადგენა ვერ მოხერხდა. ამიტომ ჩემი თავისთვის უფლება არ მიმიცია ეს პრობლემა გადაჭრილად ჩამეთვალა, მაგრამ ერთ რამეში ვარ უაღრესად განცვიფრებული, რომ “უსწორო კარაბადინის” ძირითადი ტექსტის ნუსხახუცური ვარიანტი თუ XIII საუკუნით არის დათარიღებული (ასეა აღნიშნული ხელნაწერთა ცნობარში) იდენტური მხედრული ტექსტის შედგენისას, ბატონმა ლალო კოტეტიშვილმა ეს ხელნაწერი როგორ გამოაცხადა XI საუკუნის ძეგლად, ხოლო თქვენი თავმჯდომარეობით ბატონმა რამაზ შენგელიამ როგორღა დაათარიღა იგი X საუკუნის ძეგლად? ამ ხელნაწერის დათარიღებაში ვხედავ აშკარა შეუთავსებლობას.

ბატონებო, მიკვირს XIII საუკუნით დათარიღებული ნუსხახუცური ხელნაწერი ძეგლის მხედრული ვარიანტის იდენტური ტექსტის შედგენის შემთხვევაში 200 და 300 წლით, მითუმეტეს, უფრო ძველი როგორღა გახდა? თუ იმას მეტყვით, რომ კომისიამ ასე დაადგინა... კი ბატონო “დაადგინა”, მაგრამ ისტორიული ფაქტები ასეთ დათარიღებას არ ადასტურებს! რა ვქნათ? თვალი მოვხუჭოთ? ჰოდა, მსგავსი შეცდომები რომ არ განმეორდეს კომისია შევქმნათ და საერთო მსჯელობით უფრო დამაჯერებელი, მართებული დასკვნები გამოვიტანოთ! წიგნი “სააქიმოსის” ახალი რედაქციით გამოცემისას კვლავ არ განმეორდეს მიუტევებელი შეცდომები.

ასეთ მოსაზრებას იმიტომაც მოგახსენებთ, რომ ზაზას და მახარებლის მიერ XV საუკუნის II ნახევარში შედგენილ კარაბადინში ქვეთავების მიხედვით უამრავი განმეორებებია “უსწორო კარაბადინიდან”, “წიგნი სააქიმოიდან” და “ცხენის კარაბადინიდან”. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს სამედიცინო ხელნაწერის 215 გვერდიანი ნაშრომიდან, ტექსტიდან გამორიცხული არ არის მზგავსება “უსწორო კარაბადინის” ტექსტებთან, ამის გარკვევას კი ვერ შეძლებთ სანამ

სომხური ტექსტის ქართულად ნათარგმნი ტექსტის მოპოვება არ მოხდება და როცა ასეთი ტექსტი გვექნება ხელთ, შემდეგ ტექსტუალური შედარებითი ანალიზით, ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ სამცხელი აქიმის გრიგორ ვაჩეს თხზულებას გვერდს რომ ვერ აუვლიდნენ მომდევნო ეპოქის სპეციალისტები სამედიცინო წერილობითი წყაროების შედგენისას, ეს ცხადზე უცხადესია.

ვიმეორებ! ჩემთვის ცნობილია, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატი და მედიცინის ისტორიის კათედრა ემზადება „წიგნი სააქიმოდს“ განმეორებითი გამოცემისათვის, რაც მისასაღმებელია და შთამომავლობის წინაშე საშური საქმეა.

მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, როგორც წამალთმცოდნე და წამალთმცოდნეობის ისტორიის მკვლევარი, შემიყვანოთ ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში პროფესიონალი წამალთმცოდნის პოზიციების გათვალისწინების მიზნით. ოთხივე ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერის ტექსტის 60%-ზე მეტი ფარმაკოლოგიურ საშუალებათა ფარმაკოპეულ დეტალურ აღწერას გვაუწყებს და როგორც ირკვევა, ასეთი ყოფილა შუა საუკუნეებში კარაბადინების არქიტექტონიკა და შინაარსი, მათი რედაქციული სრულყოფა საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა და იცვლებოდა, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის გამო ასეთი ცოდნის ხიდი ძველსა და ახალ თაობას შორის ჩატყდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აღმოსავლეთმცოდნეთა ლექსიკონური განმარტებით და პროფ. ილია აბულაძის დასტურითაც სამკურნალო წიგნი, კარაბადინი და ფარმაკოპეა იდენტური ცნებებია. კატეგორიულად მოგახსენებთ, ამ განმარტებათა გაუთვალისწინებლად ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების ახალი რედაქციით გამოცემა აბსურდია და უმორჩილესად გთხოვთ, ეს ნაკლი გამოვასწოროთ. მზად მაქვს ამ საკითხზე არგუმენტირებული მოსახრება, რომლის დართვა „წიგნი სააქიმოდს“ ახალი რედაქციით გამოცემისას მიზანშეწონილად მიმაჩნია. გთხოვთ, გადაფურცლოთ ლაღო კოტეტიშვილის რედაქციით გამოცემული „წიგნი სააქიმოდს“ 31-ე, 32-ე, 33-ე გვერდები და ადვილად დარწმუნდებით იმაში, რომ ლაღო კოტეტიშვილი მიაღვა ზღვარს, სადაც თითქმის აღიარებულია კარაბადინისა და ფარმაკოპეის იგივეობა და ამისათვის კურტ შპრენგელის ციტატები მოიშველია.

მოკრძალებით უნდა მოგახსენოთ: ბატონ ლაღოს ფარმაცევტული საფაკულტეტო განათლებაც რომ ჰქონოდა, ამ საკითხის ბოლომდე გადაჭრა აღარ გაუჭირდებოდა. არგუმენტისათვის აქვე მოვიყვან ერთ მაგალითს: დიდი ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორიის სჯულმდებელია, მაგრამ ჩვენი ერის ისტორიის შესწავლა დღემდე გრძელდება და ეს პროცესი განუწყვეტელი, პერმანენტული გახლავთ. იგივე უნდა ითქვას ლაღო კოტეტიშვილისა და ქართული მედიცინის ისტორიის დამოკიდებულების შესახებ, ვინაიდან, ლაღო კოტეტიშვილი ქართული მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელია, მაგრამ ქართული მედიცინის ისტორიის კვლევა დღემდე გრძელდება. ამიტომ ახალი რედაქციით ძველი ხელნაწერების გამოცემისას სიახლეების თანდართვას არ უნდა მოვერიდოთ. საკითხის კომპლექსური შესწავლით კიდევ უფრო ნათელი უნდა გახდეს საქართველოს მედიცინის ისტორიის საკითხები შთამომავლობის წინაშე.

ჩემი პროფესიული პოზიციებიდან ასეთი პრეტენზიები ობიექტურად მიმაჩნია თუნდაც იმიტომ, რომ ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების 60%-ზე მეტი წამალთმცოდნეობის და წამლის ფორმის მომზადების (რეკომენდაციებს) საკითხებს ეხება.

დიდად პატივცემულო ბატონო რამაზ!

„წიგნი სააკიმოდს“ მომავალ პუბლიკაციასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ნუსხა-ხუცური ხელნაწერის მე-9 გვერდზე მოცემული ფაქსიმილური წარწერის „არქიმანდრიტი გერმანე“-ს ვინაობის ამოცნობის მცდელობის თაობაზე თან დავურთოთ ჩემი სტატია დედნის ფოტოსურათითურთ „ვინ იყო არქიმანდრიტი გერმანე?“, ვინაიდან ამ ხელნაწერის ერთადერთი ვარიანტია ჩვენამდე მოღწეული, რომელიც XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს შესრულებული მაღალაძეთა საგვარეულოს კალიგრაფის, სასულიერო პირის, არქიმანდრიტ გერმანეს მიერ, რომელიც მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძის უფროსი ვაჟიშვილი უნდა იყოს.

ბოდიშს გიხდით მყუდროების დარღვევისათვის და იმედი მაქვს, აღმომიჩნეთ ობიექტურ მხარდაჭერას. უარის შემთხვევაში ისლა დამრჩენია, რომ ჩემი ნააზრვეი ცალკე წიგნად გამოვცე, თუმცა თქვენებრ ერუდირებულ აკადემიკოსთან კონფრონტაცია არ მსურს. სამწუხაროდ, ასეთ მეცნიერულ აქსიომებზე ჩემი პრეტენზიების საზღაურად „მაბეზღარას“ ეპითეტით მამკობენ. ეჭვიც არ მეპარება, მეცნიერული ჭეშმარიტების ძიებისა და მიგნების პრინციპულად მიდგომას „მაბეზღარას“ ეპითეტი ვერ მიესადაგება.

ჩვენი კომენტარი ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო

დედაუნივერსიტეტის ემბლემებზე

დიდად პატივცემულო ბატონო რამაზ!

მეცნიერული პრინციპის საფუძველზე მინდა საკითხი ასეთ ასპექტში დავაყენო: რა ფასი აქვს ნახევარი საუკუნის მანძილზე სტუდენტებთან მედიცინის ისტორიაში ისეთი ლექციის წაკითხვას, როცა კარაბადინის რაობის შინაარსს ზუსტად ვერ ვშიფრავთ და შუა საუკუნეების ხელნაწერი კარაბადინები რომ ავტომატურად ფარმაკოპეა გახლავთ, ეს ლექციის წამკითხველმაც არ იცის! ყოველივე ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ, შეიქმნას კომისია და ჩემს არგუმენტებს მოვახსენებ კომისიას

წინამდებარე განცხადებას ვურთავ აღმოსავლეთმცოდნეთა ლექსიკონების სატირულ გვერდების და კარაბადინების განმარტების შესახებ ქსეროქსზე გადაღებულ ასლებს, მხოლოდ იმისათვის, რომ სადაო აღარაფერი იყოს. ტექნიკური მიზეზების სირთულის მიუხედავად, ის აქ მაინც მომაქვს და იხილეთ ამ საკითხზე ჩემი მონოგრაფია „**თბილისის №1 აფთიაქი – მუზეუმის ისტორია**“. თბ. 2004 წ. მაქვს სხვა ცალკე შრომებიც, რომ ეს საკითხი ნამდვილად ასეა. მას მხოლოდ გონიერი ოპონენტებისაგან აღიარება სჭირდება და სხვა არაფერი.

ზემთ ჩამოთვლილი ჩემი პოსტულატების გათვალისწინება საკითხის ობიექტურად, მეცნიერულად გაშუქების თვალსაზრისით არის ნაკარნახევი და არა რაიმე პირადი ჭირვეულობით. აქვე მინდა მოვიყვანო ჩვენი დედაუნივერსიტეტის ემბლემის მოხატვის მოკლე ისტორია.

აქვე გვინდა მკითხველთა ყურადღება გავამახვილოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმბოლურ ემბლემაზე. ახლოვდებოდა 1918 წლის 8 თებერვალი. ეს თარიღი ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის

გახსნის დღე რომ არის, ყველამ კარგად იცის, ამიტომ უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ თხოვნით მიმართა მიუნხენის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულს, სამშობლოში ახალდაბრუნებულ მხატვარ დიმიტრი შევარდნაძეს, რომ უნივერსიტეტის გახსნის დღესთან დაკავშირებით მას მოეხატა ეროვნული უნივერსიტეტის სახასიათო ემბლემა.

ახალგაზრდა ენთუზიასტმა ბეჯითად იმუშავა და მოხატა რამდენიმე ვარიანტი, გამიზნული უნივერსიტეტის ემბლემისათვის.

დიდმა საბჭომ, პირადად ივანე ჯავახიშვილმა და ექვთიმე თაყაიშვილმა ყურადღება შეაჩერეს უნივერსიტეტის სიმბოლურ ემბლემაზე „ალმა მატერ“, ანუ ეს გახლდათ ზოგადად „მეძუპური დედა“, კონკრეტულად, ქორბუდა ირემი, როცა ჯიქნიდან რძეს აწოვებს ნუკრს.“ აქვეა მარადიულობის და გამრავლების სიმბოლო – ქართველი კაცის დიდება – „ვაზი მტევნებითურთ“.



დიმიტრი შევარდნაძე „Alma Mater“, დედა უნივერსიტეტის ემბლემა, „ფურ-ირემი ჯიქნიდან ნუკრს რძეს აწოვებს“, ერთხმად მოწონებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

ამ ემბლემის მოხატვაში მახვილგონივრულად გახლდათ გამოყენებული სიმბოლური გააზრება – დედა ირემი უნივერსიტეტის იმ პროფესორ-მასწავლებელთა სიმბოლოა, რომლებიც ლექცია – სემინარების საშუალებით სტუდენტ ახალგაზრდობას ცოდნას აწვდიან, ცოდნის შექმნით ასაზრდოებენ, ხოლო ნუკრი – ბუნების სათნოება, სტუდენტი – ახალგაზრდობის სიმბოლოა, ისინი სწორედ ასე იღებენ გონებრივ საზრდოს, წყაროს, ცოდნას, როგორც ნუკრი ირემის ჯიქნიდან ფიზიკურ საზრდოს – რძეს დებულობს. ეს გახლავთ აქსიომა, კარგად გააზრებული თემატიკა, რომელიც დავას არ იწვევს.

უნივერსიტეტის ემბლემის ასეთი სიმბოლური გადაწყვეტა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან შედარებით ნამდვილად ორიგინალურია და შეუდარებელი.

მაშ ასე: 1918 წლის 8 თებერვლიდან ავადსახსენებელ 1937 წლამდე ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტს ეს ემბლემა ამშვენებდა!

შემდეგ, რატომღაც 1937 წლიდან დიმიტრი შევარდნაძე რეპრესირებულ იქნა და ამ ორიგინალური ემბლემის დედანი დაიკარგა.

ქართველ კინომაყურებლებს კარგად ახსოვთ ფილმი „მონანიება“, რომელშიც რეპრესირებული სანდრო ბარათელის ბედი დიმიტრი შევარდნაძის უბედურებაზე მიგვანიშნებს, იმ განსხვავებით, რომ მხატვარს თავდავიწყებით უყვარდა ქეთევან მაღალაშვილი და ეროვნული იდეებით დაკავებულმა მხატვარმა ოჯახის შექმნისათვის ვერც კი მოიცადა.



ლევან სალუქვაძე „Alma Mater“ დედა უნივერსიტეტის ემბლემა. მდებრი ირემი წარმოდგენილია ურქებოდ. ემბლემის იდეა ეკუთნის მხატვარ დიმიტრი შევარდნაძეს, ახალი ვარიანტის გააზრება — მხატვარ ლევან სალუქვაძეს. სამწუხაროდ დღეისათვის დენები დაკარგულია, უნივერსიტეტს ამჟამად ემბლემა არ გააჩნია.

ჩვენ კითხვა-კითხვით მივაგენით ემბლემის ფოტონეგატივს, რომელიც საქართველოს მედცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (საქმე №850. იხილეთ ჩვენი უნივერსიტეტის ემბლემის ფოტოპირი, ფოტომხატვარ ედვარდ გიგილაშვილის გადაღებული).

17 წელი, 1937 წლიდან 1954 წლამდე ამ ემბლემის ასავალ – დასავლით არავინ დაინტერესებულა, მხოლოდ რექტორის სამუშაო კაბინეტში შესასვლელ კედელზე გამოკრული იყო ჭედური ხელოვნების იშვიათი ნიმუში თითბერზე „მდებრი ჯიხვი თიკანს (ფოთრს) ძუძუს აწოვებს“. როცა ამ ემბლემის ვარიანტის ფოტოგადაღება მოვინდომეთ, სამწუხაროდ, ეს ემბლემა ადგილზე აღარ დაგვხვდა, ამიტომ ამ ემბლემის ვარიანტის ფოტოსურათს ველარ გთავაზობთ, იგი დაიკარგა, მოიპარეს.

მხატვარ ღიმიტრი შევარდნაძის მიერ მოხატულ უნივერსიტეტის ამ ემბლემას ჩვენ მივუძღვენით კინოსცენარი ტელეფილმისათვის სათაურით „მხატვარი და ეპოქა“. ასე დეტალურად იმიტომ შევისწავლე ეს საკითხი, რომ კინოსცენარში საღაო არაფერი ყოფილიყო. თუნდაც ის ფაქტი, რომ მდებრი კავკასიურ ირემს რქები არა აქვს და ემბლემაზე რქებიანი ირემია წარმოდგენილი ნუკრისთვის ძუძუს წოვების პროცესში. მხატვრისათვის ალიბი რომ გამოგვენახა (თუმცა გენიალურ მხატვარ ღიმიტრი შევარდნაძეს წამალთმცოდნისაგან ალიბის გამონახვა არ სჭირდება), დავათვალიერეთ ბიოლოგიური ენციკლოპედია და დადასტურდა, რომ ჩრდილოეთის ტუნდრის მდებრი ირემს რქები ნამდვილად აქვს. გამოდის, რომ უნივერსიტეტის ემბლემაზე ბუნებაში არარსებული ბიოლოგიური არსება მხატვარ ღიმიტრი შევარდნაძეს ნამდვილად არ მოუხატავს. ეს ემბლემის პრინციპული შეფასებაა! თუმცა ჩრდილოეთის ირემს ბრტყელი რქები აქვს.

მკითხველთა ყურადღება გვინდა შევაჩეროთ უნივერსიტეტის ემბლემის III ვარიანტზე, რომელიც ეკუთვნის ნიჭიერ მოქანდაკეს, ბატონ ლევან სალუქვაძეს.

მხატვარი ლევან სალუქვაძე, ცნობილი პოეტისა და სცენარისტის, შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატის ანზორ სალუქვაძის ვაჟიშვილია და ის შემოქმედებით საქმიანობას, ისეთი დიდი ხელოვნის სახელოსნოში აწარმოებს, როგორც გახლავთ სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატი გენიალური მერაბ ბერძენიშვილი. ამიტომ გამორიცხებულია ბატონ მერაბთან უკონსულტაციოდ ახალბედა მხატვარს დედაუნივერსიტეტის ახალი ემბლემის ვარიანტის მოხატვა გაეხებდა. აქვე გთავაზობთ ამ ემბლემის ვარიანტს, როცა დედა ირემი ურქებოდ არის წარმოდგენილი. იგი მკითხველს შეიძლება შველი და ნუკრიც კი ეგონოს. ამ ემბლემას ამშვენებს სიმწავანის მარადიულობის სიმბოლო, ნაყოფდასხმული დაფნის რტო. მკითხველი მინდა დავარწმუნო, რომ ემბლემის ამ ვარიანტსაც იურიდიული არსებობის უფლება გააჩნია და ამიტომ ახალგაზრდა მხატვართან მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის!

სამწუხაროდ, უნივერსიტეტის ემბლემის მესამე ვარიანტის ყველა ნიმუში, რომელიც ადგილას იყო ჩაშენებული უნივერსიტეტის რკინის გისოსებიან ღობეში მოიპარეს! როგორ ვთქვა, მაგრამ ალბათ, ჯართად ჩააბარეს ავხორცმა ნარკომანებმა, თორემ, ნორმალური კაცი ამ სისაძაგლეს არ ჩაიდენდა.

ეს უმძიმესი დანაშაული, პერსპექტივის მქონე ერისათვის, დროებითი უარყოფითი გამოვლინებაა ისევე, როგორც ის, რომ კახელი მევენახეების, რუსთაველი მეტალურგების, ჭიათურელი მღაღარელების, დასავლეთ საქართველოს მეჩიეებისათვის და, საერთოდ, ჩვენი ერის მშრომელების შრომითა და ოფლით 1936 წელს ჩამოყალიბებული მთავარი სააფთიაქო სამმართველო 1994 წელს არ უნდა გაუქმებულიყო. ეს ხომ ქართველი ხალხის აშკარა მტრობაა, მითუმეტეს პროფესიონალების შეზღუდვაა.

ალბათ, ამ სტატიის გამოქვეყნება იმიტაცაა აუცილებელი, რომ ვიცოდეთ დედაუნივერსიტეტის სიმბოლური ემბლემის მოხატვა ვის ეკუთვნის? ვინ განახორციელა იგი პირველად და მისი საბოლოო ვარიანტი როგორი უნდა იყოს! ყვე-

ლა ატრიბუტის მხედველობაში მიღებით მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის და მხატვარ ლევან სალუქვაძის ვარიანტები აუცილებლად უნდა იქნეს აღდგენილი. მე მხოლოდ ჩემს მოსაზრებას ვაფიქსირებ. არავის არაფერს არ ვკარნახობ. ერთი რექტორატის შენობის ფასადზე გამოიფინოს, მეორე უნივერსიტეტის ეზოს რკინის გისოსებიან ღობეში ჩავაშენოთ. აღვადგინოთ დედაუნივერსიტეტის ემბლემა. ხოლო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემბლემის მოხატვის იდეა ვისგან მოდის, ზემოთ ჩამოთვლილი განმარტებების შემდეგ დავას არ უნდა იწვევდეს – ორიგინალურად მოხატა ბატონმა ემირ ბურჯანაძემ. რაც შეეხება ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკული შედეგის „მედეას“ შესაბამისი ლათინურენოვანი წარწერით სამედიცინო აკადემიის ემბლემად აღიარებას, სიტყვა აკადემიკოს რამაზ ხეცურიანს და სამეცნიერო საბჭოს წევრებს ეკუთვნის! იმასაც მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისში 2002 წლის ოქტომბერში ჩატარებულმა საერთაშორისო ფარმაცევტულმა კონგრესმა და მასში მონაწილე 180 წევრმა იდეის მხარდაჭერა და აღიარება საკუთარი ხელისმომწერებით დაგვიდასტურეს, დაგვეთანხმნენ საერთაშორისო ფარმაცევტული კონფერენციის მონაწილენიც.



ვანის რაიონში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი (2004 წელი, არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ქალბატონი დარეჯან კაჭარავა) ეს ძვირფასი მხატვრულად დამუშავებული ფერადი ლითონის თავსამკაული, არაერთი ირმის გამოსახულებითურთ ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულით თარიღდება და მიგვანიშნებს ძვირფასი ფერადი ლითონის – ოქროს მაღალმხატვრულ დონეზე დამუშავებას. საქართველოში არსებობდა ირმის კულტაყვანისმცემლობის ტრადიცია, ირემი სიკეთისა და რიურაჟის სიმბოლო იყო. პროფ. ირაკლი სურგულაძის ეთნოგრაფიული წყაროების გამოკვლევის მიხედვით ირმის რქას დედაბოძზე ამაგრებდნენ – ოჯახის ავისენისგან დამცავი აგვაროზი იყო. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ გაუმაგრებელი ირმის რქის სპირტიანი ნაყენი პანტოპრინი წამლის ფორმა გახლავთ, რომელიც გამოიყენება ინფექციური დაავადების შემდეგ დაუძლურებული ავადმყოფის რეანიმაციისა და ენერჯის აღდგენისათვის. აქვეა ოდიტგანვე ნაყოფიერების სიმბოლოდ მიჩნეული ბროწეულის ნაყოფის არაერთი გამოსახულება. ძვირფას სამკაულზე ამოტვიფრულია მხეცებისა და ფრინველების გამოსახულებანი, რომელთა სიმბოლურ ამოცნობაში ხელოვნებათმცოდნეები უნდა დაგვეხმარონ, ეს უნიკალური ნივთი ჩვენი ერთგული მედიცინის სიძველის უტყუარი მაცნეა, ამავე დროს მიგვანიშნებს მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეზე ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე (არქეოლოგი დ. კაჭარავა მას IV საუკუნით ათარიღებს).

Կոչուցե՞՞ն

Բայց եւս հասցնելու հարկը կ'ընկնի, Գրեթե

« Եւ Երեւան »

Գրեթե ստեղծուի ինչպէս « Եւ Երեւան »-ը, ստեղծուի յոսկիւնս յայնչեմանս եւ
ժամը յայնչեմանս յայնչեմանս, ստեղծուի յայնչեմանս յայնչեմանս
եւ ինչպէս, համար յոսկիւնս, ինչպէս յայնչեմանս:

Կոչուցե՞՞ն Երեւանի հետ յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի
- Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի

ստեղծուի յայնչեմանս, Երեւանի յայնչեմանս Երեւանի յայնչեմանս
ստեղծուի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի

Ստեղծուի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի
ժամը յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի

ստեղծուի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի
ստեղծուի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի

Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի
- յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի

Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի
Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի

Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի
Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի

Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի
Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի

Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի
Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի

Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի
Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի

Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի,
Երեւանի յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս յայնչեմանս Երեւանի.

მედიცინა და არქეოლოგია

მოსაზრებანი ზოგიერთი არქეოლოგიური მასალის სამედიცინო ასპექტის შესახებ

ფარმაცევტ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
წამალთმცოდნე, აკადემიკოსი სოკრატ სალუქვაძე

არქეოლოგიური მასალა ისტორიის უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა, რომლის შესწავლამაც ძველი ქართული მედიცინის ისტორიის არაერთ საკითხს მოჰყვინა ნათელი. არსებობს მრავალი არქეოლოგიური ნივთი (ძვლის, ბრინჯაოს, კერამიკის, მინისა და სხვა), რომელიც მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა და შემდგომ მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს. ამ მხრივ თავის დროზე ყურადღება მიიქცია მცხეთის არმაზის ხევის სამაროვანში 1944 წელს გრანიტის (პიროსის) ქვის №48 სამარხში აღმოჩენილმა ოქროს ბეჭედმა, რომლის გემაშიც გამოსახულია წვეროსანი მამაკაცის ბიუსტი. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ეს ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი, მედიცინის მფარველი ღვთაება ასკლეპიოსია, რადგან მის მხართან ორკაპა კვერთხზე (კერიკეიონი) დაკლაკნილი გველია გამოსახული, რაც ბერძნულ-ქართული სამედიცინო კულტურული ურთიერთობის მაცნეა.

ბერძნული მითის მიხედვით ასკლეპიოსი (რომაულად ესკულაპი) ღვთაების – აპოლონის შვილია, რომელმაც ის აღსაზრდელად კენტავრ ქირონს მიაბარა. ამ უკანასკნელმა შეასწავლა მას მკურნალობა, წამლების დამზადება და მკვდრის გაცოცხლების ხელოვნება. მისი ქალიშვილები ჰიგია და პანაცეა მამას ეხმარებოდნენ სამკურნალო ხელოვნებაში. ბერძნები ჰიგიას გამოხატავდნენ გველითა და თასით, რაც წარმოდგენას გვიქმნის ძველი წელთაღრიცხვით XII საუკუნისა და მომდევნო ეპოქის მედიცინის ემბლემებზე.

ძველ საბერძნეთში ნაპოვნი აგრეთვე არაერთი ლარნაკი კოლხეთის მეფის, აიეტის ქალიშვილის, მედეას გამოსახულებით. სამედიცინო ემბლემური გამოსახვა ქრონოლოგიურად, მედეას გველებით გამოსახვით დაიწყო ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოს, XV საუკუნიდან, ხოლო XII საუკუნის შემდეგ ასკლეპიოსისა – ჯოხზე დახვეული გველით, და მაინც, ჰიგეას გამოსახულება გველით, მედიცინის ყველაზე განზოგადებულ ემბლემად იქცა. დასახელებული ემბლემები მსოფლიო მედიცინის ემბლემებად იქცა და თავისი ანარეკლი ჰპოვა მცხეთაში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ ოქროსა და ბრინჯაოს ბეჭედებში, სამაჯურებსა და სხვა ნივთებში.

მცხეთაში ნაპოვნ ბეჭდის გემაზე გამოხატული ასკლეპიოსი, წმინდა ანტიკური სტილის ხელოვნების ნიმუშია. სავარაუდოა, რომ აღნიშნულ ბეჭედს ასკლეპიოსის გამოსახულებით და ჯოხზე დახვეული გველით მცხეთაში ატარებდა სამეფო კარის მაღალი რანგის მკურნალი ექიმი. საფიქრებელია ისიც, რომ ეს პიროვნება სოციოლოგიურად პრივილეგირებული, მონათმფლობელური წრის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. არსებობს საფუძველი გამოეთქვათ მოსაზრება, რომ მცხეთაში აღმოჩე-

ნილი ოქროს ბეჭდის გემა მიგვანიშნებს ანტიკურ ხანაში საქართველოსა და საბერძნეთს შორის არსებულ მჭიდრო სამედიცინო-კულტურულ კავშირზე და ძვ.წ.ა. IV-III საუკუნეებში საქართველოში ოქრომჭედლობისა თუ მეტალის მხატვრულად დამუშავების მაღალ დონეზე. ამაზე სხვა არქეოლოგიური ნივთებიც მეტყველებს. დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, ეს ნივთები შემოტანილია, თუ ადგილზე გახლავთ დამზადებული.

ასკლეპიოსის გამოსახულება გემაში ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. საქართველოშიც არქეოლოგიური გათხრებს შედეგად მრავალ ადგილას არის აღმოჩენილი ნივთები ასკლეპიოსის გამოსახულებით. მაგალითად, ურბნისის, ნაქალაქარის და სამთავროს სამაროვნებში და სხვა.

მცხეთის სამთავროს სამაროვანში აღმოჩნდა ბრინჯაოს სხვა ბეჭედიც, რომლის თვალში მინანქარზე ამოტვიფრულია ასკლეპიოსის გამოსახულება. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ნივთიც ძვ.წ.ა. IV-III საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასკლეპიოსის ეპოქა ძველი ჭელთაღრიცხვის XII საუკუნიდან იწყება, რასაც მეფე აიეტის ეპოქა და კოლხური ცივილიზაცია 300 წლით წინ უსწრებდა.

თუ ოქროს ბეჭედს მცხეთაში სოციოლოგიურად პრივილეგირებული მკურნალი ატარებდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ბრინჯაოს ბეჭედი ასკლეპიოსის გამოსახულებით შედარებით დაბალი რანგის ექიმის კუთვნილება იყო.

მცხეთის სამთავროს სამაროვანში არაერთი ბრინჯაოს მოჭედილი ნივთი აღმოჩნდა სტილიზებული გველის გამოსახულებით. ისინი რელიგიურ-ასტრალური დანიშნულების ნივთები, ომულეტები უნდა იყოს. ძველ საქართველოში სამაჯურებს გველის გამოსახულებით ავი სენისაგან დამცველის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული.

1976 წელს მცხეთის სამთავროს არქეოლოგიური გათხრების დროს არქეოლოგმა გიორგი მანჯგალაძემ №164 სამარხში აღმოაჩინა ორიგინალური მინის ჭურჭელი, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებით თარიღდება. ეს ჭურჭელი არქეოლოგების მიერ მიჩნეულია სანელსაცხებლედ. ის გამჭვირვალე, მომწვანო-მოყვითალო ფერისაა და 150 გრამამდე სითხეს იტევს. პირი გადაშლილი აქვს და ძაბრის შთაბეჭდილებას ტოვებს, ყელი შიგა მხრიდან შევსებულია მინისავე მასით – “დიაფრაგმით”, რომელშიც მცირე დიამეტრის წერტილისმაგვარი ნახვრეტია. ჭურჭელს გარშემო რელიეფურად შემოხვეული აქვს დაკლაკნილი გველის გამოსახულება. ოდნავი დაზიანების მიუხედავად, ჭურჭელზე ადვილად შეინიშნება სამი გველის გამოსახულება. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ნივთი რომის იმპერიიდან არის შემოტანილი. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ორიგინალური მინის ჭურჭელი მცხეთისავე მიდამოებში იყოს დამზადებული. ყოველ შემთხვევაში, საქმე გვაქვს უნიკალური მინის ჭურჭლის აღმოჩენასთან, რასაც გვაფიქრებინებს სამი გველის გამოსახულება, ძაბრის მსგავსი ტუჩი, ყელი და დიაფრაგმაზე წერტილისოდენა ნახვრეტი, რომელსაც, როგორც ჩანს, იყენებდნენ თხევადი წამლების დოზირებისათვის. ისიც სავარაუდოა, რომ ნეიტრალური რეაქციის მქონე მინის ჭურჭელი სამი გველის რელიეფური გამოსახულებით, თავიდანვე სამედიცინო მიზნებისათვის უნდა ყოფილიყო დამზადებული. იგი უნიკალური წვეთმზომია, დოზატორია. როგორც ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები აქამდე თვლიდნენ, ეს ჭურჭელი ასრულებდა სანელსაცხებლოს დანიშნულებას, რაც ჯერ კიდევ შუმერებიდან მომდინარეობდა მკურნალობის ადრეული ფორმით. აქედან უნდა იყოს მკურნალობის ადრეული ფორმა მენელსაცხებლობა, ანუ იარების წამლის ფორმით დაამება.

საინტერესოა, რომ VIII საუკუნის ქართულ მხატვრულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში, იოანე საბანის ძის “ჰაბოს წამებაში” მოცემულია ზოგიერთი დეტალი, რომლებიც შეეხება მკურნალობის საკითხებს... “და იყო იგი (ჰაბო, ს.ს.) ხელოვან, კეთილად შემზავებული – სულნელთა მათ საცხებელთა... მაშინ მოითხოვა წყალი და დაიბანა პირი თვისი და იცხო ზეთი თავსა და თქუა: მაშინ სადმე ვიყავი თვით მენელსაცხებლე, კეთილად შემზავებელ სუნნელთა მათ საცხებელთა, ამიერიტგან აღარ ვიცხო განქარვებადი ესე მცირობისა ჩემისა ზეთი, არამედ, ვითარცა... ბრძენმან სოლომან მასწავლა მე: სურნელებათა ნელსაცხებელთა”. ან კიდევ “დედანი მსგავს იყვნენ წმიდათა მათ მენელსაცხებელთა, რომელთა სრბით მიაქნდა სურნელებით... და წყლულებითა მისითა ჩვენ განვიკურნებით”. ძნელი გასაგები არ არის აქ მოყვანილი ციტატებიდან, რომ გამოთქმები: “მენელსაცხებლე”, “კეთილად შემზავებელ”, “ამიერიტგან აღარ ვიცხო განქარვებადი... ზეთი”, “და წყლულებითა მისითა ჩვენ განვიკურნებით...”, “და იყო იგი ხელოვან, კეთილად შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა” – უშუალოდ სამკურნალო მანიპულაციებთან დაკავშირებული გამოთქმებია. ამ უძველესი წერილობითი წყაროს დამოწმებით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ თუ არქეოლოგების აზრით ეს უნიკალური მინის ჭურჭელი სანელსაცხებლე იყო, არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ჭურჭელს სამედიცინო დანიშნულება ჰქონდა. ამ მოსაზრებას აძლიერებს ამავე სამაროვანში აღმოჩენილი მინის ქილა, რომელშიც, როგორც ჩანს, წამლის ფორმის მოსამზადებელ კომპონენტებს ინახავდნენ.

მცხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძიებისას №425-436 სამარხებში ნაპოვნია სხვადასხვა ზომის მოჭიქული ჭურჭელი, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნით თარიღდება. საფიქრებელია, რომ თავის დროზე ეს ჭურჭელი მაღამოებისა და ლინიმენტების კონსისტენციის წამლის ფორმების მოსათავსებლად იყო დამზადებული. საინტერესოა აგრეთვე მცხეთაში აღმოჩენილი კერამიკული ქოთანის სამი გველის გამოსახულებით. ეს ნივთი თავისი სამედიცინო მნიშვნელობით უნიკალურია, რომლის ანალოგიურია თრიალეთის ველზე არქეოლოგ ბ. კუფტინის მიერ აღმოჩენილი ქვევრები გველის გამოსახულებით. ზემოჩამოთვლილი სამედიცინო დანიშნულების არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენა ნათლად გვიდასტურებს, რომ ძვ.წ.ა. I ათასწლეულის ბოლოს და ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში მცხეთა ცივილიზებული ერის დედაქალაქი იყო, სადაც ეპოქის შესაბამისად დიდად განვითარებული ყოფილა სამკურნალო ხელოვნება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი იარაღები და სხვადასხვა ჭურჭლის შესწავლა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. მათი პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრისას მიზანშეწონილი იქნება არქეოლოგებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმაც – ექიმებმა, წამალთმცოდნეებმა, მედტექნიკოსებმა და სხვა. ვფიქრობთ, მათი მონაწილეობა ხელს შეუწყობს მოპოვებული მასალის მეცნიერულ დამუშავებას.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მინის ჭურჭლისა და ბრინჯაოს იარაღების შესწავლით, სამწუხაროდ, ბევრი მეველევარი როდია დაინტერესებული. მომავალში ამ მიმართულებით უნდა გამახვილდეს ყურადღება და კვლევა-ძიებანი.


მედიცინისა და არქეოლოგიის ურთიერთკავშირის დამტკიცების მიზნით ჩვენს მიერ შემოღებულ იქნა შედარებითი ანალიზის მეთოდი. სახელდობრ, საქართველოში სხვადასხვა დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთები,

რომლებიც თავის დროზე დამზადებული იყო მეტალისაგან, მინისაგან თუ ძვლისაგან და იწვევდა ჩვენში მიმანიშნებელ ეჭვს, რომ თავის დროზე ეს ნივთები ხომ არ იყო სამედიცინო ტექნიკის და სამედიცინო დანიშნულების იარაღები? ამიტომ მოვახდინეთ მათი შედარება XX საუკუნის სამედიცინო ტექნიკის იარაღებთან და მივიღეთ შთამბეჭდავი შედეგები, რაც გამოძინარეობდა იქედან, რომ კობატოვის, კრენდალის და ვილ საბიტოვის სახელმძღვანელოებში გამოქვეყნებულ სამედიცინო ტექნიკის იარაღების ფოტოსურათებს გააჩნიათ შესაბამისი ანოტაციური განმარტებები, ე.ი. რა დანიშნულება აქვს ამა თუ იმ იარაღს სამედიცინო ტექნიკის გამოყენების თვალსაზრისით. ასეთმა შედარებითმა ანალიზურმა მეთოდმა დაგვარწმუნა, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ზოგიერთი ნივთი, თავის დროზე სამედიცინო ტექნიკის იარაღის ფუნქციას ასრულებდა და ამის საფუძველზე ჩვენ შევძელით დაგვედგინა რა დონეზე იყო სამედიცინო ბიოლოგიური აზროვნება.

ზემოთ დასახელებულ ავტორების წიგნებში მოთავსებულმა ფოტოსურათებმა მოგვცა წარმოდგენა წარსულის ამა თუ იმ ეტაპზე, სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების დონის შესახებ. მაშასადამე, ამ თვალსაზრისით, არქეოლოგია არის სარკე, შეიძლება ითქვას ლუპაცაა და ჩვენ ვიხედებით შორეულ ისტორიულ წარსულში სამედიცინო ტექნიკის იარაღს რა დანიშნულება ჰქონდა და რომელ საუკუნეს მიეკუთვნებოდნენ ეს იარაღები.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ აქვე მოგვაქვს არაერთი ფოტოსურათი, დავუშვათ როგორი იყო სითხოვანი წამლის ფორმების დოზირების წვეთმზომი, ანუ დოზატორი ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში და როგორია შესაბამის მინის ჭურჭელში მოთავსებული სითხოვანი წამლის ფორმა, რომლითაც წამლის დოზირება ამჟამადაც ასევე ხერხდება.

ან ბრინჯაოსაგან დამზადებული ყურის სარჩილავი კოვზი, რომელსაც ვერძის რქებიანი დაბოლოება ანუ სახელური (ტარი) გააჩნია. ასევე 3700 წლის წინანდელი მოჭიქურებული კერამიკული საინფუზირო აპარატი, გველის რელიეფური გამოსახულებით სახელურთან (ვერძის თავმირჩილული) და XX საუკუნის ფაიფურისაგან დამზადებული საინფუზირო აპარატი, ეს იარაღები ურთიერთ შედარებისას ანალოგიური დანიშნულების აღმოჩნდა. ან სააფთიაქო მინის ქილები, მინის კოლბები, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა აღმოჩენილი, შევადარეთ იგი XIX საუკუნის აფთიაქის კერძო მფლობელის ვიქტორ ლუდვიგ ვილარეტის აფთიაქში სააფთიაქო შტანგლასებს, სასწორს, მენზურებს, კოლბებს. და მივიღეთ შედარებითი ანალიზის ჩატარების იდენტური შედეგები. აშკარაა მსგავსებაც და დანიშნულებაც, ასევე IV საუკუნით დათარიღებული ქ. მცხეთაში აღმოჩენილი “ივაშჩენკოს სასწორი” წვრილსაწონებითურთ თანამედროვე სააფთიაქო რქის სასწორის ანალოგიური აღმოჩნდა, ამიტომ, ჩვენ ამ სტატიას თან ვურთავთ XIX-XX საუკუნეებში აფთიაქების სამედიცინო ტექნიკის იარაღებს, სხვადასხვა დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ სამედიცინო ტექნიკის სავარაუდო იარაღებს. ასეთი მეთოდით შედარებითი ანალიზის წარმოებისას ვრწმუნდებით, რომ თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის იარაღებსა და ძველ სამედიცინო ტექნიკის იარაღებს შორის ისეთი დამაჯერებელი მსგავსებაა, რომ თავისუფლად შეგვიძლია განვაცხადოთ როგორი ყოფილა ძველად სამედიცინო ტექნიკის სხვადასხვა იარაღი და როგორები არიან ისინი XIX – XX და XXI საუკუნეებში.




მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია გველის გამოსახულების ანალოგიური სამაჯურები, თარიღდება I ათასწლეულით და როგორც ჩანს მას ომულეტის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული.



მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია გველის რელიეფური გამოსახულებით ორ იარუსიანი კერამიკული საინფუზიო მოჭიქურებული აპარატი, სახელურთან ვერძისთაემირჩილული.


თარიღდება II ათასწლეულით, სახელდობრ XVII ს-ით. გველის რელიეფური გამოსახულება მიგვანიშნებს, რომ ეს ჭურჭელი სააფთიაქო სითხეოვანი წამლის ფორმების: გამონაცემებისა და მონახარშების დასამზადებელ (მედტექნიკის იარაღის – ჭურჭლის) დანიშნულებას ასრულებდა, რომელიც თანგირზე (სპილენძის ქვაბზე) იდგმებოდა. შეადარეთ იგი თანამედროვე საინფუზიო ფაიფურის აპარატს.



XX საუკუნის ფაიფურის საინფუზირო აპარატი ელექტრო მადღულარაზე იდგმება, ხოლო ქართული წარმოების მოჭიქურებული საინფუზირო აპარატი – თანგიძზე.



მედეას გამოსახულება ზარდახშაზე ღარნაკით ხელში. თარიღდება ძვ. წ.ად. V საუკუნით



შეადარეთ ურთიერთს 3700 წლის წინანდელი საინფუზირო აპარატი და XX საუკუნის ფაიფურის საინფუზირო აპარატები.




ძველი კოლხური და სვანური ცულები გველისა და სხვა ცხოველების გამოსახულებით
ძვ. წ. ა. (მეორე ათასწლეული). საინვენტარო №№27-61 : 11, 12-61 : 81, 12-61 : 81, 27-61 : 6.



“ჰიგია”, ბარელიეფი ქ. ლგოვოს ნატორპის აფთიაქის კოლექციიდან




ეს უნიკალური მხატვრულად დამუშავებული ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული სამკაული მიგვანიშნებს ლითონის მხატვრულად დამუშავების მაღალ დონეზე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში. აქვეა ცხვრის სიმბოლიკის დამახასიათებელი ნიშანი და, რაც მთავარია, სანელსაცხებლოს მოსათავსებლად უნიკალური ჭურჭელი. ეს ნივთი სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდია და წარმოადგენს ჩვენი ერის დიდებას და სიამაყეს.




მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია კერამიკული დერგი, რომელზეც სამი გველია რელიეფურად გამოსახული. თუ ვივარაუდებთ, რომ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭელზე გველები რელიეფურად არ იქნებოდა გამოსახული, მაშინ საფიქრებელია, რომ ასეთი ჭურჭელი სააფთიაქო კომპონენტის შესანახად იყო იმთავითვე დამზადებული. ამ აზრის გამოთქმის უფლებას გვაძლევს სამი გველის რელიეფური გამოსახულება.




გველის გამოსახულებიანი კერამიკული ჭურჭლები ეკუთვნის არქეოლოგ ბ. კუპტინის კოლექციას. თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის XVII საუკუნით. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭელზე რელიეფურად გველის გამოსახულება მიანიშნებს, რომ ასეთი ჭურჭელი სააფთიაქო კომპონენტის შესანახად იყო გამიზნული. (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).




მედიცინის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს მახათები ქირურგიული ნემსებია. უფრო უპრიანი იქნებოდა ამ არქეოლოგიური ნივთებისათვის ქალამნის საკერავი მახათები გვეწოდებინა. სურათის ქვემოთ, ჰორიზონტალურად მოთავსებული მახათი ხომ ახალ იარაგს გაუჩენდა ავადმყოფს (?). შეადარეთ თანამედროვე ქირურგიულ ნემსებს.



თანამედროვე მედტექნიკის იარაღი – ქირურგიული მოხრილი ნემსი და ქირურგიული ძაფი, ნემსის დამჭერი მარწუხითურთ. შეადარეთ ძველი ხარაზის, ან თერძის მახათებს...



ბრინჯაოს სამედიცინო (მედტექნიკის) ხელსაწყოები (ძვ. წ. II ათასწლეული)
 საინვენტარო №12-54:1787, 12-54:229, 12-54:1439, 12-54:1502 (ს. ჯანაშიას სსმფ)




ბრინჯაოს ბეჭედი ასკლეპიოსის გამოსახულებით (IV-III სს.ძვ. წ.). მცხეთის არქეოლოგიური
 ცენტრის კოლექცია.



ქალაქ მცხეთის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა მოჭიქურებული თიხის ჭურჭელი. საგარაუდლოა, რომ ასეთი მოჭიქული ჭურჭელი რბილი წამლის ფორმების – მაღამოების და ლინიმენტების შესანახად იყო გამოიზნული. თარიღდება ა.წ. III-IV საუკუნეებით.




ძველი ქართული ხელის სასწორი, წვრილსაწონებითურთ, ნაპოვნია მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს (არქეოლოგ ივანეშენკოს მიერ). თარიღდება II – IV საუკუნეებით. საინვენტარო №12-54:120687, მინის სააფთიაქო კოლბა და მინისაგე უნიკალური დოზატორი, წვეთმზომი. საინვენტარო №1-59:2575, №7-75:7.




თანამედროვე სააფთიაქო სასწორი. შეადარეთ არქეოლოგ ივაშენკოს მიერ აღმოჩენილ ძველ სასწორს, რომელიც გარაუდით ოქრომჭედლის სამარგანშია ნაპოვნი. თარიღდება IV საუკუნით.




ურბნისის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი მინის კოლბები, გვიანი ანტიკური ხანა (ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდი)



XX საუკუნის სააფთიაქო მინის კოლბები. შეადარეთ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენლ კოლბებს.



ახ. წ.ა. V საუკუნის ცილინდრულ დანაყოფებიანი მინის მენზურა. ანტიკური ხანა. (ნაპოვნია კოლხეთის დაბლობდგ, ურეკში, ანატოლი შუმილინის მიერ. ამჟამად ინახება ოზურგეთის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში)



თანამედროვე მინის მენზურული ჭურჭელი, შედარეთ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ მენზურულ ჭურჭელს.




ახ. წ.ად. III – IV საუკუნის სააფთიაქო კომპონენტების მოსათავსებელი შტანგლასები. შედარეთ თანამედროვე სააფთიაქო შტანგლასებს.



გიქტორ ლუდვიგ გილარეტის აფთიაქის სააფთიაქო კომპონენტების მოსათავსებელი შტანგდასები.




მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია კონუსური ფორმის სამი გველის რელიეფური გამოსახულებით ნეიტრალური რეაქციის მქონე მინის ფერადი უნიკალური ჭურჭელი ყელთან შეფიწროვებულ დიაფრაგმით და წერტილისოდენა ნახვრეტით. ჩვენი მოსაზრების თანახმად, ეს უნიკალური ჭურჭელი სითხეან წამლის ფორმების დოზატორი წვეთმზომია, თუმცა ისტორიკოსები მას სანელსაცხებლას ფუნქციას ანიჭებენ. ასეც რომ იყოს, შუამერული მედიცინა მენელსაცხებლობით იწყება. არამატული სითხეები გამოიყენებოდა, როგორც ჰიგიენის თვალსაზრისით, ასევე კარგი გუნება-განწყობის დანიშნულებითაც.



პლასტმასის წვეთმზომი დოზატორი, შეადარეთ ძველ ქართულ მინის უნიკალურ დოზატორს.



ძველი ქართული მინის კოლბა და ფრინველის გამოსახულების მსგავსი დოზატორი, რომელიც შედარებით უბრალოა, უფრო პრემიტიულია ქ. მცხეთაში ნაპოვნი კონუსური ფორმის ფერადი მინის დოზატორთან შედარებით.



თანამედროვე სააფთიაქო ანალიზური ლაბორატორიის მინის ჭურჭლის დოზატორი და პიპეტი, გამიზნული სითხის წვეთზომად.




უნიკალური მოტიქურებული კერამიკული სასმისი, თარიღდება IV საუკუნით, ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდში. მარცხნივ მოთავსებულია თანამედროვე ფაიფურის სასმისი, ხოლო მარჯვნივ – თანამედროვე ემალირებული ლითონის სასმისი. სურათები ერთ სწორ ხაზზე განლაგებულია შედარებითი ანალიზის ჩატარების მიზნით.




გრანტის ეს ფილა კოპზე შემოხვეული გველითურთ თარიღდება ახ. წ. აღ. V საუკუნით (არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის კოლექცია), ინახება ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ჩვენს მიერ ნაგარაუდევია, რომ გრანტის ეს უნიკალური ფილა სამედიცინო დაწესებულების კედელში იყო ჩაშენებული და ემბლემის ფუნქციას ასრულებდა.





ხურათზე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემბლემა. სტილიზებურად მოხატულია ზემოთ ნახსენებ გრანტის ჩუქურთმიდან მხატვარ ემირ ბურჯანაძის მიერ.



ყურის სარჩილავი კოვზი ვერძის თავის გამოსახულებით, ბრინჯაოსაგან დაშნადებული სამედიცინო ტექნიკის ეს იარაღი მიგვანიშნებს ვერძის კულტაფვანისმცემლობაზე, თარიღდება პირველი ათასწლეულით. არქეოლოგ რამინ რამიშვილის კოლექცია.




აკადემიკოს დავით ხახუტაიშვილის მიერ უფლისციხეში აღმოჩენილი თახეებიანი აფთიაქის — წამლის სასახლის ორი მწკრივი ხელოვნებათმცოდნეების მიერ ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნით თარიღდება. გამოდის, რომ ის ბაღდადში არსებული VIII საუკუნის აფთიაქზე 300 წლით უხუცესია. როგორც ირკვევა, როცა ელექტროდენი და მაცფრები არ არსებობდა, ალაგებდნენ ჩვენი წინაპრები ქვაფიქალით ნაშენებ თაროებზე თერმოლაბილურ სააფთიაქო კომპონენტებს



ვარძიის თახჩებიანი აფთიაქის საერთო ხედი. აგებულია მეფე გიორგი მესამისა და თამარ მეფის მიერ
XII — XIII საუკუნეების მიჯნაზე




როგორც სჩანს, სოკრატ სალუქვაძის ვერსიის თანახმად, თახჩებიანი აფთიაქი ზედა ვარძიაშიც ყოფილა.



XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულში, კასპის რაიონის სოფელ წინარესში ჩვენს მიერ აღმოჩენილი იქნა 500 თაღიანი მაღალაძეების აფთიაქის ნაშთები. ამ უცნაური არქიტექტურული ნაგებობის პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრისას ვისარგებლეთ პალეოგრაფიული საბუთით და დავადგინეთ, რომ მაღალაძეთა საგვარეულოს წარმომადგენელს, კალიგრაფს მახარებელ ოქროპირის ძე მაღალაძეს, მკურნალ ზაზა ასპაანიძე-ფანასკერტელის მითითებათა საფუძველზე შეუდგენია 1368 გვერდიანი სამკურნალო წიგნი კარაბადინი ანუ ფარმაკოპეა. ძირითადი არგუმენტი ის გახლავთ, რომ აფთიაქი და ფარმაკოპეა მაღალაძეთა საგვარეულოს დაუკავშირდა. ეს ხელნაწერი – კარაბადინი – ფარმაკოპეა ზაზა ასპაანიძე-ფანასკერტელის შთამომავალთა საკუთრება გამხდარა. დამადასტურებელ ფაქტს შემდგომ გვერდზე მოგახსენებთ. წამლის სასახლე-აფთიაქი და ხელნაწერი ფარმაკოპეა XV საუკუნით თარიღდება.

1979 წელს მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში, არქეოლოგიური ძიების შედეგად ზაზას ციხეში ჩვენს მიერ აღმოჩენილი იქნა ტრადიციული თახჩების ოთხი მწკრივი, რომელიც საერთო დერეფნით უკავშირდებოდა ავადმყოფთა პალატებს. აქვე ყოფილა სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით საინტერესო დაწესებულება – აბანო. ხოლო ზაზას ციხის შემოღობილ ტერიტორიაზე ყოფილა სამკურნალო მცენარეების მოსაშენებელი ბაღი. თაღებიანი შენობიდან მიწის გამოტანისას აღმოჩნდა, უამრავი ფერადი მინის, ფაიფურის და კერამიკული ჭურჭლის ნამსხვრევები. აქვე იქნა ნაპოვნი ჭრილობაზე მალამოს წასასმელი ციციხვი – ლაფერა – “შპატელა”. მკურნალ ზაზა ასპაანიძე-ფანასკერტელის შთამომავალი, ზაზა პაპუნას ძე ფანასკერტელ-ციციშვილი ფეოდალური კინკლაობის გამო 1676 წელს მოკლეს მუხრანის ბაგრატიონებმა. როგორც ჩანს, სახლ-კარის აკლესიას მათ კონფისკაციის წესით მიუთვისებიათ XV საუკუნის II ნახევარში შედგენილი ხელნაწერი კარაბადინი ფარმაკოპეა. მუხრანის ბაგრატიონს, მეფე ვახტანგ VI-ს, რომლის პაპა იყო მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი და მამა ლევან მირზა, თავისავე დაარსებულ სტამბაში 1709 წელს ამ ხელნაწერი კარაბადინი-ფარმაკოპეის სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარებია და ახალი პავინაცია მიუცია.



ამ შემთხვევაშიც, ხელნაწერი კარაბადინი და წამლის სასახლე – თახჩებინი აფთიაქი, ურთიერთს დაუკავშირდა. წამლის სასახლე XVII საუკუნით თარიღდება, ხოლო მუხრანის ბაგრატიონებს ამ ძლიერი ფეოდალის ქონებიდან, პოემა ვეფხისტყაოსნის უნიკალური ხელნაწერიც მიუთვინებიათ, რომელიც 1712 წელს სტამბური წესით ვეფხისტყაოსნის გამოცემისას ძირითადი სათაო ხელნაწერი ყოფილა ვახტანგ VI-ის მეცნიერ კაცთა კომისიის წევრებისათვის. ეს ხელნაწერი მეფის ნაცვალ ვორონცოვს ყირიმში გაუტანია, მაგრამ ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ხელნაწერი Q ფონდი №877 (კარაბადინი) და ზახას ვეფხისტყაოსნის უნიკალური ხელნაწერი Q ფონდი №1082. ამ ორი ხელნაწერის სათაგადასავლო ისტორია უფრო ვრცლად იხილეთ ჩვენს გამოკვლევაში “ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულოს წიგნსაცავის ისტორია” (სოკრატ სალუქვაძე).

ლიტერატურა

ЛИТЕРАТУРА

1. ლორთქიფანიძე მ. საქ. სახ. მუზეუმის გემები, II კატ., 1978
2. მცხეთა II, 1978.
3. ფირფილაშვილი პ. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XVIII, 3, 1957.
4. “ქართული პროზა”, წიგნი I, იოანესაბანისძე “ჰაბოს წამება”, “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1981, 123, 126, 136, 140.
5. ჯავახიშვილი ქ. ურბნისის გლიპტიკური ძეგლები, 1974.
6. Грибанов Э.Д., Георгадзе В.И. Медицинские эмблемы. «Сабчота Сакартвелო», 1979.
7. Никобадзе И.И., Татишвили И.Я., Курчишвили И.Б. Основные этапы развития медицины в Грузии. «Меципереба», Тб., 1964, 7.
8. By Sokrat Salukvadze, Ancient healing practices, Soviet life, USA, 1982, 25, 17-19.

ბოლოთქმა, თუმცა წიგნი მოცულობით გაიზარდა

მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის სიახლეებს როცა გავეცანი, დავრწმუნდი, რომ მას ბევრი უსწავლია და შეუთვისებია ყოფილი ლექტორებისაგან: დოცენტ – ნარგოზა სართანისაგან და პედაგოგ პროკოფი გელეიშვილისაგან. არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის მოპოვებული მინის არაერთი ჭურჭელი, მათი პრაქტიკული დანიშნულება ისე ზუსტად არის გამოკვლეული და განსაზღვრული სოკრატისეულ დასკვნებში, რომ ეჭვსაც ვერ შეიტან. სპეციალურად გავეცანი მედიცინის ისტორიკოსთა მონოგრაფიებში გამოკვლევებს და სიახლეებს. აშკარად იგრძნობა ჩვენი თანაკურსელის უპირატესობა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ლითონისაგან დამზადებული სამედიცინო იარაღების პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრისას. ჩვენი ლექტორის პ. გელეიშვილის ლექციების გავლენა და სამედიცინო საქონელთმცოდნეობის შესწავლის შედეგები სოკრატის ნააზრევშიც იგრძნობა. სავსებით დამაჯერებელია გაბედული მოსაზრებები ფეოდალ მაღალაძეების შესახებ. მე არ მინდა რაიმე გავაზვიადო და ავტორს ახალი კონტინენტის აღმოჩენა დავაბრალო ან მივაწერო, მაგრამ ფეოდალ მაღალაძეების შესახებ კვლევა-ძიების წარმოებისას საქართველოს წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიას შეემატა სრულიად ახალი მასალები, მახარებელ ოქროსპირის ძე მაღალაძის შესახებ, რომელზეც ამ გამოკვლევამდე მხოლოდ მწირი ისტორიული ცნობები იყო ცნობილი და რომ ის ხელნაწერი კარაბადინის მხოლოდ უცბათ მხსრეკალ-გადამწერად იყო მიჩნეული. თანაც ამ საეკლესიო მედიცინის წარმომადგენლის, მამის სახელიც კი არ იყო ზუსტად ამოცნობილი. მე აქ მაღალაძეთა საგვარეულოს შესახებ სოკრატის მიერ გამოკვლეული შრომების მხოლოდ სათაურებს დავასახელებ, რადგან შინაარსის განხილვის საშუალება ტექნიკური მიზეზების გამო არ გვაქვს აი, ესენიც:

“მაღალაძეების ვინაობისა და ისტორიულ სარბიელზე მათი გამოჩენის თარიღისათვის”.

“სრულიად ახალი მასალები მახარებელ ოქროსპირის ძე მაღალაძის შესახებ”.

“მასალები კავთურას ხეობაში წალკოტის ანუ ედემის ბაღის არსებობის შესახებ”.

“ახალგამოვლენილი ძველი ქართული საეკლესიო მედიცინის კერა კავთურას ხეობაში”, აქვეა მახვილგონივრულად გამოყენებული ეთნოგრაფ სერგი მაკალათიას შრომები. მიზნებულია მახარებელ მაღალაძის ავტოგრაფი-დედანია ექსპერტიზის ანალიზის საფუძველზე ავტორს დაუდგენია, რომ ხელნაწერის 1008 გვერდი ზაზას მითითებათა საფუძველზე ამ ისტორიული პიროვნების ხელითაა დაწერილი, აქამდე ამ ხელნაწერის ავტორობა ყირამალა ყოფილა წარმოდგენილი. ახლა ეს არავისთვის საიდუმლო აღარ არის.

“ახალი მასალები Q ფონდის ხელნაწერის №877-ის რაობის, დამკვეთ-მომგებლისა და ავტორთა ვინაობის შესახებ”.

სამკურნალო წიგნის, “კარაბადინის” და “ფარმაკოპეის” იგივეობის შესახებ არგუმენტირებული დასაბუთებული მოსაზრება, ენათმეცნიერთა და აღმოსავლეთმცოდნეთა ლექსიკონების მოშველიებით არის გარკვეული.

საინტერესოა გამოკვლევა ბრძენთმთავარ ზაზა ფანასკერტელის შესახებ სათაურშივე დასმული კითხვით: “მკურნალი ზაზა: ფანასკერტელ-ციციშვილი თუ ასპანდიე ფანასკერტელი?” და იქვეა გაცემული პასუხი ამ რთულ შეკითხვაზე, რომ ტაოს მხარეს ფანასკერტელები ასპანდიეები ყოფილან, ხოლო 1538 წლიდან ქართლში გადმოსახლე

ბულ ფანასკერტელების გვარს ციციშვილების გვარიც დამატებია ახალი სიტუაციის გამო. ავტორის აზრით ამ დროისათვის ხელნაწერი კარაბადინი სულ ცოტა 70 წლის წინათ ყოფილა დაწერილი. ბევრია ასეთი დასაბუთებული სიახლე ს. სალუქვაძის გამოკვლევებში. თუნდაც ის ფაქტი, რომ ზაზა ფანასკერტელის უფროსი ვაჟიშვილი ქაიხოსრო აწყურულ მარხვანში იხსენიება ქაიხოსრო ფანასკერტელის სახით, იგი ციციშვილის გვარის მატარებელი რომ ყოფილიყო, ასევე იქნებოდა აქ ნახსენები გვარი ფანასკერტელ-ციციშვილი, რომელიც 1538 წლიდან დაარსებულია „განთქმულთა ფანასკერტელთა და აწ ციციშვილთა“ მითითებულია ამ ხელნაწერის 181-ე გვერდზე.

აქვე მინდა მკითხველს ჩემი მოსაზრება გაუზიარო, სახელდობრ, ამ ბოლო წლებში გამოიცა მრავალთაბახიანი კაპიტალური მონოგრაფიები, ესენია: აკადემიკოს ალიკო ბაკურიძის ნაშრომი, კაპიტალური მონოგრაფია საქარხნო წამლის ფორმების ტექნოლოგიაში. ფაქტიურად ეს არის სახელმძღვანელო უმაღლესი საფაკულტეტო განათლების პროგრამის შესაბამისი, აკადემიკოს ლინა ერისთავის მონოგრაფია ფარმაცოგნოზიაში, აკადემიკოს ბიძინა ჭუმბურიძის მონოგრაფია – “ფარმაცევტული ქიმია”. არაერთი მონოგრაფია გამოსცეს აკადემიკოსმა ეთერ ქემერტელიძემ და პროფესორმა გურამ ცაგარეიშვილმა. ნამდვილად ქებას იმსახურებს კუჭ-ნაწლავის დაავადების პრეპარატი – “ბენტობოლი”. სამკურნალო ეფექტური პრეპარატია ჩემი ავტორობით გამოცემული პრეპარატი – “კავსურონი”. ფარმაცევტული ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომებზე ჯერ-ჯერობით ტრადიციად ვერ ვაქციეთ, თუნდაც მათი მეცნიერული თვალსაზრისით განხილვა და ამ ავტორთა შრომებზე საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრება, საქებარი რეცენზიებით მათი შეფასება, რაც მომავალში აუცილებლად ტრადიციად უნდა ვაქციოთ. იგივე შეიძლება ითქვას სოკრატ სალუქვაძის 675 გვერდიან მონოგრაფიაზე, სადაც ავტორს შორეული ისტორიული ლაბირინთებიდან მარცვალ-მარცვალ გამოუძიებია წამალთმცოდნეობის ისტორიის და მასთან დაკავშირებული საკითხების სიახლეები. ამ მონოგრაფიაში არაერთი ქვეთავი ეძღვნება დღემდე სრულიად უცნობი საკითხების მეცნიერულად გაშუქებას. ასე მაგალითად: ცხვრისა და ირმის სიმბოლიკის საკითხების შესწავლა წარმართულ ხანაში. გარდა სიმბოლიკისა, ამ ქვეთავებში მითითებულია, რომ ცხვრის მატყლი საუკეთესო ნედლეულია უწყლო ნაღონილის მისაღებად, ხოლო ცხვრის ძვლები გააქტივებული ნახშირის მისაღები ნედლეული ყოფილა. გაუმაგრებელი ირმის რქის სპირტიანი ნაყენი – **პანტოკრინი** დღეს ბიოგენურ სტიმულატორად გამოიყენება, ხოლო დედაბომზე დამაგრებელი ირმის რქა წარმართულ ხანაში ოჯახის ავი სენისაგან დამცავ აგვაროზად იყო მიჩნეული და, საერთოდ, ირემი სიკეთის სიმბოლო ყოფილა ოდითგანვე. ოქრის საწმისის გატაცების მითის მიხედვით იაზონისა და მედეას ურთიერთობებში ლეგენდის მიხედვით ცხვრის კულტთაყვანისმცემლობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ აქამდე ვფიქრობდი, იაზონი ბერძნული წარმომავლობის პერსონაჟი რომ იყო. ჩემი მეგობრის შრომებს, რომ გავეცანი, იაზონი, თურმე, პელაზგი ყოფილა (პროფ. გიზო ჭელიძე) და მკვლევარ ს. სალუქვაძის სავარაუდო ინტუიციური მოსაზრებით ოქროს საწმისის მოტაცების თაობაზე იაზონსა და მედეას შორის მოლაპარაკება ურთიერთ გასაგებ ენაზე წარმოებდა. მართალია, ეს მოსაზრება სავარაუდოა, მაგრამ ასეთი აზრის გამოთქმა სხვა ავტორთა შრომებში მე არ წამიკითხავს. შეიძლება აქ ბევრი რამ სადაო იყოს, მაგრამ განხილვისას მეცნიერულად უნდა იყოს შეფასებული. საწინააღმდეგო, ალტერნატიულ მოსაზრებას, თითქოს არგუმენტი არცკი მოეძებნება.

სოკრატის მიერ ასევე მიგნებულია “ფეოდალ მაღალაშვილების დროშა და გერ-

ბი”. მეცნიერული ანალიზის ახალი შედეგებია კვლევა-ძიებაში შემოტანილი, რომ ყოველივე ამას ნათელი მოეფინა ავტორის თავდადებული შრომის შედეგად.

ბევრი სიახლე წამიკითხავს და როცა სოკრატ სალუქვაძის გამოკვლევებს და სიახლეებს ვეცნობი, ამ დარგში წამალთმცოდნეობისა და მედიცინის ისტორიაში, სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად უკეთესი კანდიდატურის დასახელება, ნამდვილად მიძნელებდა, სოკრატ სალუქვაძე ღირსეული კანდიდატურაა. აბა გადავხედოთ, ყვავილის აცრის შესახებ ისტორიული ცნობების მოშველიებისას როგორი დამაჯერებლობით არის ეს შრომა საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოტანილი. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მეცნიერულ დონეზე არაფერი ვიცოდით ისტორიული თვალსაზრისით თურმანიძეთა საგვარეულოს მალამოს შესახებ, არც მათი ეკლესიის და არც თურმანიძეთა “აყვავებული ჯვრის” შესახებ ვიცოდით რამე ს. სალუქვაძის შრომის გამოქვეყნებამდე. საერთოდ, ძველი ხელნაწერი კარაბაღინების რაობის საკითხებს ფარმაცევტულ საფაკულტეტო განათლების მქონეებიდან ამ საკითხს შეეხო ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი ილია თაბაგარი. ამ ბოლო დროს მნიშვნელოვანი კომენტარები ამ საკითხზე მოგვაწოდა სოკრატ სალუქვაძემ. ცნობილი არ იყო, საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიაში კარაბაღინები იგვე ფარმაკოპეები რომ ყოფილა. ამ საკითხის ახსნის მცდელობას დამაჯერებლობა აკლდა.

საოცარი სიახლეებია მიგნებული შუა საუკუნეებში მედიცინისა და ეკლესიის ურთიერთობის შესახებ. მკითხველთა ყურადღებას იპყრობს “არბორ ვიტას” ანუ “სიცოცხლის ხის” გამოხატვის ფაქტები ქართულ მატერიალურ კულტურის ძეგლებზე, როგორც ირკვევა, ასეთი ტრადიცია წარმართული ხანიდან მიმდინარეობდა. იგი შენარჩუნებული იქნა ახალი წელთაღრიცხვის შემდეგაც. ჩვენს სოკრატს ექსპერტის დონეზე შეუდარებია ეკლესიების კედლებზე, ფრესკებსა და ქრისტეს ჯვარზე შარავანდელით მოსილი წმინდანების და ქრისტეს ჯვრების ფონზე მცენარეების გამოსახულებები. ფარმაკოგნოზის თვალსაზრისით ჩატარებული შედარებითი ანალიზის შედეგების მიხედვით მცენარეების უმრავლესობა მსგავსია, თანამედროვე სამკურნალო პრაქტიკაში გამოყენებული სამკურნალო მცენარეების აბსოლუტურად იდენტურია. ასეთი სიახლე ფარმაკოგნოზის თვალსაზრისით ჯერ არსად წამიკითხავს ავტორის მსჯელობას დამაჯერებლობა არ აკლია. ბევრი და ახალი მეცნიერული მიგნებებია მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის პუბლიკაციებში, რასაც აღიარება ელოდება. შევიკრიბოთ, განვიხილოთ და რაც სწორია ვაღიაროთ.

მე ისიც მიკვირს, აქამდე რატომ არ არის ასეთი მეცნიერული შრომების ავტორი ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი? ასეთი დისერტაცია ხარისხის მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოს წინაშე სულ ცოტა 20 წლის წინათ უნდა წარმოედგინა ჩვენს სოკრატს. მაგალითისათვის: ავიღოთ მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ფერადი მინის ჭურჭლის (სამი გველის რელიეფური გამოსახულებით და მინისავე ღიაფრაგმით გ. დ.) პრაგმატული ფუნქციის განსაზღვრა როგორი დამაჯერებლობით არის განმარტებული, რომ მინის ეს ჭურჭელი დოზატორის, წვეთმზომის ფუნქციას ასრულებდა 1700–1800 წლის წინათ. იგი შედარებულია მაიხელებახის წამლის ფორმის პროდუქციასთან ვალოკორდინთან (ფლაკონთან). ამ საკითხზე მსჯელობა დამაჯერებელი და მეცნიერულია. მკითხველი გაეცნობა რეცენზენტის აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის რეცენზიას. იგი ავტორს “ხელხვაგრიელის” და “აზრხვაგრიელის” ხედწოდებით ამკობს, მოპასუხე “გენერატორსაც” კი უწოდებს ჩვენს სოკრატს.

სოკრატმა პირველმა მიაგნო ზემელების საგვარეულო გერბს. პატიმრობიდან დაბ-

რუნებულ ჩვენს ლექტორს, პროფესორ პეტრე გელბახიანს დაურეკავს დედაქალაქის №1 აფთიაქ-მუზეუმში, თავისი ყოფილი სტუდენტისათვის, მისალმებია სოკრატს და შემდეგ ასე უთქვამს: “ამჟამად მე აღარ ვიცი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი ან დოცენტი თუ ვარ, თორემ ფეხზე რომ ვიდგე, კი ვიცი, როგორ წარმედგინა შენი პიროვნება ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წინაშე სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად... შენი ნაშრომების გაცნობა პატიმრობაში მამხნევებდა და თავს ასე ვეუბნებოდი: “ვიღაცა გამიზრდიაო” და ეს **“ვიღაცა”** შენა ხარ, ჩემი ყოფილი სტუდენტი. მე აღარავის ვეხმიანები ტელეფონზე, ეს თქვენ გთვლით ღირსად და. ამიტომ დაგირეკე”. ამის შემდეგ ჩვენი სიკრავი ბინაში ესტუმრა თავის ყოფილ ლექტორს და საკუთარი წიგნი ასეთი ავტობიოგრაფიით მიაართვა: “ჩემს აღმზრდელს, ბატონ პეტრე გელბახიანს მადლიერების გრძნობით აღზრდილისაგან. სოკრატ სალუქვაძე”. და იქვე P.S.-ით ასეთი წარწერა დაუმატებია “თქვენ ჩემი აღმზრდელი ხელოვნურად, ძალით გაგაუბედურეს და თქვენს მიერ აღზრდილი, მე როგორ ვიქნები ბედნიერი”?

ჩემი საბოლოო დასკვნა ასეთია: თუ ბატონმა პეტრემ პატიმრობაში მყოფმა დადებითად შეაფასა მკვლევარ სოკრატ სალუქვაძის მიგნებები და სიახლეები, ჩვენ რატომ დაგვაგვიწყდა ამ პიროვნების მეცნიერული შრომების შეფასება. გვიანი არასოდეს არ იქნება ამ მკვლევარის შრომების ობიექტურად შეფასება. ჩვენი ღრმა რწმენით, **მტრობას სიკეთე არავისთვის არ მოუტანია**. ბოლონის დეკლარაციის თანახმად სოკრატ სალუქვაძე უკვე არის ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მაგრამ სადოქტორო დისერტაცია რომ წარმოადგინოს ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წინაშე და აკადემიურის ნაცვლად პირდაპირ დოქტორი, რომ გახდეს, არც ამით დაშავდება რამე, სამართლიანობა ნამდვილად იზეიმებს. ეჭვი არ მეპარება, ბატონი ბაადურ რაჭველიშვილი ამ მოსაზრებას ჩვენი სოკრატის შესახებ უყოყმანოდ გაიზიარებს და სწორედ ამიტომ გამომაქვს ჩემი მოსაზრებები საზოგადოებრივ სამსჯავროზე. მიზანშეწონილად მიმაჩნია აქვე აღვნიშნო, აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილს თავის საქებარ გაფართოებულ სტატიაში ქრონოლოგიურად ჩამოუთვლია მკვლევარ ს. სალუქვაძის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიული ნარკვევები, რაც ბიბლიოგრაფიული შრომების ჩამოთვლის დასაწყისია. ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ ს. სალუქვაძე არაერთი ფარმაცევტული ყრილობის მონაწილეა, მის კალამს ეკუთვნის 45 მეცნიერული შრომა, რომელთა ბიბლიოგრაფიული ჩამოთვლა—დასახელება მომავლის საქმეა. სტუდენტობიდანვე კარგად მახსოვს ჩვენი სოკრატის საგაზეთო სტატიები. გაზეთ “მედიცინის მუშაკში”, გაზეთებში: “კომუნისტი”, “თბილისი”, “ზარია ვოსტოკა”, “სოფლის ცხოვრება”, “ახალი კოლხიდა”, “განთიადი”, “ლენინის დროშა” და სხვა. ზემოთ დასახელებულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების სრული ნუსხა რომ შევადგინოთ და თვეში თითო სტატიის გამოქვეყნება რომ ვივარაუდოთ, მათი რიცხვი აღბათ 600-ზე მეტი იქნება. ამას კიდევ ემატება ერთი პირის საზოგადოებრივი გაზეთის დაარსება სათაურით: “წამალთმცოდნეობის გონების კარი”, რომლის რამოდენიმე ნომერი გამოიცა. გამოცემა უსახსრობის გამო შეწყდა. ყოველივე ამას მკითხველს ხაზგასმით იმიტომ მოვახსენებ, რომ ეს არ გახლავთ ავტორის ერთი თუ ორი წლის გატაცება, არამედ ასეთი მისწრაფება მიგვანიშნებს ხანგრძლივი დროის (52 წელი) სულიერ და ინტელექტუალურ მოთხოვნებზე. რაც ავტორის მიერ აუცილებელ საჭიროებად არის ჩათვლილი. ყოველივე ამას ემატება გამოსაცემად გამზადებული თორმეტი მონოგრაფია, რაც წამალთმცოდნეობის საკითხებში, ხატოვნად რომ ვთქვათ, ყამირის გატეხვის ტოლფასია. ამიტომ გახლავთ

მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე ჩვენი ღირსეული კოლეგა და ახალგაზრდობისათვის შრომამოყვარების მაგალითის მიმცემი.

მკითხველთა ყურადღებას მივაპყრობ და აქვე მომაქვს სოკრატ სალუქვაძის მიერ მიგნებული ციტატა, ვახუშტი ბატონიშვილის “ქართლის ცხოვრების” IV ტომის მეორე გვერდის წინასიტყვაობიდან, სადაც ციტირებულია დამასკელი ბრძენის, პლინი სტოიკის შემდეგი სიტყვები: “არა არს არცა ერთი ეგრეთი წიგნი, რომელიცა რაიმე მისგან ნაწილი სარგებლისა არა მოვიდოთ”. ეს ციტატა ყოველგვარი კომენტარის გარეშე მიგვანიშნებს ავტორის უპრეტენზიოებასა და თავმდაბლობაზე.



ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გენრი დეკანოსიძე ოჯახის წევრებთან ერთად: მეუღლე ნანული ენუქიძე, ვაჟიშვილები: მამუკა, გოჩა და ნიკოლოზი.

აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის მიერ სოკრატ სალუქვაძეზე დაწერილი ამ წიგნში მეგობრების უამრავი ფოტოსურათია დაბეჭდილი. არა დაშავდება რა, თუ მეგობრებს შორის გენრი დეკანოსიძის სურათს ოჯახთან არ გამოვტოვებთ, მითუმეტეს მე ხომ ამ წიგნის შემდგენელი რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი გახლავართ.

მინდა გავიხსენო დოკუმენტური ტელეფილმი “მითი და რეალობა”, რომლის წამყვანი თვითონვეა. ჯერ-ჯერობით მაყურებელს სხვა დოკუმენტური სამეცნიერო ფილმი მედიცინის ისტორიის თემაზე ეკრანიზებული არ ახსოვს. ჩვენი მკვლევარის გატაცება ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა, ისევე როგორც ემბლემის დაარსების შემთავაზება და „წამალთმცოდნეობის“ ტერმინის შეტყვევების მიმოქცევაში დანერგვა.

ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

გენრი დეკანოსიძე

P.S. ის ის იყო, გამთავრებით აკადემიკოს ბაადურ რაჭველიშვილის წიგნის მაკეტს მიძღვნილს სოკრატ ხალუქვაძისადმი, რასაც ახლავს არც თუ ისე მცირე ჩემი წინახიტიყვაობა და ბოლო თქმა, რომ ამ დროს არტეზიულ ჭასავით – შადრევანივით იფეთქა გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” (2007 წლის 19 იანვარი) მწერლის, პუბლიცისტის, მთარგმნელის და ძირითადად მაინც ჟურნალისტის, გურამ გოგიაშვილის სტატიამ სათაურით: “ღიმილგამძლე სტრიქონები, ანუ პოეტს არ დარჩა ლექსი დასაკარგავი”. რომელსაც ხელს აწერს ავტორი ფხვედონივით გურამ წიკლაური. ამ სტატიაში ავტორს უხარგებლია პოეტ ზაურ ბოლქვაძის ლექსებით, რომლებიც მიძღვნილია ჩვენი სოკრატ ხალუქვაძისადმი. საქმე იმაში გახლავთ, რომ პოეტს რაც ლექსად უთქვამს სიყვარულით სოკრატ ხალუქვაძის შესახებ, არანაკლები სიყვარულით პრთხაულად ეს მოხაზრებები გამოუთქვამს და სიყვარულით დაუწერია. აბოგვა, ჰიპერბოლა ავტორს იმდენად გაუზრდია, რომ ჩვენი სოკრატი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატესათვის შეუდარებია, რომელიც ამბობდა: “მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი”-თ. ავტორი განსხვავებას იმაში ხედავს, რომ ჩვენმა სოკრატმა ცოტა რამ იცის, მაგრამ ეს “ცოტა” ქვეტექსტით მართლაც ცოტა როდია! ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ეს პოეტური და პრთხაული სასიყვარულით ესეა, უცვლელად ჩაგვერთო ამ წიგნში. სტატიას ახლავს გოგია ფირცხალაგას და ზაად ხულააკაურის კარიკატურები. ამ სტატიაზე და მასალების შეგროვებაზე ზომიერად უმუშავია ნინო ხოფერიას და კახა ქორიძის. გაზეთის მეცხრე გვერდი ინტერესით იკითხება, ამიტომ მოგვაქვს ეს ტექსტი უცვლელად, რომ მკითხველს, მართლაც, სრულყოფილი შთაბეჭდილება შეექმნას, ჩვენმა მკითხველმა მიიღო მეგობრული სიტბთი და ხატული, სიცოცხლის გადარჩენაზე მუდამ ფხიხელი მზრუნველის, წამალთმცოდნის თრიგინალური იერსახე. გაცვანით ამ ტექსტს და თქვენვე დარწმუნდებით, რომ მთყვასის გრძნობით ნათქვამი აზრი მუდამ დამაჯერებელი იყო, არის და იქნება.


ბ. დ.



კლასიკოსი,
კომპოზიტორი,
რესო დალიძე
ვაკეში მღებარე
№27 აფთიაქის
ხშირი სტუმარი იყო
და წამალზე მისთვის
ხიტიყვა არა, არ არ-
ხებობდა

ადგილია ზღაპრის სიტყვების დამატება-
 ხდება შეცვლა. ვაი არ ვხედავთ აქ:
 ბრუნვა, დაბრუნება, წყლის. გსურს ზღაპრის
 ყველა დეტალი და ადგილი დავუბრუნო
 ხსოვნას, არა უფრო ადვილად, ვიდრე
 ხსოვნა არ ადვილად იქნება, არა უფრო
 უფრო ადვილად იქნება, ხსოვნა არ ადვილად
 იქნება ადვილად იქნება. ვხედავთ
 რომ მართლაც იქნება სწორად სიტყვები.
 (სიტყვები სწორად იქნება სიტყვები, სწორად
 სიტყვები იქნება სიტყვები. ვხედავთ
 ვხედავთ სიტყვები სიტყვები.)

ხოლო აქვე უფრო ადვილად ვხედავთ, სიტყვები
 სიტყვები სიტყვები სიტყვები სიტყვები
 სიტყვები სიტყვები სიტყვები სიტყვები
 სიტყვები სიტყვები სიტყვები სიტყვები



კომპოზიტორ რეზო ლადიძის ავტოგრაფი ნოტებით: "სოსთა, მე შენს მეტი,
 ჯერ არავინ მყვარებია".

კვირადღა

ვინც სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლეს ეპირებით, იმეგობრეთ პოეტებთან, უწინარესად კი ისეთ პოეტებთან, ვისი სიტყვაც სიკვდილს სიცოცხლის ბოლომდე მოკვლის საშუალებას არ აძლევს...

როცა სიტყვაც წამალია

ბოლო, თითქმის 55 წელიწადია, ჩვენი თავქალაქის ქუჩებს ნამდვილად აყუათებს სტუდენტობიდანვე თავისი ბუნებამდიდარი კაცობით წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე. (18 წელი მან დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელ ლიხაურში გაატარა) სახელიც ისეთი ჰქვია, არ შეიძლება გულისყური რომ მიიპყროს (ეჰ, სად იყო მაშინ ეს ჩვენი ამჟამინდელი კეთილი წამალთმცოდნე სოკრატი, თორემ ის თავისი დიდი სენისათვის უმრავლესობის მიერ მიწვდილ საწამლაგით სავსე ფიალას ნამდვილად მარტოპელი წამლით ან ბადაგით შეუცვლიდა), თანაც, რაც მთავარია, ამართლებს თავის სახელს, ამართლებს თავისი წილი სიბრძნით, თავის დარგში განსწავლულობით, იმ ყოვლისმომცველი სიყვარულით, რომლითაც თავადაც არის შეპყრობილი და სხვასაც გადასცემს, ამდიდრებს და აცისკროვნებს. ერთი სიტყვით, ალაღად ხელთამპყრობელი კაცია, რომელიც მუდამ მზად არის მოყვასის შესაწვენელად...

ღიანაც, ამ თვისებებმა დაამეგობრეს და დაამოყვრეს სოკრატ სალუქვაძე XX საუკუნის ბევრ თვალსაჩინო ადამიანს, რომელთაგან, სამწუხაროდ, ბევრი გრძელ სოფელშია ამჟამად.

ღიმილგამძლე სტრიქონები, ანუ პოეტს არ დარჩა ლექსი დასაკარგავი

მასსოვს, რა სიყვარულით ექცეოდა სოკრატის მარად დაუვიწყარი ნოდარ დუმბაძე, რომლის ენაპირითაც თითქოს თვითონ საქართველო ხუმარსიტყვაობდა და რომლის იუმორისტული შემოქმედება (ბევრი უკვე ფოლკლორად ქცეული) სრულიად და საკადრისად ჩვენი ბედოვლათობისა გამო დღემდე გამოცემული არა გვაქვს. არადა, ვაითუ, ზოგი რამ გაიბნეს ან იქნებ სულაც დაიკარგოს... თუმცა ნოდარ დუმბაძის სიტყვის ბეჭედს გახუმება არ უწერია. ხან ასე მგონია, რომ ის ყველას მაგივრად ხუმრობდა: ვისაც უნდა ოდესმე ეხუმრა ან ახლა ხუმრობს, ანდა მომავალში იხუმრებს.

ნოდარი ღირსეულად შეცვალა “ნიანგის” რედაქტორად ასევე მარად დაუვიწყარმა **ზაურ ბოლქვაძემ**, რომლის პოეტური მემკვიდრეობაც სულ მეტი და მეტი “გამოსხივების” უნარს იძენს, დღემდე გამოუცემელია აგრეთვე ზაურ ბოლქვაძის მართლაცდა “შუშუნა” ხუმარსიტყვა, რომელმაც სიცილ-ხარხარში გაგვატარებინა წინა საუკუნის თითქმის სამი ათასწლეული.

სოკრატ ბატონო, მადლობის მეტი რა გვეთქმის იმისათვის, რომ, თავადაც შუმმა გურულმა, საგულდაგულოდ შემოგვინახე ზემოხსენებული “ორი დიდი გურული”